პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კავკას (ყოფ. დიდი მთავრის) ქ № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 3—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებანი
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებები გარდა განცხადების ფასისა იბეგრება 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სადღესასწაულო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- თავდასხმა სტუდენტთა მიტინგზე შანხაიში.—სტუდენტებმა და მუშებმა დახვრიტეს ყვითელ პროფკავშირების ხუთი ბელადი.
- ოსმალეთის ელჩად მოსკოვში დაინიშნა ტევფიკ-ბეი.
- ლიტვის მთავრობამ პლეჩკაიტისი სახელმწიფო მოღალატედ გამოაცხადა.
- ერთა ლიგის წრეები უკმაყოფილო არიან პილსუდსკის სიტყვით ლიტვასთან კონფლიქტის შესახებ.
- პილსუდსკის „დიპლომატიური ავადმყოფობა".
- ავსტრალიის მტვირთავი მუშების გაფიცვა გრძელდება.
- საარის მელითონეებმა შესწყვიტეს გაფიცვა.
- იაპონიის ეკონომიური მისია ამხ. კალინინთან.

კვირა, 4 დეკემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 275 (2020)

საკავშირო კომპარტიის (ბ) მეხუთმეტე ყრილობა

ყრილობის გახსნა

ამხ. რიკოვის სიტყვა

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის დავალებით საკავშირო კომუნისტური პარტიის მეხუთმეტე ყრილობას გახსნილად ვაცხადებ (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

გასულ ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობამ და ჩვენმა პარტიამ დაჰკარგა მთელი რიგი თავის გამოჩენილ მოღვაწეებისა. მოკვდა ამხ. **ძერჟინსკი**, პროლეტარული რევოლიუციის ერთ-ერთი უდიდესი ორგანიზატორი და სოციალიზმისათვის თავდადებული მებრძოლი, კაცი, რომელმაც მთელი თავისი არაჩვეულებრივი ნიჭი და ენერგია საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის საქმეს შესწირა. მოკვდა ამხ. **კრასინი**, რომელსაც პარტია აფასებდა ბრწყინვალური მუშაობით რევოლიუციონურ მოძრაობის პირველ წლებში, ხოლო შემდეგ მის ნაყოფიერ მუშაობისათვის სამეურნეო და დიპლომატიურ ასპარეზზე. ამხ. **ვოიკოვი** მოკლულ იქნა თავის დიპლომატიურ პოსტზე. მოკვდა **მაკმანუსი** და **რუტენბერგი** — საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი. მოკვდნენ ამხანაგები: **მატურინი** და **პავლოვიჩი**. რევოლიუციონურ მოძრაობამ და კერძოდ ჩვენმა პარტიამ დაჰკარგა მთელი რიგი სხვა ამხანაგები, გამოჩენილი მუშაკნი და ორგანიზატორები, საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლნი. წინადადება შემომაქვს ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მათ ხსოვნას (ყველანი ფეხზე დგებიან).

ამხანაგებო, პარტიის მეხუთმეტე ყრილობა იკრიბება უშუალოდ იმის შემდეგ, რაც მშრომელ მასებმა მთელი დედამიწის ზურგზე იდღესასწაულეს ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების ათი წლის თავი, პირველ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ათი წლის თავი. ამ ათი წლის განმავლობაში მსოფლიო პროლეტარიატმა განვლო ისტორიის გიგანტური ხანა. პროლეტარულ რაზმების უთვალავ შეტაკებებში კაპიტალთან გამარჯვებებში და დამარცხებებში პროლეტარიატმა შეიძინა გამოცდილება ახალ ბრძოლებისათვის. წარსულ ათი წლის განმავლობაში განვლილია სოციალისტური რევოლიუციის განვითარების მნიშვნელოვანი პერიოდი. ჩვენი კავშირის მუშათა კლასმა შეასრულა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის წარმოებულ მუშაობის მეტად ძნელი ნაწილი. მეხუთმეტე ყრილობას ჩვენი პარტია და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ხვდება სოციალისტურ შემოქმედების უდიდესი გამოცდილებით.

მიმდინარე ყრილობის დღის წესრიგში სდგას პარტიის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ამ საკითხების სწორად გადაჭრას სოციალისტური მშენებლობისა და საერთაშორისო რევოლიუციის ბედისათვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმ დროებით მოვლენებს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში, რომლებიც ასე დიდათ აღუხვდება პარტიას ამ უკანასკნელ პერიოდში. იმ დროს, როცა ჩვენი მშენებლობისა, ჩვენი შინაური და საგარეო პოლიტიკის საკითხები უდიდეს მნიშვნელობას ღებულობენ პროლეტარული რევოლიუციის განვითარების უახლოესი ეტაპისათვის,— საკითხები, დაკავშირებული ოპოზიციასთან და მისი დაძლევა ამჟამად უკვე რამდენადმე ისტორიის ბარდებიან და ეკუთვნიან გუშინდელ დღეს და არა ხვალინდელს. მიუხედავად ამისა, იმ პირობების სპეციფიური განსხვავება, რომლებშიაც იკრიბება ეს ყრილობა პირველ რიგში განისაზღვრება ჩვენი პარტიის ისტორიისათვის იმ უჩვეულო მოვლენებით, რომელთაც მიმდინარე წელს ჰქონდა ადგილი.

ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობა იკრიბება ისეთ პირობებში, როცა წინა ყრილობის მიერ არჩეულ ცენტრალურ დაწესებულებების შემადგენლობიდან პარტიასთან იდეური უთანხმოებისა და პარტიის წესდების უმაგალითო სისტემატიური დარღვევისათვის გამორიცხულ იქნა წევრთა ერთი ჯგუფი. პარტიის ყრილობა იკრიბება იმ მომენტში, როცა ყრილობამდე ცოტა ხნით წინ პარტიის ორი გამოჩენილი მოღვაწე და ცენტრალური კომიტეტის წევრები ტროცკი და ზინოვიევი პარტიის გარეშე აღმოჩნდნენ. ცეკამ და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ, იმ ფაქტების გამო, რომლებიც ცნობილია პარტიის ყოველი წევრისათვის, საჭიროდ სცნეს გამოეყენებიათ ოპოზიციის ბელადების მიმართ მე-10 ყრილობის ის გადაწყვეტილება, რომელიც პირველად პარტიაში მიღებულ იქნა ვლადიმერ ილიჩის წინადადებით იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო იქნებოდა ბრძოლის სერიოზული ზომების მიღება კომუნისტური რიგების მთლიანობისათვის. მე-10 პარტყრილობის გადაწყვეტილება ტროცკისტული ოპოზიციის ბელადების მიმართ გამოყენებულ იქნა ამ ყრილობის მოწვევამდე ცოტა ხნით ადრე იმიტომ, რომ ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონტროლო კომისია ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიზმის იმ ძირითადი პრინციპით, რომლის მიხედვითაც პარტიის გათიშვა და პარტიის წინააღმდეგ საქციელად გამოსვლა არ შეიძლება როგორც საკავშირო ყრილობამდე ნახევარი საათით ადრე, ისე თვით ყრილობის მუშაობის დროსაც. (ხმა ადგილებიდან: „მართალია", მქუხარე ტაში).

საკითხმა ოპოზიციის შესახებ, მიუხედავად შემოქმედებითი მუშაობის უდიდესი მნიშვნელობისა სწორედ ეხლა, სოციალისტური მშენებლობისა და საერთაშორისო რევოლიუციის განვითარებისათვის, ცენტრალური ადგილი დაიკავა ყრილობის წინა დისკუსიაში და მიიპყრო უდიდესი ყურადღება, გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე ამის ღირსია ოპოზიცია თავისი წონითა და თავისი მნიშვნელობით. დისკუსია ოპოზიციასთან ამჟამად დამთავრებულია. ოპოზიციამ მოახერხა თეზისების განხილვაში მონაწილე პარტიის ყველა წევრთა რაღაც ნახევარი პროცენტის შეგროვება, პარტიის წევრთა ოთხმოცდა ცხრამეტ პროცენტზე მეტი ოპოზიციის წინააღმდეგი აღმოჩნდა— ეს იმის მაჩვენებელია, რომ იდეური მხრით პარტიამ მიაღწია არაჩვეულებრივ მთლიანობას. თუ ჩვენი პარტიის ისტორიაში არ ჰქონია ადგილი პარტიის შიგნით ასეთი თავდასხმის შემთხვევას, თუ ოპოზიციამ პარტიაზე თავდასხმის სიმწვავითა და მის წინააღმდეგ ბრძოლის განსაკუთრებული მეთოდებით გადააჭარბა ყოველივეს, რაც ოდესმე წინად ყოფილა, — მეორე მხრივ საკავშირო კომპარტიის მთელ ისტორიაში ჩვენ არ გვქონია ისეთი შემთხვევები, როცა პარტიას ასეთი ერთსულოვანებითა და გადაჭრით მოეგერებინოს ოპოზიციის შემოტევა და არაჩვეულებრივი შემჭიდროებით დაეცვას ლენინური ხაზი და ბოლშევიზმის ტრადიციები. ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართულ პარტიის ამ მთლიანობაში გამოაშკარავდა ჩვენი პარტიის ბოლშევიკური გამობრძმედა მრავალი წლის განმავლობაში (მქუხარე ტაში).

კიდევ მეტი, სწორედ ოპოზიციასთან ბრძოლამ გამოაშკარავა, რამდენად მჭიდროთაა დაკავშირებული პარტია მუშათა კლასსა და მშრომელ მასებთან. მუშათა კლასის აქტივიდან პარტიის შემადგენლობაში ახალი წევრების მიღების კამპანიამ, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, დღემდე უკვე მოგვცა მუშების 70.000 განცხადება საკავშირო კომპარტიაში მიღების შესახებ (მქუხარე ტაში). მუშების ეს ახალი ნაკადი პარტიაში სრული სიცხადით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ჩვენი პარტია და მუშათა კლასი ერთი აზრით ცხოვრობენ, რომ ჩვენი პარტიის— მუშათა კლასის ავანგარდის ბრძოლა,— არის მუშათა კლასის ბრძოლა საერთოდ. მუშათა ოქტომბრის გაწვევა საკავშირო კომპარტიაში და პარტიის ხაზის განხილვის შედეგები გვიჩვენებენ და ადასტურებენ კომპარტიისა და მუშათა კლასის ურყევ მთლიანობას, პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცეს და საბჭოების რესპუბლიკის ძალასა და ძლევამოსილებას.

ამხანაგებო! პარტია იძულებული იყო განეხილა ოპოზიციის საკითხები ოქტომბრის რევოლიუციის იმ ისტორიულ ეტაპზე, როცა პარტია სწყვეტდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის ურთულეს საკითხებს. შემოქმედებითი მუშაობის ტემპი ახალი საზოგადოების მოსაწყობად ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უდიდესად განვითარდა ჩვენი პარტიისა და ეხლანდელი პარტყრილობისათვის არსებული პირობების გამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის, რომ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ლადებითი გიგანტური მშენებლობის მომენტი გადაჯაჭვულია ომის საფრთხესა და ახალ რევოლიუციონურ - კლასობრივ შეჯახებებთან საერთაშორისო მაშტაბით. ყველას ახსოვს იმ გიგანტური რევოლიუციონური კლასობრივი შეჯახებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა ინგლისში (საყოველთაო და მემაღაროეების გაფიცვა) და ძლიერი ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობა ჩინეთში. საერთაშორისო პროლეტარიატის ახალი რაზმები ებმებიან ბრძოლაში. მუშათა კლასის და დაჩაგრულ ერების რევოლიუციონური ბრძოლის აფეთქებათა სიძლიერე სულ უფრო და უფრო მეტ საერთაშორისო მნიშვნელობას ღებულობს.

მეორე მხრივ, ყველასათვის ცნობილია, რომ ცდილობენ მტრული ბლოკის შექმნას პროვოკაციის მოსაწყობად ჩვენი კავშირის წინააღმდეგ და რომ პარტია და ჩვენი ქვეყანა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ებრძოდა ამ ზრახვებს. ამ გამწვავებულ საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში სწარმოებს საბჭოთა კავშირში სოციალისტური საზოგადოების შენება. ჩვენ ამჟამად ვაწარმოებთ სამეურნეო მშენებლობას, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ისეთ მდგომარეობისათვის, როდესაც მოსალოდნელ ამბების გამო ჩვენ დაგვჭირდება ჩვენი რიგების გადაჯგუფება.

ამხანაგებო! დღის წესრიგში დასმულია ისეთი საკითხები, რომლების წარმატებით გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ჩვენი რევოლიუციონური ბრძოლის და სოციალისტური საზოგადოების მოწყობის შემდგომ განვითარებას. ერთ-ერთი უმთავრესი სიძნელე, რომელსაც განიცდიდა პარტია თავის ყოველდღიურ მუშაობაში ჩვენი პოლიტიკის ურთულეს ამოცანათა გადაჭრის დროს, მდგომარეობდა იმაში, რომ გასული ორი წლის განმავლობაში პარტია ძლიერ ხშირად აქცევდა თავის ყურადღებას და მეტად ბევრ ენერგიას ანდომებდა ბრძოლას ოპოზიციის ანტიპარტიულ მოქმედებასთან. იმის ძირითად გარანტიას, რომ პარტიის წინაშე დასმული ამოცანები გადაჭრილი იქნება, წარმოადგენს ბოლშევიზმის მოძღვრების და ორგანიზაციულ პრინციპების საფუძველზე დამყარებული პარტიის მთლიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ისეთ მდგომარეობას, როდესაც პარტიას შეეძლება მთელი თავისი ძალები და ყურადღება მოანდომოს სოციალისტურ საზოგადოების მოწყობასთან და საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციასთან დაკავშირებულ ამოცანათა გადაწყვეტას. მე-15 ყრილობამ უნდა გაანთავისუფლოს პარტიის ძალები შემოქმედებითი მუშაობის მაქსიმალურად გასაშლელად. მე ვფიქრობ, რომ გამოვხატავ პარტიის ყველა წევრების, მთელი მუშათა კლასის და საბჭოთა რესპუბლიკების ყველა მშრომელთა რწმენას თუ ვიტყვი, რომ ისინი მოელიან მე-15 ყრილობისგან ისეთი მდგომარეობის შექმნას როდესაც პარტია შესძლებს მთელი სიძლიერით იმუშაოს მის წინაშე დასმულ სოციალისტურ საზოგადოების შექმნასთან და საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობასთან დაკავშირებულ კოლოსალური საკითხების გადასაჭრელად.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი მოელის პარტიისაგან, რომ ის მომავალში იმ თავისი ძალების მეასედსაც არ დახარჯავს, რომელსაც დღემდე ხარჯავდა ოპოზიციასთან დაკავშირებულ საკითხების გარჩევაზე და დაუსრულებელ დისკუსიაზე (ხანგრძლივი ტაში). გულწრფელად უსურვებ ყრილობას ლიკვიდაცია უყოს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია პარტიაში არანორმალურ მოვლენებთან. უსურვებ ყრილობას, რათა მან პარტიის და მთელი მუშათა კლასის ყველა ძალები ჩააბას სოციალისტურ საზოგადოების მშენებლობაში. ნება მიბოძეთ გავხსნა ეს ყრილობა (მთელი ყრილობა ფეხზე ადგომით ტაშს უკრავს მღერიან „ინტერნაციონალს").

ყრილობის ორგანოები

პრეზიდიუმი

ყრილობის პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხ.: **ანდრეევი, ანტონოვი, არტიუხინი, ბუბნოვი, ბუხარინი, ვოროშილოვი, გამარნიკი, გოლოშჩოკინი, დოგადოვი, ჟდანოვი, ზატონსკი, ზელენსკი, ილინი, კაგანოვიჩი, კალინინი, კაბანოვი, კიროვი, კნორინი, კომაროვი, კოსიორი, კოლოტილოვი, კრუპსკაია, კუბიაკი, კუიბიშევი, ლეპსე, მანუილსკი, მენჟინსკი, მიქოიანი, მიხაილოვი, მოლოტოვი, ოლმინსკი, ორახელაშვილი, ორჯონიკიძე, პეტროვსკი, რუძუტაკი, რიკოვი, სმირნოვი, სტალინი, სულიმოვი, სირცოვი, ტომსკი, უგლიანოვი, უხანოვი, ცხაკაია, შაპლინი, ჩუბარი, ჩუდოვი, შვერნიკი, შკირიატოვი, იანსონი** და **იაროსლავსკი**.

სია მიღებულ იქნა ერთხმად, რასაც ყრილობა ტაშით შეხვდა. ამხ. რიკოვის და სტალინის სახელების ხსენებაზე დელეგატები ფეხზე დგებიან და მქუხარე ოვაციებს უმართავენ აღნიშნულ ამხანაგებს.

სამდივნო

ყრილობის სამდივნოში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: ამხ.: **კოტოვი, უვაროვი პოსტიშევი, მედვედევი, რინდინი, ენუქიძე, სოლცი, რუმიანცევი, ნაზარეტიანი, ვარეიკისი, შვარცი, მირზოიანი, სკრიპნიკი, დესოვი, ბაუმიანი, კირკიჟი** და **რიადოვი**.

სარედაქციო კომისია

სარედაქციო კომისიაში შედიან: ამხ. **კრინიცკი, მანდელშტამი, სტეცკი, ლეონოვი, მ. ულიანოვა, პოპოვი, ხალატოვი, ტოვსტუხა, სკვორცოვ-სტეპანოვი, როზალი, სმირნოვი, საველიევი მ., მ. კახიანი, პტუხა, პორენიკოვი** და **ვახილევსკი**.

სამანდატო კომისიაში არჩეული არიან: ამხ.. მოსკვინი, კულიკოვი, სტრუპე, ლებედ, ვ. ივანოვი, ხატაევიჩი, ნოსოვი, ზერგავინოვი, ლარიჩევი, კისის, სემიონოვი, შიტკინა, რიმინინი, ფიგატნერი, ლანდე, სახატ-მურადოვი, ვასილევიჩი, ქართველიშვილი და ისაევი.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვა

მოსკოვი, 3 დეკემბერი. 12 ნოემბერს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: გამორიცხულ იქნეს ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის შემადგენლობიდან ცეკას წევრები და კანდიდატები: **კამენევი, სმილგა, ევდოკიმოვი, რაკოვსკი, ავდეევი** და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრები: **მურალოვი, ბაკაევი, შკლოვსკი, პეტერსონი, სოლოვიევი** და **ლიზდინი** (ტაში). და აგრეთვე საჭიროდ ჩაითვალოს აღნიშნულ ამხანაგების მოხსნა ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა თანამდებობებიდან (ტაში). გაფრთხილებულ იქნეს კამენევი, სმილგა, ევდოკიმოვი, რაკოვსკი, ავდეევი, რადეკი, მურალოვი, ბაკაევი, შკლოვსკი, პეტერსონი, სოლოვიევი და ლიზდინი, რომ საკითხს მათი ფრაქციულ მუშაობის პარტიის რიგებში ყოფნასთან შეუთავსებლობის შესახებ ცენტრალური საკონტროლო კომისია დასვამს საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე ყრილობაზე. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც ამოვწურეთ ოპოზიციაზე ზეგავლენის ყველა საშუალებები, რათა დაგვებრუნებია ის პარტიულ ლეგალობის ჩარჩოებში.

ოპოზიციამ არა ერთხელ მისცა პარტიისათვის დაპირება, რომ ის ხელს აიღებს ფრაქციულ მუშაობაზე და ფრაქციის მოწყობაზე, მაგრამ თავის დაპირებებს ოპოზიცია მეორე დღესვე უტიფრად არღვევდა და განაგრძობდა მუშაობას პარტიის რიგებში დეზორგანიზაციის შესატანად, არღვევდა პარტიის გადაწყვეტილებებს და პარტიის დისციპლინას. ასე მოიქცა ის 1926 წლის 16 ოქტომბრის განცხადების შემდეგ მეორე დღესვე, ასე მოიქცა ის 1927 წლის 8 აგვისტოს განცხადების შემდეგ.

უკანასკნელ თვეებში ოპოზიციამ დაიწყო ისეთი მოქმედება, რომელმაც ფაქტიურად პარტიის გარეთ დააყენა ის. არალეგალურ სტამბების მოწყობა, შენობების თვითნებურად ხელში ჩაგდება, კონსპირატიულად კრებების მოწყობა, რომლებზედაც არ უშვებდნენ პარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრებს და, დაბოლოს, რაც სცილდება ყოველგვარ საზღვარს, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე დემონსტრაციის მოწყობის ცდა, ყველაფერი ეს ჩვენი პარტიის რიგების გარეთ აყენებს ამ ამხანაგებს (ტაში). ასეთი მოქმედებით ისინი კავშირს სწყვეტენ პროლეტარიატის პარტიასთან. ასეთი ფაქტების და მოქმედების გამო, ცენტრალურ საკონტროლო კომისიას პარტიის ცეკასთან შეთანხმებით აუცილებლად უნდა მიეღო ის გადაწყვეტილება, რომელიც მე ეხლა გამოვაცხადე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეხუთმეტე ყრილობამ ბოლო უნდა მოუღოს იმ მდგომარეობას, რომელსაც პარტიაში ადგილი ჰქონდა დღევანდლამდე. არ შეგვიძლია დაუშვათ, რომ ამხანაგების უმნიშვნელო ჯგუფმა, რომელიც მხოლოდ პარტიის ნახევარ პროცენტს შეადგენს, თუმცა მათ შორის არიან წარსულში დიდი დამსახურების ამხანაგები, არ შეგვიძლია დაუშვათ, რა რიგ დიდიც არ უნდა იყვეს ეს წარსული დამსახურება, რომ ამ ჯგუფმა დაარღვიოს ჩვენი პარტიის მთლიანობა და გათიშოს ლენინის პარტია. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ყრილობა მიიღებს ჩვენს წინადადებას, განიხილავს ჩვენ განკარგულებაში მყოფ მასალებს და მათი განხილვის შემდეგ გამოიტანს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს ჩვენი პარტიის მთლიანობას და მის დამშვიდებულ ნაყოფიერ მუშაობას (ტაში).

კომისია ოპოზიციის საკითხის შესახებ

იმ კომისიის შემადგენლობაში, რომელიც წინასწარ უნდა გაეცნოს ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას და განიხილოს ყველა მასალები და დოკუმენტები, რომლებიც ახასიათებენ ამ მუშაობას, არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: **ორჯონიკიძე, ტომსკი, კალინინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, პეტროვსკი, კიროვი, ანდრეევი, იანსონი, იაროსლავსკი, შკირიატოვი, ილინი, ლებედ, სოლცი, ბურანოვი, კოტოვი, მიხაილოვი, კოროსტელიოვი, ციხონი, პენკოვი, ტოლკაჩოვი, გრიგორიევი, უგოლნიკოვი, ჩუკაევი, ქუზლოვი, გაზა, გოლოვეშკო, ულიანოვი, დესოვი, ალექსეევი, ვერალის, მიხეევი, ათანასიევი, ჩერნოკოზოვი, ხასმანი, კრასნიკოვი, ჟდანოვი, ლარიჩევი, ვაჟოვი, ვანო სტურუა, ერმოხინი, პლეშკოვი, მატკ, შვარცი, ფილატოვი, მანჟარა, აბდულ ქიარიმოვი, გოლოშჩეკინი ფილიპე, სიროტა, დოგადოვი, სმირნოვი, ურიცკი, ბულინი, მელაევი, გრეჩანი, ზაიცევი, პოსტიშევი, სკრიპნიკი, სტროგანოვი, გრიაზევი, შრენბაკოვი, ლარინი, ფინკ** და **როზენმანი**.

ამხ. კლარა ცეტკინის სიტყვა

ამხ. ნიურინა გერმანული ენიდან თარგმნის ამხ. **კლარა ცეტკინის** სიტყვას:

ამხ. კლარა ცეტკინმა სთქვა:

„კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მხურვალე სალამს უძღვნი თქვენს ყრილობას (ტაში) და მხურვალედ გისურვებთ წარმატებას თქვენს დიად მუშაობაში. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს სავსებით აქვს გათვალისწინებული ის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც აქვს და ექნება თქვენს ყრილობას. ამ ყრილობამ მიჯნა უნდა გაავლოს ლენინურ მთლიან დარაზმულ პარტიასა და იმ ელემენტებს შორის, რომელთაც მერყეობა დაიწყეს და ეჭვი შეიტანეს ლენინური გზის სისწორეში. ამ ელემენტებმა **თავისი მოქმედებით თვითონვე დააყენეს თავისი თავი თქვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის რიგების გარეშე** (ტაში). ყრილობამ უნდა დაადასტუროს ის გადაწყვეტილება, რომელიც უკვე მიიღო უჯრედების კრებებზე პარტიის წევრთა უდიდესმა უმრავლესობამ. ჩვენ თვალყურს ვადევნებდით დისკუსიას უჯრედებში. აქ ადგილი არ ჰქონია არავითარ ბიუროკრატიულ აპარატის ზეგავლენას, როგორც ამას ამტკიცებს ოპოზიცია. პარტიული უჯრედების გადაწყვეტილებებმა პარტიის წევრთა ფართო მასების გადაწყვეტილებებმა გვიჩვენეს ლენინური კომუნისტური პარტიის სიმწიფე და ზრდა. მაგრამ სასტიკად დაგმო პარტიის ცალკე წევრთა საქციელი. ჩვენი თვალების წინ,— ამბობს ამხ. ცეტკინი,— კიდევ სდგას უდიდესი დემონსტრაცია, რომელიც გაიმართა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე და რომელმაც გვიჩვენა, რომ მუშათა კლასი ძლიერი რწმენით არის აღჭურვილი საკუთარი რევოლიუციონური ძალებისადმი და რომ მშრომელთა ფართო მასები უსაზღვრო ნდობას უცხადებენ თავის დიდ ბელადს — ლენინურ კომუნისტურ პარტიას და მის ცეკას (ტაში). ამხანაგებო! თქვენი პარტიის მოღვაწეობა კაცობრიობის ისტორიაში შევა არა მარტო როგორც ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების ხელმძღვანელობა, არამედ აგრეთვე, როგორც ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობა. ჩვენ ეხლა, მართალია, ვხედავთ ამ მშენებლობის მხოლოდ პირველ ნაბიჯებს. სოციალისტური მშენებლობის ეს პირველი ნაბიჯებიც იმდენად უდიდესია, რომ ჯერ მსგავსი რამ არ არსებობს არსად. მაგრამ სწორედ ამ პირველი ნაბიჯების სიდიადე სვამს კიდევ უფრო მეტ ამოცანებს მომავლისათვის, რაც მოითხოვს მუშათა კლასისა და მისი ხელმძღვანელის— პარტიის ყველა ძალთა სრულ და განუყრელ მთლიანობას. განსაკუთრებით ეხლა, როცა იმპერიალისტური მსოფლიო კვლავ ფიქრობს ბლოკადაზე, კვლავ ფიქრობს თავდასხმაზე სოციალიზმის მშენებელი საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ჩვენ განსაკუთრებული ენერგიით უნდა დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები კომუნისტური პარტიის ირგვლივ. ოპოზიცია ძირს უთხრის სოციალისტურ მშენებლობის უკვდავ საქმეს, იგი ძირს უთხრის პარტიის მთლიანობას. პარტიულმა მასებმა, პარტიის წევრთა უდიდესმა მასებმა უარყვეს ოპოზიციის წინადადება, და მაშინ ოპოზიციამ უმაგალითო თავხედობით მიმართა უპარტიო მასებს. ეს გვიჩვენებს, რომ **ოპოზიცია ჩამოშორდა ლენინიზმს. იგი დაექანა სოციალ-დემოკრატიზმისაკენ, რუსეთის მენშევიზმისაკენ** (ტაში, ხმები: მართალია). ოპოზიციის დეზორგანიზატორული მუშაობა თავს იჩენს საერთაშორისო მასშტაბით, იგი აბრკოლებს სხვა ქვეყნების კომპარტიების როგორც იდეოლოგიურ, ისე საორგანიზაციო განვითარებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეხლა, როცა რენეგატული ოპოზიციის ხელმძღვანელნი გამოდიან ყველაზე უფრო მემარჯვენე რენეგატებთან ერთად, ურთდებიან კომუნისტური პარტიის რიგებიდან გამორიცხულებს, განაჩენი მათ მიმართ მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ოპოზიცია თავის მუშაობით წყალს ასხამს კაპიტალისტების, ჰილფერდინგების, დანების და კომპანიის წისქვილზე. ეს ხდება ისტორიულ მომენტში, როცა მუშათა მასები დასავლეთში მემარცხნდებიან, როცა ისინი თანდათან თავისუფლდებიან მემარჯვენე იდეოლოგიისაგან. ოპოზიციის მუშაობას კიდევ ერთი უარყოფითი მნიშვნელობა აქვს. საქმე იმაშია, რომ ოპოზიცია ყველა სახის იმპერიალისტურ ჯგუფებს აღუძრავს ახალ იმედებს. იმპერიალისტურ ჯგუფებს იმედი აქვთ, რომ ვინაიდან ოპოზიციას განხეთქილება და დაშლა შეაქვს პარტიის ფოლადისებურ რიგებში, მათ გაუადვილდებათ საბჭოთა ქვეყნის დაპყრობა. ამიტომ ყრილობამ სრულიად კატეგორიულად უნდა უთხრას ოპოზიციას: **არც ერთი ნაბიჯი აღარ გადადგათ. ჩვენ ნებას არ მოგცემთ გახრწნათ პარტია იდეოლოგიურად და ორგანიზაციულად, და სოციალიზმს ავაშენებთ მთლიანი დარაზმული ძალებით. ლენინური კომუნისტური პარტია და ლენინის რკინის ნებისყოფით გამსჭვალული, ბრძოლებში გამობრძმედილი მუშათა კლასი პარტიის ხელმძღვანელობით უზრუნველჰყოფს რევოლიუციონური ნებისყოფის, რევოლიუციონური შეგნების და მოქნილობის ისეთ გაფართოებას, რომელიც გვაძლევს საბოლოო გამარჯვების მტკიცე რწმენას** (მხურვალე ტაში).

მისალმებები ყრილობას

ამხ. კლარა ცეტკინის სიტყვის შემდეგ ყრილობამ მოისმინა მუშათა დელეგაციების მთელი რიგი მისალმებანი. მრავალმა დელეგაციებმა ყრილობას უძღვნეს საჩუქრები.

მისალმება ქარხანა „დინამო"-დან

პირველად გამოდის მუშა ამხ. **პეჩერნიკოვი**, რომელიც ყრილობას ესალმება ქარხანა „დინამოს" სახელით. ამხ. პეჩერნიკოვი, აღნიშნავს რა საწარმოო ძალთა და სამუშაო ხელფასის ზრდას, აცხადებს: „ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველივე ეს ჩვენი კომუნისტური პარტიისა და მისი ცეკას სწორი ხელმძღვანელობის შედეგი არის.'

ქარხანა „დინამოს" მუშები, ისე როგორც დღემდე, მომავალშიაც ლენინური პარტიის ერთგულნი იქნებიან. ოპოზიციის გამთიშველი მოქმედებას, დინამოელები უპასუხებენ 71 მუშა-აქტივისტის გაგზავნით პარტიაში.

ადრესი მაკეევკის და დონის მელითონეთაგან

ამხ. **კორნევის** სიტყვის შემდეგ, რომელიც ყრილობას მიესალმა ქარხანა დუქსის სახელით, ამხ. **ხარინი** კითხულობს მაკეევკის და დონის 17.000 მელითონე — მუშის მისასალმებელ ადრესს ყრილობისადმი. მაკეევკის მუშებმა ადრესთან ერთად ყრილობას გაუგზავნეს ახალი ღუმელის მოდელი, რომელიც შენდება მაკეევკის ქარხანაში და რომელიც თავისი სიმძლავრით პირველი იქნება მთელ კავშირში. მაკეევკის ქარხნის მუშები მისალმებას ათავებენ შემდეგი სიტყვებით: „ძირს გამთიშავი—ოპოზიციონერები, რომელნიც ხელს გვიშლიან ახალი ღუმელების აშენებაში. გაუმარჯოს მსოფლიოში ერთადერთ ლენინურ ბოლშევიკურ პარტიას".

ლენინგრადელი მუშები ესალმებიან ყრილობას

ქარხანა „კრასნი პუტილოველცი"-ს (ლენინგრადი) 12.000 მუშის სახელით, ყრილობას ესალმება ამხ. **ბულიჩევი**. „მუშა - პუტილოველებმა, — ამბობს იგი, — დაგვავალეს განუცხადოთ ყრილობას, რომ ისინი სასტიკად გმობენ მოქმედებას ოპოზიციისას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მუშათა ინტერესებთან.

შემდეგ მუშა **ანდრეევი** ყრილობას ესალმება ვიბორგის (ლენინგრადი) ფაბრიკა - ქარხნების სახელით და აცხადებს, რომ ლენინგრადის მუშები მშვენივრად ხედავენ, თუ ვინ არის მათი ინტერესების ნამდვილი დამცველი. ლენინგრადის მუშებს არაფერი სწამთ ოპოზიციის. ისინი ხედავენ, რომ ჩვენი მეურნეობა მიდის წინ და არა უკან, როგორც ამას ამტკიცებენ ოპოზიციონერები".

ივანოვო-ვოზნესენის მუშებისაგან

ლენინგრადის მუშების დელეგაციების შემდეგ ყრილობას ესალმებიან ივანოვო - ვოზნესენის ფაბრიკების დელეგაციები.

ივანოვო - ვოზნესენის 250.000 მუშის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. **გუსევი**.

უკრაინიდან

შემდეგ ყრილობას ესალმებიან უკრაინის მუშების და გლეხების წარმომადგენელნი. მეტად მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ფალკომ**. იგი ლაპარაკობს უკრაინის მელითონეთა და მემაღაროეთა სახელით.

„უკრაინის მუშები, — აცხადებს ამხ. ფალკო, ემხრობოდენ და ემხრობიან ლენინის მოძღვრებას, კომპარტიას, რომელიც ერთად - ერთია მთელ მსოფლიოში".

ამხ. **პეტროვი** კითხულობს მისასალმებელ ადრესს ხარკოვის ელექტრომექანიკური ქარხნის 5.500 მუშისაგან. იგი ამხ. რიკოვს, რომელიც ხარკოვის ელექტრო - მექანიკური ქარხნის მუშებმა აირჩიეს საპატიო ხარატად, გადასცემს საანგარიშო წიგნაკს.

გლეხი **კოლცოვი** ყრილობას ესალმება უკრაინის გლეხობის სახელით. იგი ლაპარაკობს უკრაინულ ენაზე.

„ჩვენ გვაქვს ბევრი სოფლები, — ამბობს იგი, — სადაც გაყვანილია ელექტრონი, აშენებულია ახალი სკოლები და ქოხ - სამკითხველოები. უკრაინის გლეხობა მტკიცედ იცავს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს და ემსახურება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას".

ტვერელებისაგან

ტვერის ქარხნების 35.000 უპარტიო მუშის დელეგაციამ ყრილობას გადასცა ამხ. ლენინის სურათი, გაკეთებული წითელი ვარსკვლავის მსგავსად. სურათი შედგენილია ჩითის ნაჭრებისაგან საფეიქრო ფაბრიკის ერთ-ერთი მოწაფის მიერ.

კუზბასის მემაღაროებისაგან

სიტყვა ეძლევა კუზბასის მემაღაროეთა წარმომადგენელს ამხ. **მაკაროვს**.

ამხ. მაკაროვი თავისი სიტყვის დაწყებამდე ტრიბუნაზე სდგამს ყრილობისათვის ჩამოტანილ საჩუქარს და შემდეგ ლაპარაკობს:

„მე ჩამოგიტანეთ კუზბასის მემაღაროების მხურვალე სალამი. საჩუქარი, რომელიც ჩვენ ჩამოვიტანეთ ცხადყოფს სითკენ მივყვებართ კომპარტიის ლენინურ ცეკას და იმასაც, თუ სად მივყავართ ოპოზიციას. ორიგინალური მოდელი წარმოადგენს მაღაროსაკენ მისასვლელ გზას. ვაგონეტკა ხის მასალით ნიშნავს კომპარტიას, რომელსაც მივყვებართ ჩვენ მსოფლიო ოქტომბრისაკენ. ჩვენ არ გვშია, გვაცვია ტანზე და ფეხზე — ათავებს თავის მისალმებას ამხ. მაკაროვი, — ყველაფერი, რასაც ლაპარაკობს ოპოზიცია ცილისწამებაა და არც ერთი მუშა და არც ერთი გლეხი არ გაჰყვება ოპოზიციას.

ქარხანა „წითელი შუქურას" (ლენინგრადი) დელეგატ - ქალის **ანდრონოვას** შემდეგ ყრილობას ესალმება იჟევსკის ქარხნების მუშა ამხ. **ტიმოშინი**.. ტიმოშინმა ყრილობას გადასცა თოფი, როგორც მუშათა კლასის სიფრთხილის და თავდაცვის უნარიანობის სიმბოლო, იმ მუშათა კლასისა, რომელიც მიჰყვება კომპარტიას.

შემდეგ ყრილობას ესალმება სტალინგრადის ქარხანა „კრასნი ოქტიაბრის" წარმომადგენელი. მოკლე მისასალმებელი სიტყვის შემდეგ სტალინგრადელმა მუშამ ამხ. **პანკრატოვმა** გადასცა ყრილობას ფოლადისაგან ჩამოსხმული ცოცხი. „ამ ცოცხს—ლაპარაკობს ამხ. პანკრატოვი—**ჩვენ ვაძლევთ პარტიას იმისათვის, რომ მან ამ ცოცხით გამოხვეტოს მთელი ოპოზიცია. გაუმარჯოს ჩვენი, სტალინგრადელი მუშებისათვის საყვარელ ბელადს ამხ. სტალინს**". ამ სიტყვებით ამხ. პანკრატოვი ასრულებს თავის მისასალმებელ სიტყვას. მთელი ყრილობა მას დაუსრულებელი ტაშით აჯილდოვებს.

ინჟინერთა და ტეხნიკოსთა მისალმება

შემდეგ 20 ათასი ორგანიზაციულად შეკავშირებულ ინჟინერების სახელით ყრილობას ესალმება ინჟინერების და ტეხნიკოსების მოსკოვის მეოთხე საგუბერნიო კონფერენციის დელეგატი ამხ. **ნაიდენოვი**. „**ინჟინერებმა დიდი ხანია შეიგნეს, რომ აზროვნების განთავისუფლება და მეცნიერების და ტეხნიკის განვითარება შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. კონფერენციამ დამავალა დამერწმუნებია ყრილობა იმაში, რომ ინჟინერებს და ტეხნიკოსებს სურთ მთელი ენერგია მოანდომონ ინდუსტრიალიზაციის საქმეს და ყველა ზომები იხმარონ იმისათვის, რომ ხუთწლიანი სამეურნეო გეგმასთან დაკავშირებული ამოცანები შესრულებული იქნეს ნაკლები ხარჯით და მაქსიმალური ნაყოფიერებით. ნება მიბოძეთ ინჟინერების და ტეხნიკოსების კონფერენციის სახელით გადავსცე ყრილობას ელსადგურის მოდელი, როგორც მეცნიერების და შრომის გაერთიანების სიმბოლო და როგორც სიმბოლო ელექტროფიკაციის დიადი იდეისა, რომელიც წამოაყენა ლენინმა. გაუმარჯოს მე-15-ე ყრილობას**".

საუკეთესო საჩუქარი პარტიას

შემდეგ ყრილობას ესალმება ყოფ. ცინდელის ჩითის პირველი ფაბრიკის მუშა-ქალი ამხ. **მოროზკინა**, რომელიც აცხადებს:

„ჩვენ ერთი საჩუქარი გვაქვს ყრილობისა და ცეკასათვის — ეს ის 60 კვალიფიციური მუშაა, რომელიც ჩვენმა ფაბრიკამ მისცა პარტიას. ოპოზიციას ნუ ექნება პირველი ჩითის ფაბრიკის იმედი".

მელითონეთა მისალმება

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სტალინის ლითონის ქარხნის მუშების წარმომადგენელი ამხ. **ვოლნიანსკი**. „მე ვაცხადებ ამბობს ის, რომ **18000 სტალინელი მხარს უჭერენ ცენტრალურ კომიტეტს ოპოზიციის გამთიშველი მუშაობის წინააღმდეგ**".

ამხ. **ვოლჩაკი** ლენინგრადის ვასილეოსტროვის რაიონის მშრომელებისა და ლენინგრადის ბალტიის ქარხნის 7.000 მუშა - მოსამსახურის სახელით ამბობს. „ბალტიის ქარხნის მუშები ერთსულოვნად გმობენ ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობას. პარტიის რიგებიდან გასულ ოპოზიციონერების ადგილზე ისინი პარტიას აძლევენ ახალ წევრებს— მუშებს დაზგიდან, რომლებიც პარტიასთან ერთად მზად არიან იარონ მსოფლიო რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებამდე, სოციალისტური საზოგადოების შექმნამდე.

ამხ. **ჩაშინი** ყრილობას ესალმება ქარხანა „მოტორ" და „იაკორ"-ის მუშა-მოსამსახურეების სახელით და ამბობს:

„ქარხანა „მოტორ" და „იაკორ"-ის მუშები არწმუნებენ მე-15 ყრილობას, რომ ოპოზიციის მუშაობა არავითარ გამოძახილს არ პოულობს მშრომელთა ფართო მასებში, საკავშირო კომპარტიის ყრილობამ ოპოზიციის წინააღმდეგ უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიისა და მუშათა კლასის შემდგომი მუშაობის წარმატებას სოციალიზმის მშენებლობის საქმეში".

„მონომეტრ"-ის მუშებისაგან

ამხ. **პრონინი** ყრილობას ესალმება ქარხანა „მონომეტრ"-ის მუშა - მოსამსახურეების სახელით.

უკრაინელ მოჯამაგირეებისაგან

უკრაინის მოჯამაგირეების სახელით ყრილობას ესალმება ამხ. **ჩერნიშევი**. „ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ განვლილმა 10 წელმა გვაჩვენა, — ამბობს ჩერნიშევი, რომ მუშებსა და გლეხებს შეუძლიათ სოციალიზმის მშენებლობა და ააშენებენ კიდეც. მოჯამაგირეები გადაჭრით გმობენ ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას და მოითხოვენ, რომ ყველა, ვინც განაგრძობს გამთიშველ მუშაობას, გამორიცხულ იქნეს პარტიიდან. მოჯამაგირეები სიტყვას აძლევენ ყრილობას, ყველა მისი გადაწყვეტილებები სავალდებულო იქნება არ მარტო პარტიის წევრებისათვის, არამედ ყველა მოჯამაგირეებისათვისაც, რომლებიც პარტიის ხელმძღვანელობით განაგრძობენ სოციალიზმის მშენებლობას".

„ბოლშევიკ"-ის მუშებისაგან

ლენინგრადის ქარხანა „ბოლშევიკ"-ის მუშებისა და მოსამსახურეების სახელით ყრილობას ესალმება ამხ. **ჩერნიაკი**, რომელიც აღნიშნავს, რომ მუშათა კლასი მზადაა მომავალშიაც იაროს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

„გულის ფანცქალით ადევნებდნენ თვალ-ყურს ლენინგრადის მუშები,—ამბობს ის, ოპოზიციის მუშაობას და ამჟამად მოითხოვენ, რომ პარტიამ ერთხელ და საბოლოოდ მოუღოს ბოლო პარტიის დეზორგანიზატორებს და კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი მთლიანობა".

მთლიანობის დემონსტრაცია

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის ამას წინედ ჩატარებულ დღესასწაულზე ჩვენ ვიხილეთ უდიდესი მასიური დემონსტრაცია მთელი ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობისა, რომელნიც აღფრთოვანებით ესალმებოდენ საბჭოთა ხელისუფლებას და ჩვენს პარტიას პირველი სოციალისტური ქვეყნის მრავალმა მილიონმა მშრომელმა ამ დღეს გვიჩვენეს, რომ ისინი ოქტომბრის რევოლიუციის იდეების ერთგულნი არიან, რომ მზად არიან თავისი მკერდით დაიცვან პროლეტარული რევოლიუციის დიადი მონაპოვარი ყოველგვარი იერიშებისაგან, ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდენ ეს იერიშები.

ეს იყო არაჩვეულებრივი მასიური დემონსტრაცია, რომელიც ჩვენმა მეგობრებმა და მტრებმა ყველა ქვეყნებში შეაფასეს ისე, როგორც საბჭოთა კავშირის უდიდესი ძლიერების უდავო გამოხატულება. ჯერ კიდევ არ მინელებულა ოქტომბრის დემონსტრაციის მძლავრი გამოძახილი და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა ახალი ათეული ათასობით მოწინავე პროლეტარების შესვლით კომპარტიის რიგებში კვლავ მოახდინა საკავშირო კომუნისტური პარტიისადმი ნდობის დემონსტრაცია. ასეთი იყო პროლეტარული მასების ღირსეული პასუხი ყველა სახის გაკოტრებული ცილისმწამებლებისადმი, რომელნიც თუთუყუშივით განუწყვეტლივ გაიძახოდენ, რომ ვითომც ლენინური პარტია ასცდა მუშათა კლასის გზას და თითქოს იგი „ტერმიდორიანულ გადაგვარებას" განიცდის. პარტიამ თავისი რიგებიდან გააძევა მუშათა მასებისაგან მოწყვეტილი ორიოდე ასეული ინტელიგენტი - დეზორგანიზატორი, რომელნიც გადაგვარდნენ „ყოფილ" რევოლიუციონერებად, და მათ მაგიერ პარტიამ მიიღო საკავშირო 70.000 ახალი წევრი, დაზგის მუშები. ეს იყო მეორე დემონსტრაცია იმ მკიდრო კავშირისა, მთლიანობისა, რომელიც არსებობს ლენინური პარტიისა და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს შორის. და აი, დაბოლოს, გუშინ, ბოლშევიკური პარტიის მე-15 ყრილობის გახსნის დროს ჩვენ ვიხილეთ უპარტიო მუშებისა და ჩვენი პარტიის მთლიანობის მესამე უდიდესი დემონსტრაცია.

ვინც მოისმინა დაუვიწყარი სიტყვები მუშათა და გლეხთა უპარტიო დელეგატებისა, რომელნიც მიესალმნენ ყრილობას მათ გამომგზავნ ქარხნების, მაღაროების და სოფლების სახელით, — მან არამც თუ დაინახა, მან იგრძნო შეურყეველი ძალა და მძლავრი ნიადაგი, რომელზედაც დამყარებულია ლენინური პარტიის მთელი შენობა, ნიადაგი, რომელიც ყველა მის წარმატებათა და გამარჯვებათა საწინდარსა და მიზეზს წარმოადგენს.

ეს ძალა, ეს ურყევი ნიადაგი არის ჩვენი პარტიის პოლიტიკის მტკიცე კავშირი მუშათა და გლეხთა მშრომელი მასების ძირითად ინტერესებთან, იმ ინტერესებთან, რომელნიც გასაგებია ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ყოველი პროლეტარისა და მშრომელისათვის.

რა გაისმოდა ლეიტ - მოტივად უპარტიო მუშების ამ ღირსშესანიშნავ, დაუვიწყარ სიტყვებში, რომლებითაც მათ მიმართეს მე-15 პარტყრილობის დელეგატებს? ერთ-ერთმა უპარტიო მუშამ მათი უმთავრესი აზრი გამოსთქვა, მაშინ როცა მან ყრილობას უძღვნა საჩუქარი — ღუმელის მოდელი, როგორც ჩვენი სამეურნეო მიღწევათა სიმბოლო, და განაცხადა, რომ მუშები თავის ღუმელს ანდობენ ლენინურ პარტიას და არავის მისცემენ ნებას ჩააქროს ეს ღუმელი. მუშებმა სოციალიზმის მშენებლობის საქმის ხელმძღვანელობა მიანდვეს ბოლშევიკურ პარტიას და ისინი არავის მისცემენ ნებას შეუშალონ ხელი ჩვენს მშენებლობას, ჩაშალონ ჩვენი მუშაობა.

ეს არის პასუხი ჩვენი მტრებისადმი, რომელთაც კვლავ აქვთ განზრახვა ახალი ომი დაიწყონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელთაც სურთ ჩააქრონ ჩვენი ღუმელები. ეს არის პასუხი მოწუწუნეთა, მწუხარეკრეხელთა და დეზერტირებისადმი, რომელნიც გარბიან მუშათა გემიდან, როგორც გარბიან ვირთხები, რომელთაც ჰგონიათ, რომ გემი იღუპება. დეე, ისინი, თუ მათ სურთ, გადავარდენ წყალში, — ჩვენი გემი კვლავ იმედიანად განაგრძობს თავის გზას, და არ შესცვლის ლენინურ კურსს.

იმ მისალმებათა შორის, რომელნიც მე-15 ყრილობამ მოისმინა, იყო ჩვენი ტეხნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელთა მისალმება, რომელთაც განაცხადეს, რომ ისინი მთელ თავის ცოდნას და ენერგიას მოანდომებენ სოციალისტური მშენებლობის საქმეს, რომელიც სწარმოებს პარტიის ხელმძღვანელობით. მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან და მეცნიერებისა და ტეხნიკის ყველა საუკეთესო ძალებთან, — ეს არის საწინდარი იმისა, რომ არა მარტო დავეწევით, არამედ გაუსწრებთ კაპიტალისტურ დასავლეთს იმაში, რაც შეადგენს მის უმთავრეს ძალას — წარმოების მოწინავე ტეხნიკაში.

პარტია თავის მე-15 ყრილობაზე, რომელზედაც ოპოზიციას ამჟამად არც ერთი ხმა არ აქვს, თავის არაჩვეულებრივ მთლიანობის და გაუყოფლობის დემონსტრაციას ახდენს: ჩვენ ეხლა მეტის უფლებით, ვიდრე ოდესმე, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენი პარტია მთლიანად ჩამოსხმულია მხოლოდ და მხოლოდ ლენინური ფოლადისაგან. და ამასთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავზე, ამავე უფლებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არაჩვეულებრივი მთლიანობა და ურთიერთისადმი ნდობა არსებობს პარტიისა და ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს შორის. ბოლშევიკებმა მუშათა კლასთან ერთად აანთეს სოციალიზმის ღუმელი, რომლის ალი ედება მთელ მსოფლიოს. ჩვენ არავის და არასოდეს არ მივსცემთ საშუალებას, რომ ჩააქროს ეს ღუმელი. მის ალში დაიწვის კაპიტალიზმის დახავსებული წყობილება და გამოიჭედება მთელი ჩაგრული კაცობრიობის საუკეთესო, დიადი მომავალი.

„პრავდა", 3 დეკემბერი.

ყრილობის დღიური

მოსკოვი, 3 დეკემბერი. პარტყრილობის მეორე დღეს, 3 დეკემბერს, ანგარიში ცეკას მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. სტალინმა, რომელსაც მთელი ყრილობა მქუხარე ოვაციით შეხვდა. მოხსენებამ მოუნდა მთელი დილის სხდომა, ის გაგრძელდა საღამოს სხდომაზედაც და დასრულდა 8 საათზე. ამხ. სტალინის მოხსენებას ხშირად აწყვეტინებდენ მქუხარე ტაშით და მოწონების შეძახილით. მოხსენების დამთავრების შემდეგ ყრილობამ ამხ. სტალინს გრანდიოზული ოვაცია გაუმართა. ყველა დელეგატები ფეხზე ადგნენ და მღეროდენ „ინტერნაციონალს". ცეკას პოლიტიკურ ანგარიშის შემდეგ ორგანიზაციული ანგარიში გააკეთა ამხ. **კოსიორმა**.

ხვალ, 4 დეკემბერს, ყრილობა მოისმენს ცეკას სარევიზიო კომისიის ანგარიშს, რომელსაც გააკეთებს ამხ. **კურსკი**. (ადს).

(ყრილობის ანგარიშის გაგრძ. იხ. მეორე გვერდზე)

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხოეთის პრესა ამხ. ლიტვინოვის წინადადებების შესახებ

სენატორ ბორას სენატში შეაქვს წინადადება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ

ამერიკის მთავრობა მისაღებად სთვლის საბჭოთა კავშირისათვის გრძელვადიანი კრედიტების მიცემას

ჟენევის კონფერენციაზე

სერიოზულ განხილვას მოითხოვენ

ლონდონი, 2 დეკემბერი. მშვიდობიანობის მეგობართა საზოგადოების კომიტეტმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც იმედს გამოსთქვამს, რომ ჟენევაში წარმოდგენილი მთავრობანი სერიოზულად განიხილავენ საბჭოთა დელეგაციის წინადადებას". (ადს).

უშიშროების კომისიაში

ჟენევა, 2 დეკემბერი. დეკემბრის 2 უშიშროების კომისიის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი.

ეს კამათი სრულიად განზე სტოვებს საკითხის პოლიტიკურ მხარეს და შეეხებოდა მხოლოდ პლენუმისა ან ერთა ლიგის იმ არსებულ გადაწყვეტილებათა ანალიზს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნენ ისეთ საკითხებათ, რომელსაც კავშირი აქვთ უშიშროების საკითხთან. საკითხის ასეთი დაყენება იწვევს უშიშროების საკითხის განხილვის გაჭიანურებას, აგვიანებს განიარაღების ყოველგვარი კონკრეტიული გეგმების განხილვას.

სხდომის ბოლოს კამათი აღიძრა კომისიის მოწვევის ვადის შესახებ. ბენეშმა წინადადება შეიტანა, მოწვეულ იქნას უშიშროების კომისია თებერვლის 20 იმ ვარაუდით, რომ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისია მოწვეული იყოს მარტის დამლევს.

ბრენსდორფი აშკარად წინააღუდგა ასეთ წინადადებას და უფრო მახლობელი ვადა მოითხოვა.

მოსამზადებელი კომისიის შემდეგ სხდომაზე მოსალოდნელია სერიოზული კამათი ამ საკითხის გარშემო. (ადს).

უშიშროების კომისია

ბერლინი, 2 დეკემბერი. გაზეთები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ უშიშროების კომისიის მნიშვნელობა ძლიერ შესუსტდა, ვინაიდან შეერთებულ შტატებმა უარი განაცხადეს ამ კომისიაში მონაწილეობაზე. (ადს).

„ფანტასტიკა"

ლონდონი, 2 დეკემბერი. ჟურნალისტებთან საუბრის დროს ინგლისის ყოფილმა წარმომადგენელმა ერთა ლიგაში ლორდმა სესილმა საბჭოთა დელეგაციის წინადადებანი „განუხორციელებლად" ჩასთვალა.

ჩემის აზრითაო, — განაცხადა სესილმა, — ასეთი ხასიათის წინადადებანი სერიოზულად ვერ ჩაითვლება. ოთხი წლის განმავლობაში მთელი მსოფლიოს განიარაღების შესახებ ლაპარაკი — ფანტასტიკაა. ეს საკითხის საქმიანი დაყენება არ არის". (

ლატვიის დელეგაცია

კოვნო, 2 დეკემბერი. ლიტვის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც გაემგზავრა ჟენევაში, შედის ლიტვის პრემიერი ვოლდემარასი

განცხადება ორგანიზაციისა „ძირს ომი".

ლონდონი, 2 დეკემბერი. პაციფისტური ორგანიზაციის „ძირს ომი"-ს სამდივნომ გამოაქვეყნა პრესაში განცხადება, რომელშიაც სამდივნო საბჭოთა დელეგაციის წინადადებათა შესახებ დადებით აზრს გამოსთქვამს. (ადს).

მაკდონალდი სდუმს.—ტომასი პასუხს გაურბის

ლონდონი, 2 დეკემბერი. მაკდონალდს აქამდე თავისი აზრი არ გამოუთქვამს საბჭოთა დელეგაციის წინადადებათა შესახებ ჟენევაში. მაგრამ კენსინგტონში გამოსულმა ტომასმა განავითარა თვალსაზრისი, რომელიც მუშათა მოძრაობის მარჯვენა ფრთის დამახასიათებლად ითვლება.

ტომასს შეეკითხენ: იწონებს თუ არა საბჭოთა დელეგაციის წინადადებებს? ტომასი რამდენიმე ხანს ყოყმანობდა, შემდეგ კი უპასუხა:

„ეს ძნელი საკითხია არა იმიტომ, რომ მე მსურდეს პასუხი ავიცილო, არამედ იმიტომ, რომ არ მინდა გამოვიწვიო კამათი, რომლის შედეგები ჩემი განზრახვის წინააღმდეგი იქნება. მე მივესალმები დისკუსიის ყოველგვარ პრაქტიკულ ცდას, რა წყაროდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, თუ კი გულწრფელობა ეჭვებს არ იწვევს, და თუ დისკუსიის მიზანს განიარაღების პრობლემის გადაწყვეტა შეადგენს".

ტომასმა არსებითად პასუხი არ გასცა შეკითხვას, მას, უეჭველია, უნდოდა მიკიბულ-მოკიბულად საბჭოთა წინადადებებისათვის ეწოდებია „არაგულწრფელი და არაპრაქტიკული" წინადადებანი (ადს).

ბრიანის იმედები

პარიზი, 2 დეკემბერი. დეპუტატთა პალატაში ბრიანმა განიარაღების საკითხის გარშემო შემდეგი განაცხადა:

„მე მეუბნებიან, რომ ჟენევაში მეტად ავტორიტეტიანმა პირმა წამოაყენა ფართო, ბრწყინვალე პროგრამაო. ჩვენ გვეუბნებიან: „ნუ არკვევთ უშიშროების საკითხს, რადგან თუ ამ პრობლემის განხილვას დაიწყებთ, ვერასოდეს ვერ გაათავებთ მას, ხელი მოჰკიდეთ ჯერ განიარაღების საკითხსაო". ჩვენ მზადა ვართ ასე მოვიქცეთ. ამ თემაზე ძალიან მჭერმეტყველად შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ განიარაღება ერთსა და იმავე დროს მოხდება? მაგრამ რომელი ქვეყანა მისცემს დანარჩენებს ამის მაგალითს და რომელი ქვეყანა იკისრებს თაოსნობას, თუნდაც ეს ის ქვეყანა იყოს, რომელიც მზად არის ყველა განაიარაღოს".

შემდეგ ბრიანმა სთქვა:

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები ჟენევაში მივიდნენ. ისინი იქ განიარაღების საკითხს არკვევენ, ცოტა არ იყოს, იდეალისტურად. დაბოლოს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები ჟენევაში სხვა მთავრობათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით განიცდიან ისეთ გავლენას, რომელიც სხვა საკითხებშიც გამოიწვევს თანამშრომლობას. მეორე მხრით, როდესაც საბჭოთა წარმომადგენლები ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ დაადგენ თავდაუსხმელობის ხელშეკრულებათა გზას, ამით ისინი ნაბიჯს ხდგამენ წინ ლოკარნოსაკენ. ჩვენ სიამოვნებით მოუსმენთ მოსკოვს, თუ ხვალ მოსკოვი დაიცავს აგრეთვე გაფართოებული ხელშეკრულების იდეას, რომელსაც შეუძლია შექმნას ლოკარნო აღმოსავლეთ ევროპაში, და არა განკერძოებული ხელშეკრულების იდეას, რომელიც გვაიძულებს ეჭვი მივიტანოთ დაფარული აზრების არსებობაზე. ჩვენ ეს საბჭოთა მთავრობას ვაუწყეთ" (ადს).

პრესის გამოძახილი

ამერიკის პრესა

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. ამერიკული პრესა ამხ. ლიტვინოვის დეკლარაციას დიდის ყურადღებით ექცევა. გაზეთების უმეტესობამ ლიტვინოვის სურათი მოათავსა თავის ფურცლებზე.

გაზეთების ჟენეველი კორესპონდენტები დეკლარაციას უწოდებენ: „გამაოცებელს", „თავბრუდამხვევს", „სენსაციურს".

ბალტიმორ სენი იწონებს საბჭოთა დელეგაციის წინადადებას, რომელსაც, გაზეთის აზრით, ხალხის მასები ყველგან იზიარებენ.

სენატორმა ბორამ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ის საბჭოთა დელეგაციის წინადადებას გულწრფელ ნაბიჯად სთვლის და ჰკიცხავს იმ იჭვიანობას, რომელიც ხელს უშლის დელეგაციის წინადადებათა სერიოზულად განხილვას. ბორამ განსაკუთრებული კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ გერმანია და საბჭოთა კავშირი ნამდვილი განიარაღების მისწრაფებაში ერთმანეთს მხარს უჭერენ.

რადიკალმა სენატორებმა ნორისმა და ბრუკჰარტმა საკავშირო დეპეშათა კორესპონდენტს განუცხადეს, რომ ისინი იწონებენ ლიტვინოვის დეკლარაციას; იგი კონფერენციის დანარჩენ მონაწილეთა გულწრფელობის გამოსაცდელ საშუალებად მიაჩნიათ.

გარეშე საქმეთა მინისტრმა კელოგმა არ მოისურვა ლიტვინოვის წინადადებათა შესახებ თავისი აზრის გამოთქმა.

საფრანგეთის პრესა

პარიზი, 2 დეკემბერი. საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა კომენტარიებს უკეთებს საბჭოთა კავშირის წინადადებებს, რომლებიც შეტანილ იქნა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სესიაზე და კმაყოფილებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ამ წინადადებათა განხილვა გადადებული უნდა იყოს თებერვლამდე.

გაზეთები ცდილობენ შეანელონ ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა საბჭოთა დელეგაციის წინადადებამ, და აშკარა შიშს გამოსთქვამენ ამ წინადადების საგიტაციო ძალის მიმართ.

კომპარტიის ორგანო „იუმანიტე" სწერს:

„იმპერიალისტური სახელმწიფოების დელეგატები პირისპირ არიან დაყენებულნი მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობის წინაშე. ცუდი ინფორმაცია ექნება პროლეტარიატს, თუ კი ადასტურებს საბჭოთა კავშირის სისტემატიურ ის შეინარჩუნებს რაიმე ილიუზიებს ჟენევის სესიის მიმართ; საბჭოთა კავშირის გამოსვლა მისწრაფებას მშვიდობიანობისადმი და უკანასკნელ საბუთს წარმოადგენს იმისას, რომ ვერც ერთი ბურჟუაზიული მთავრობა საბჭოთა კავშირის წინადადებაზე ვერ გასცემს ნათელ, მტკიცე და დამადასტურებელ პასუხს" (ადს).

გერმანიის პრესა

ბერლინი, 2 დეკემბერი. „როტე-ფანე" ლიტვინოვის სიტყვის შესახებ სწერს:

„განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სხდომა ამ ჟამად დიდი მოვლენის სარბიელად გადაიქცა; ეს მოვლენა მოსამზადებელი კომისიის არსებობის განმავლობაში თავისი ელემენტარული სიცხადით უმაგალითო. სხდომაზე ერთის მხრით გამოვიდა საბჭოთა დელეგატი, რომელმაც მუშათა პირველი სახელმწიფოს სახელით ბრალდება-ბრალდებაზე მიახალა დამნაშავეებს, მეორე მხრით გამოვიდნენ იმპერიალისტები, რომლებმაც ომი მოაწყვეს. მაგრამ იმპერიალისტები სალაპარაკოდ თვითონ არ გამოსულან; მათ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ორატორად გამოიყვანეს პოლ ბონკური—ბურჟუაზიის ერთგული ლაქია მუშათა კლასის ბანაკში. საბჭოთა დელეგატის სიტყვა წარმოთქმული იყო რამდენიმე მილიონ გაყულეფილის მიმართ, რომლებიც გულდასმით უსმენდენ ლიტვინოვს. მთელი მსოფლიოს ექსპლოატატორები მალე იგრძნობენ მათ არსებობას (ადს).

შვეციის პრესა

„გთხოვთ ნუ შეეხებით"

სტოკჰოლმი, 2 დეკემბერი. შვეციის ბურჟუაზიულ პრესის კომენტარიები ჟენევაში საბჭოთა დელეგაციის გამოსვლის შესახებ წარმოადგენენ ინგლისის კონსერვატიულ პრესის კომენტარიების გამოძახილს.

მუშურ გაზეთებიდან კომენტარიები საბჭოთა დელეგაციის გამოსვლის შესახებ ჯერ-ჯერობით მოათავსა მხოლოდ სინდიკალისტების ორგანომ „არბეტარენ"-მა. გაზეთი სწერს:

„განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში შეტანილი წინადადება განიარაღების შესახებ, ბურჟუაზიული პრესის კორესპონდენტის აზრით, იწვევს სიცილს და მას რაიმე სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ. როგორც ჩანს, ამ კომისიაში შეიძლება ყოველგვარი წინადადების შეტანა, გარდა წინადადებისა განიარაღების შესახებ. განიარაღების საკითხს ბურჟუაზიული სახელმწიფოები ჟენევაში აგზავნიან წარწერით: „გთხოვთ ნუ შეეხებით". მაშინ როცა, განიარაღების პროგრამა, რომელიც წამოყენებულია სერიოზულად, უდიდესი ყურადღების ღირსია".

დასასრულ გაზეთი გამოსთქვამს რწმენას, რომ მშრომელი მასები გაიგებენ ჟენევაში გამოფენილ განწყობილების ნამდვილ აზრს (ადს).

იტალიის პრესა

რომი, 2 დეკემბერი. იტალიის პრესა გაკვირვებით მსჯელობს საბჭოთა დელეგაციის გამოსვლაზე ჟენევაში და ცდილობს დასახოს ის, როგორც „ჩვეულებრივი პროპაგანდა".

„ტრიბუნა"-ს მოჰყავს საბჭოთა მემორანდუმის ცნობები საფრანგეთის ქვეითა ჯარში ტყვიისმფრქვეველების რაოდენობის გადიდების შესახებ და ამის შემდეგ სასაცილოთ მიაჩნია ბრიანის სიტყვა ერთა ლიგის უკანასკნელ სესიაზე: „ძირს ტყვიისმფრქვეველები".

ამერიკა და საბჭოთა კავშირი

სენატორი ბორა მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას

ნიუ - იორკი, 2 დეკემბერი. სენატორმა ბორამ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს სენატში შეიტანოს რეზოლიუცია შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ

გრძელვადიანი სესხი საბჭოთა კავშირისათვის

ნიუ - იორკი, 2 დეკემბერი. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 30 ნოემბრის განცხადებას, საბჭოთა კავშირისათვის გრძელვადიანი სესხის მიცემის შესახებ. შეერთებულ შტატების პოლიტიკური და სამეურნეო წრეები აფასებენ ისე, რომ შეერთებული შტატების მთავრობა იწონებს საბჭოთა კავშირისათვის გრძელვადიანი სესხის მიცემას. იმ პირობით, თუ სესხად აღებული ფულით საქონელი შეძენილი იქნება მხოლოდ შეერთებულ შტატებში. (ადს).

პაციფისტების სრულიად ინგლისის ყრილობა

ლონდონი, 2 დეკემბერი. მანჩესტერში შესდგა პაციფისტების სრულიად ინგლისის ყრილობა. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს საბჭოთა კავშირის პროექტისათვის მხარის დაჭერას განიარაღების საკითხში. ყრილობაზე გამოვიდა ღვთისმეტყველი ნორვუდი, რომელმაც განაცხადა:

„ბოლშევიზმი არ შეიძლება აღმოფხვრილ იქნას საბჭოთა კავშირთან ომ-ს საშუალებით. ბოლშევიზმის გავრცელებასთან ბრძოლის გზა არის გზა სიღატაკის გავრცელებასთან ბრძოლისა, სიღატაკის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი კი არის ომი. თუ ინგლისის პასუხი საბჭოთა კავშირისადმი იქნა კატეგორიულად უარყოფითი ხასიათის, მშვიდობიანობის საქმის განვითარება ძლიერ შეფერხდება".

მისალმებები ყრილობას

მუშა-ქალების ადრესი

ტრიბუნაზე ადის სტეფანე ხალტურინის სახელობის ქარხნის მუშა-ქალი ამხ. კრაფტი, რომელიც ყრილობას ესალმება ამ ფაბრიკის 7.500 მუშისა და მუშა-ქალების სახელით. ეხება რა ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას, ამხ. კრაფტი ამტკიცებს, რომ ამ მუშაობას არავითარი გასავალი არა აქვს მუშათა მასებში. დასასრულ ის კითხულობს აღნიშნულ ფაბრიკის მუშებისა და მუშა-ქალების საერთო კრების ადრესს, რომელიც თავდება სიტყვებით: „ლენინური პარტიის რიგებში ადგილი არა აქვს არც მოღალატეებსა და არც რენეგატებს".

უკრაინელ რკინისგზელთა მისალმება

ხარკოვის რკინის გზის სახელოსნოების და ქარხნების მუშა ყრილობას ესალმება ხარკოვის რკინის გზის კვანძის 15.000 რკინისგზელის სახელით და აცხადებს, რომ ხარკოვის რკინისგზელები, რომლებიც წინად მუდამ ფეხდაფეხ მიჰყვებოდენ პარტიას, მომავალშიაც დაეხმარებიან მას პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობაში. მე-15 ყრილობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პარტიიდან გასულ ოპოზიციონერების დანაკლისს შეავსებენ ახალი წევრები.

ჩინეთის კომპარტიის მისალმება

სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცეკას წევრს ამხ. სია-ციფას. ყრილობა მას ოვაციას უმართავს.

„მე ვარწმუნებ ყრილობას, — ლაპარაკობს ის, — რომ ჩინეთის კომპარტია კომინტერნის ხელმძღვანელობით შეასრულებს ამოცანას და გამარჯვებით დაამთავრებს ჩინეთის მუშებისა და გლეხების განთავისუფლებას".

ამხ. რიკოვის საპასუხო სიტყვა

მუშებისა, მუშა-ქალებისა, გლეხებისა და საბჭოთა ინტელიგენციის სახელით გამოსულთა მისალმებების საპასუხოთ ყრილობის სახელით გამოვიდა ამხ. რიკოვი, რომელმაც სთქვა:

„ნება მიბოძეთ ყრილობის სახელით ვუპასუხო იმ მისალმებებს, რომლებიც ჩვენ მოვისმინეთ ყრილობის ტრიბუნიდან. ტრიბუნაზე ერთი-მეორეს სცვლიდენ მუშებისა, მოჯამაგირეებისა, გლეხებისა და კვალიფიციური შრომის ტეხნიკოსებისა და ინჟენრების მრავალრიცხოვანი კრებების აუარებელი წარმომადგენლები, ისინი ესალმებოდენ პარტიას. ხშირად უჩვეულო, მაგრამ მხატვრული და მკვეთრი სიტყვებით, რომლებიც გამსჭვალული იყვნენ ერთი აზრით—კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის მთლიანობის სურვილით, გამსჭვალული იყვნენ იმ შეგნებით, რომ უაზროა ოპოზიციის ცდა შეიტანოს გათიშვა კომუნისტურ პარტიაში, როგორც ქარხნებში იტყვიან,—არევ-დარევა მუშურ-გლეხურ წრეში. ჩვენი კავშირის მშრომელთა მრავალრიცხოვან ღია კრებების წარმომადგენელთა ამ გამოსვლებით გამოაშკარავდა ის უდიდესი ძალა, რომელიც აქვს მუშათა კლასს სოციალისტური მშენებლობისა და ბრძოლისათვის მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გასამარჯვებლად. ლენინის ხელმძღვანელობით გაიზარდა კომუნისტური პარტია. მისი ხელმძღვანელობით ის გახდა მუშებისა და გლეხების ორგანიზატორი და ბელადი ოქტომბრის სახელოვან დღეებში. ემყარება რა ლენინის მოძღვრებას, ის ამჟამად აკავშირებს და რაზმავს მუშათა კლასს და გლეხობას ახალი საზოგადოების მოსაწყობად. გაუმარჯოს ჩვენი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს! გაუმარჯოს მის კავშირს გლეხობასთან! გაუმარჯოს ყველა იმათ, ვინც უანგაროდ მუშაობდა, მუშაობს და იმუშავებს სოციალისტური საზოგადოების მოსაწყობად და შრომის გასამარჯვებლად მთელს ქვეყანაზე. (მქუხარე ტაში).

ჩინეთის ამბები

მიტინგის დახვრეტა

შანხაი, 2 დეკემბერი. რამოდენიმე დღის წინად უხანში ჩინეთის საფეიქრო ფაბრიკაში დაიწყო გაფიცვა. გაფიცვა გამოიწვია იმან, რომ ადმინისტრაციამ იმის შეკრებისათვის დაითხოვა მუშა-ქალები. გაფიცვის გამოცხადების შემდეგ, ფაბრიკაში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდნენ სუნიატსენის უნივერსიტეტის სტუდენტი ქალები. მოულოდნელად მიტინგს აუტეხეს სროლა. მოკლულია ერთი სტუდენტი ქალი და დაიჭრა ორი. ამის შემდეგ მიტინგის ადგილზე მივიდა 500 სტუდენტი. ფაბრიკის ადმინისტრაციამ გამოიწვია ჯარისკაცები, რომელთაც სტუდენტები ფაბრიკის ეზოში შერეკეს და გააჩერეს იქ მთელი ღამის განმავლობაში. მეორე დღეს ფაბრიკასთან მივიდა სტუდენტების მეორე ახალი ჯგუფი, სტუდენტებმა დააკავეს ყვითელ კავშირის ხუთი ხელმძღვანელი, რომელნიც აქვე იქნენ დახვრეტილი. მოსულმა ჯარის ნაწილებმა ვერ შესძლო მუშების და სტუდენტების გარეკა. ფაბრიკა დახურულია და მას იცავს ჯარის ნაწილები. რამოდენიმე სტუდენტი დაპატიმრებულია და იგზავნება ხანკოუში, სადაც მათ გაასამართლებენ. (ადს).

მუკდენის არსენალის აფეთქების ცდა

პეკინი, 2 დეკემბერი, იაპონიის სააგენტოს ცნობით, პოლიციამ დააპატიმრა სამი სამოქალაქო პალტოში გამოწყობილი პირი, რომლებიც აპირებდენ მუკდენის არსენალის აფეთქებას. გამოირკვა, რომ მუკდენში შემოიპარა 1.000-ზე მეტი კაცი, რომლებიც ფიქრობდენ ესარგებლათ არსენალის აფეთქებით და დასხმოდენ ელექტრონის სადგურს. მუკდენში შემოსული ჯგუფი მოელოდა, რომ მას დახმარებას აღმოუჩენდენ თანამოაზრენი მუკდენის რკინის გზის სხვადასხვა პუნქტებში. დაპატიმრებულმა პირებმა განაცხადეს, რომ მოძრაობას მხარს უჭერენ ბევრი ოფიცრები, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი მუკდენის ჯგუფისადმი. (ადს).

მუშათა ბრძოლა

მორიგი ღალატი

ბერლინი, 2 დეკემბერი. „ქრისტიანულ" პროფკავშირების მოღალატეობის გამო საარის ოლქში დასრულდა 27.000 მელითონეს გაფიცვა, რომლებიც მოითხოვდენ სამუშაო ხელფასის მომატებას 10 პროცენტით. ქრისტიანულ პროფკავშირების გამგეობამ, გერმანიის მელითონეთა კავშირთან შეუთანხმებლად გამოუშვა მოწოდება მუშებისადმი სამუშაოზე მათი დაბრუნების შესახებ. მუშების ნაწილი შეუდგა მუშაობას და ამნაირად გაირღვა გაფიცულთა ერთიანი ფრონტი (ადს).

ავსტრალიის საზღვაო ვაჭრობა შეჩერებულია

ლონდონი, 2 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება სიდნეიდან (ავსტრალია).

„ნავთსადგურის მუშებსა და მეწარმეებს შორის წარმოშობილ კონფლიქტის გამო, თითქმის სრულიად შეწყდა ავსტრალიის საზღვაო ვაჭრობა. 130 გემი უქმად არის გაჩერებული ავსტრალიის სხვადასხვა ნავთსადგურებში. თუ კონფლიქტი ახლო ხანში არ მოწესრიგდა, მაშინ მოსალოდნელია, რომ მუშაობას ნავთსადგურებში მიატოვებს კიდევ 21.000 მუშა. ახალ სამხრეთ უელსის შტატში 25.000 მეშახტეს ითხოვენ სამუშაოდან" (ადს).

გერმანელ რკინისგზელების გაფიცვა

ბერლინი, 2 დეკემბერი. რკინისგზელების გაფიცვა საარის ოლქში ფართოვდება. გაფიცულთა რიცხვმა მიაღწია 15.000. გაუფიცავ მუშების გაჩერება წარმოებებში სულ უფრო ძნელი ხდება. მთავრობის კომისიამ გამოსცა ბრძანება იმ გაფიცულთა დათხოვნის შესახებ, რომლებიც დაუყოვნებლივ არ განაახლებენ მუშაობას. მუშების უმრავლესობა არ სცნობს ამ ბრძანებას. რკინის გზების ადმინისტრაცია სცდილობს შტრეიკბრეხერებად გამოიყენოს მოხელეები, მაგრამ უკანასკნელნი ვერ ახერხებენ გაფიცვის ძალის შესუსტებას. რკინისგზელთა გაფიცვა დრეზდენში უცვლელად მიმდინარეობს. საბარგო მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. რკინისგზელთა ბერლინის კომიტეტმა, ბერლინელ რკინისგზელთა საბრძოლველ განწყობილების ზრდის გამო, გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მოიწვიოს რკინისგზელთა საგანგებო კრება საჭირო გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. (ადს).

რკინის გზელთა გაფიცვა

ბერლინი, 2 დეკემბერი. საარის ოლქში რკინის გზის სახელოსნოს მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა იმ მიზეზით, რომ ოლქის მმართველმა კომისიამ უარჰყო მათი მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ. სულ გაფიცულია 5.000 რკინისგზელი.

დრეზდენში ფართოვდება რკინის გზის მუშების გაფიცვა (ადს).

საფრანგეთის სამხედრო ბიუჯეტი

კამათი სამხედრო ბიუჯეტის გარშემო პარლამენტში

პარიზი, 2 დეკემბერი. კამათში სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი რენო ჟანი, რომელმაც პროტესტი განაცხადა სამხედრო სამსახურის ვადის ისეთ შემცირების წინააღმდეგ, რომლის პირობას წარმოადგენს 80.000 სამხედრო პირის შეკრება და რომლის მიხედვითაც სამხედრო სამსახურის ვადა მიაღწევს ერთ წელს არა უადრეს 1930 წლისა.

ამ 80.000 სამხედრო პირმა — სთქვა რენო ჟანმა — უნდა შეადგინოს მუნიციპალურ გვარდიისა და საველე ჟანდარმერიის ახალი კადრები. 1913 წელში ნამდვილ სამხედრო სამსახურში საფრანგეთში ირიცხებოდა არა უმეტეს 650.000 კაცისა, მაშინ, როდესაც 1928 წელში საფრანგეთის ჯარი, 30.000 ჟანდარმისა და 51.000 კოლონიალურ ჯარის ჩათვლით, შესდგება 673.648 კაცისაგან. საფრანგეთის სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც 1910, 1911 და 1912 წლებში საშუალოდ გამოიხატებოდა ერთ მილიარდ ფრანკში, წლიურად, ამჟამად სჭარბობს 7 მილიარდ ფრანკს.

მწვავე ინციდენტის შემდეგ, რომელიც გამოიწვია რენო ჟანის ენერგიულმა რეპლიკამ პენლევეს მიმართ, ჟანმა შემდეგი მოწოდებით დაამთავრა თავისი სიტყვა: „ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ ყველა პროლეტარები, რომ მათ კაპიტალისტურ ომს პასუხი გასცენ რევოლიუციონურ კლასის ომით".

შემდეგ გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი მარტი, რომელმაც მოითხოვა მარშალების შესანახ კრედიტების გაუქმება. კომუნისტმა დეპუტატმა დიუკლომ ენერგიული პროტესტი განაცხადა სათადარიგო ჯარისკაცთა განმეორებით გაწვევის წინააღმდეგ. დეპუტატმა ბარუმ შეიტანა წინადადება საველე ჟანდარმერიისათვის კრედიტების შემცირების შესახებ. მარტიმ, რომელიც გამოვიდა ამ წინადადების დასაცავად, გამოაქვეყნა საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს ორი ცირკულიარი, მათ შორის ერთი ხელმოწერილი პენლევეს მიერ. ამ ცირკულიარებში ხელისუფლების ორგანოებს წინადადება ეძლევა ისარგებლონ რესპუბლიკის გვარდიის ნაწილებით სათადარიგო ჯარისკაცებზე თვალყურის სადევნებლად. (ადს).

პარიზი, 2 დეკემბერი. კამათში საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ გამოვიდა კომუნისტი დიუკლო, რომელმაც პროტესტი განაცხადა კომუნისტების დევნისა და საფრანგეთის კოლონიების მოსახლეობის შევიწროების წინააღმდეგ საფრანგეთის მთავრობის მიერ. აღნიშნავს რა, რომ ეს რეპრესიები რევოლიუციონური ელემენტების წინააღმდეგ მოასწავებს კლასთა ბრძოლის გაღრმავებას, დიუკლო მოუწოდებს მუშათა კლასს, მოახდინოს რევოლიუციონური ზეგავლენა მმართველ კლასზე, რადგან ეს არის ერთად-ერთი საშუალება პროლეტარულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, რომლის განხორციელება შეუძლებელია პარლამენტარული მეთოდებით (ადს).

პოლონეთის მუშათა დელეგაცია

მოემგზავრება საბჭოთა კავშირში

ვარშავა, 2 დეკემბერი. დომბროვსკის ქვანახშირის რაიონში მისლოვიცის ერთ-ერთ ქარხნის მუშების მიტინგზე მიღებულია დადგენილება, რომ საბჭოთა კავშირში გაიგზავნოს ორი დელეგატი საბჭოთა კავშირის მდგომარეობის გასაცნობად. მუშებმა შეჰკრიბეს დელეგატების გასაგზავნ ხარჯების დასაფარავად საჭირო ფული. მიტინგი პოლიციამ გაფანტა. (ადს).

პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა

ვოლდემარასი უარყოფს

კოვნო, 2 დეკემბერი. ვოლდემარასმა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს ტელეგრაფით გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც უარყოფს პილსუდსკის განცხადებას იმის შესახებ, რომ თითქოს ლიტვაში გამოცხადებულია მობილიზაცია. (ადს).

პლეჩკაიტისი — სახელმწიფო მოღალატე

კოვნო, 2 დეკემბერი. გაზეთებში გამოქვეყნებულია სამხედრო სასამართლოს განცხადება პლეჩკაიტისის შეპყრობის შესახებ. პლეჩკაიტისს ბრალდება სახელმწიფო ღალატი. (ადს).

ერთა ლიგის გამოწვევა

ჟენევა, 2 დეკემბერი. პილსუდსკის ინტერვიუმ პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთა ლიგის წრეებში გამოიწვია უარყოფითი დამოკიდებულება და მას ხსნიან, როგორც გამოწვევას და ულტიმატუმს ერთა ლიგის მისამართით. ამასთან დაკავშირებით გავრცელდა ხმები, რომ პილსუდსკი აღარ მიემგზავრება ჟენევაში „ავათმყოფობის გამო".

საეჭვოთ მიაჩნიათ აგრეთვე პილსუდსკის შეხვედრა ვოლდემარასთან მას შემდეგ, რაც პილსუდსკიმ უპატივცემლოთ მოიხსენია ვოლდემარასი. (ადს).

პოლონეთის სოც. პარტიის ცეკა ლიტვასთან ომის წინააღმდეგია

ვარშავა, 2 დეკემბერი. პოლონეთის სოც. პარტიის ცეკას სხდომაზე მიღებულია რეზოლიუცია პოლონეთისა და ლიტვის ურთიერთობის შესახებ. რეზოლიუცია წინააღმდეგია ომისა პოლონეთსა და ლიტვის შორის და აგრეთვე იმისა, რომ პოლონეთმა ლიტვაში ინტერვენცია მოაწყოს. შემდეგ რეზოლიუცია საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საჭიროა პოლონეთსა და ლიტვას შორის ომის მდგომარეობის ლიკვიდაცია მოხდეს და დაიწყოს დიპლომატიური ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის; რეზოლიუცია ჰგმობს აღმოსავლეთ მემამულეთა პრესის გამოსვლებს, რითაც ხსენებული მემამულეები მოითხოვენ, რომ პოლონეთმა ხელში ჩაიგდოს ლიტვა. (ადს).

პილსუდსკი მოგზაურობს

ვარშავა, 2 დეკემბერი. დადის ხმები, რომ პილსუდსკი ჟენევიდან გაემგზავრება პარიზში და ლონდონში, ხოლო ზოგიერთი ცნობებით რომშიაც (ადს).

პოლონეთის მოთხოვნილებების „მინიმუმი"

ბერლინი, 2 დეკემბერი. სავსებით სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის მთავრობამ დასავლეთის სახელმწიფოებს აცნობა იმ მოთხოვნილებათა მინიმუმი, რომლებიც უნდა მიიღოს ერთა ლიგის საბჭომ, პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის შესახებ და განაცხადა, რომ თუ ჟენევაში არ იქნება მიღებული ეს მოთხოვნილებები, პოლონეთი იტოვებს მოქმედების სრულ თავისუფლებას; რაც შეიძლება გამოიხატოს ლიტვის წინააღმდეგ სამხედრო ზომების გამოყენებაში (ადს).

კოვნოს გარნიზონის ოფიცრების ულტიმატუმი

რეველი, 2 დეკემბერი. რეველის ტრუდოვიკთა გაზეთის „ვაბა მაას" რიგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 26 ნოემბერს შანცაში შედგა კოვნოს გარნიზონის ოფიცერთა კრება, რომელმაც დაადგინა წარუდგინოს ლიტვის მთავრობას ულტიმატუმი გადადგომის შესახებ. ოფიცერთა ნაწილი მოითხოვდა ვოლდემარასის მთავრობის დაუყოვნებლივ დაპატიმრებას მიუხედავად იმისა, უმრავლესობა ძალმომრეობითი მოქმედების წინააღმდეგ აღმოჩნდა.

გარნიზონის უფროსი პეტრუიტისი კვირას ღამით მოლაპარაკებას აწარმოებდა ვოლდემარასთან. დეკემბრის გადატრიალების ხელმძღვანელმა პლეჩკაიტისმა ვოლდემარასს ურჩია დააპატიმროს უფროსი პეტრუიტისი, პოლკოვნიკი ტუმსკისი და სხვები.

დადის ხმები, რომ პეტრუიტისი დახვრიტეს.

უკანასკნელი ცნობები

ლიტველი ემიგრანტების ორგანიზაცია

ვარშავა, 2 დეკემბერი. ამბობენ, რომ ვილნოში ჩავიდა ლიტვის არმიის კაპიტანი მაიუსი (ტაუროგენის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი); მაიუსი შეუდგა პლეჩკაიტისთან ერთად ლიტველი ემიგრანტების ორგანიზაციას. (ადს).

პლეჩკაიტისზე თავდასხმა მზადდება

ვარშავა, 2 დეკემბერი. ვარშავის გაზეთი „ექსპრეს პორანი" აქვეყნებს რიგიდან მიღებულ ცნობებს, რომლის მიხედვითაც, ლიტვის სამხედრო წრეები თითქოს პლეჩკაიტისზე თავდასხმას აწყობენ. (ადს).

„გაუმარჯოს საბჭოებს"

შანხაი, 2 დეკემბერი. კანტონში შესდგა მასიური მიტინგები ნანკინში მუშების დახვრეტის გამო. ჩან-ფა-კუის და სხვა გამოსულ ორატორებს სიტყვას აწყვეტინებდენ შეძახილით: „ძირს ჩან-ფა-კუი და ახალი მილიტარისტები! გაუმარჯოს საბჭოებს!" მიტინგზე დამსწრეთა შორის ფრიალებდა წითელი დროშები. მიტინგის მონაწილეთაგან სამი კაცი დაპატიმრებულია. (ადს).

ნანკინი ჩან ფა-კუის წინააღმდეგ

შანხაი, 2 დეკემბერი. ნანკინის მთავრობამ გამოუცხადა ომი ჩან ფა-კუის და გამოაქვეყნა ბრძანება მის წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციის დაუყოვნებლივ გაგზავნის შესახებ. ჩან ფა-კუის ბრძანებაში ბრალად ედება „კავშირი კომუნისტებთან" და „ღალატი გომინდანისადმი". ნანკინის მთავრობის ეს ღონისძიება არსებითად წარმოადგენს ომის გამოცხადებას ვან ცზინ-ვეისა და მის მომხრეთათვის, რომლებიც ჩამოვიდნენ კანტონიდან გომინდანის ცეკას პლენუმზე მონაწილეობის მისაღებად. გუანსის ჯგუფმა რომელსაც ხელთ უპყრია ნანკინი და ხანკოუ, როგორც ჩანს, გადასწყვიტა არავითარი მოლაპარაკება არ აწარმოოს ვან ცზინვეისთან და მიიღოს ზომები კანტონის დასაპყრობად. (ადს).

გამოსათხოვარი დარბაზობა

ტოკიო, 2 დეკემბერი. საბჭოთა კავშირში ვიკონტ გოტოს გამგზავრების გამო, იაპონია-საბჭოთა კავშირის ასოციაციამ, აღმოსავლეთის საზოგადოებამ და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამართეს გამოსათხოვარი დარბაზობა. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი იაპონიაში მაისკი. (ადს).

ულტრა-მემარცხენის სოციალ-დემოკრატად გადაქცევა

ვენა, 2 დეკემბერი. ყოფილი ულტრა-მემარცხენე როზენბერგი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შევიდა. (ადს).

ოსმალეთის ახალი ელჩი საბჭოთა კავშირში

ანგორა, 2 დეკემბერი. ოსმალეთის ახალი ელჩი საბჭოთა კავშირში ტევფიკ-ბეი 2 დეკემბერს სტამბოლიდან გაემგზავრა მოსკოვში. (ადს).

ინგლისის დელეგაციის გამგზავრება ჟენევაში

ლონდონი, 2 დეკემბერი. ჩემბერლენი და ინგლისის დელეგაცია ერთა ლიგის მორიგ სესიაზე გაემგზავრენ ჟენევაში. (ადს).

უხანის მრეწველები შეშფოთებულნი არიან

შანხაი, 3 დეკემბერი. სტუდენტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დახვრეტის შემდეგ უხანში დააპატიმრეს 10 სტუდენტი ქალი და 30 სტუდენტი ვაჟი. უხანის მრეწველები [illegible], რომ ქალაქში კომუნისტები ისევ არაჩვეულებრივ აქტივობას იჩენენ. (ადს).

ლი-ტი-სინის მთავრობა სვატოუში

შანხაი, 3 დეკემბერი. იტყობინებიან, რომ ლი-ტი-სინმა სვატოუში თავისი მთავრობა შეადგინაო. (ადს).

გერმანიის კომპარტიის ბადენის საოლქო ორგანიზაცია ოპოზიციის წინააღმდეგ

ბერლინი, 3 დეკემბერი. კარლსრუეში გამართულ გერმანიის კომპარტიის ბადენის საოლქო ორგანიზაციის კონფერენციაზე სასტიკად დაგმეს რუთ ფიშერის ჯგუფის მოღვაწეობა და მოიწონეს ტროცკისა და ზინოვიევის წინააღმდეგ მიღებული ზომები. კამათში მონაწილე ორმა დელეგატმა-ოპოზიციონერმა განაცხადეს, რომ ეთანხმებიან საოლქო კომიტეტს და დადგენილებას. ამის შემდეგ კონფერენციაზე შეტანილი ყველა წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. (ადს).

სასკოლო საქმე აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

ხარბინი, 3 დეკემბერი. ხარბინში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ნაწილებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას რკ. გზის სასკოლო განყოფილების შესახებ. სკოლებში საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა ბავშვების სწავლება და ამ სკოლების მართვა-გამგეობა უნდა შეეფერებოდეს ჩინეთში არსებულ სახალხო განათლების სისტემებს და უნდა ეთანხმებოდეს აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებებს. თუ გამოირკვა, რომ ერთმანეთს არ შეეფერება საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა ბავშვების სწავლების საქმე აღმოსავ.-ჩინეთის რკინის გზაზე და საბჭოთა კავშირის სკოლებში შემოღებული სწავლების სისტემა, მაშინ შესაძლებელია გადახვევა. (ადს).

გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის პრესის განყოფილებისაგან

მოსკოვი, 3 დეკემბერი. მიუხედავად საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს მიერ არა ერთხელ გამოქვეყნებულ უარყოფისა, უცხოეთის პრესა, რომელიც იკვებება ბნელ წყაროებიდან, კერძოდ რუმინეთის წყაროებიდან, განაგრძობს ცნობების მოთავსებას, ოპოზიციის ბრძოლასთან დაკავშირებით პარტიის წინააღმდეგ, თითქოს უკრაინაში ხდება მოსახლეობისა და წითელი არმიის აჯანყებები, რომლებსაც დიდის გაჭირვებით აქრობენ წითელი არმიის „ერთგული" ნაწილები და გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ჯარები.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის პრესის განყოფილება კატეგორიულად აცხადებს, რომ ამ ცნობებში იოტის ოდენა სიმართლეც კი არ არის, რომ უკრაინაში აბსოლიუტიური სიმყუდროვეა და რომ ეს ღვარძლიანი გამოგონილი ცნობები ვრცელდება იმ აშკარა განზრახვით, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ იმ ხელსაყრელ შთაბეჭდილებას საბჭოთა კავშირის შინაგან მდგომარეობის შესახებ, რომელიც გამოიტანეს ათასობით უცხოელებმა ჩვენს კავშირში ყოფნის დროს ოქტომბრის დღესასწაულებთან დაკავშირებით. (ადს).

ახალი მთავრობა ბელგიაში

ნდობის გამოცხადება ჟასპარის კაბინეტისათვის

პარიზი, 2 დეკემბერი. კამათი ბელგიის ახალი მთავრობის დეკლარაციის გარშემო დამთავრდა მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებით პრემიერ ჟასპარის განცხადების შემდეგ, რომ „მთავრობა ყველა საკითხებს ქვეყნის ფინანსიური აღდგენის და სამხედრო რეფორმის შესახებ განიხილავს სოციალისტებთან ერთად, თუ ისინი ამას მოისურვებენ"-ო. მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას ხმა მისცა 95 კაცმა, წინააღმდეგ —68. (ად.).

უცხოეთში

შეერთებული შტატების ეკონომიური მდგომარეობა

შეერთებული შტატების მრეწველობას უკანასკნელ ხანებში გარკვევით ემჩნევა ერთგვარი დეპრესია. ამ დეპრესიის გარეგანი ნიშნები შემდეგია.

თუმცა შრომის ხელფასი ზოგიერთ დარგებში გაიზარდა, მაგრამ საშუალო ხელფასი იგივე დარჩა, რაც იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ სრული სამუშაო დროის განმავლობაში მომუშავეთა რიცხვი შემცირდა. ამავე დროს შემჩნეულია უმუშევრობის ერთგვარი ზრდა. საფეიქრო მრეწველობას გარდა, უმუშევრობა ყველგან ვაიზარდა.

რკინისა და ფოლადის მრეწველობაში, რომელთა მდგომარეობა განსაზღვრავს მთელ რიგ სხვა დარგების მდგომარეობას, წარმოება, შარშანდელთან შედარებით, დაეცა ათი პროცენტით. რაც შეეხება მრეწველობის მეორე ძირითად დარგს — ნახშირის ძირითადობას, ბიტუმიან ნახშირის ამოღება ძლიერ შემცირდა გაფიცვის გამო. მაგრამ შემცირდა აგრეთვე ანტრაციტის ამოღებაც, მიუხედავად იმისა, რომ ანტრაციტის მაღაროებში გაფიცვას ადგილი არ ჰქონია. შესაძლებელია, რომ ეს აიხსნება ნავთის მოხმარების ზრდით მრეწველობაში, რადგან ნავთის ფასები ამჟამად ძლიერ დაბალია.

შემდეგ, დამახასიათებელია წარმოების დაცემა საავტომობილო მრეწველობაში. 1927 წ. აგვისტოში დამზადებული იქნა 28 პროცენტით ნაკლები ავტომობილი, ვინემ 1926 წ. აგვისტოში.

ასეთივე მდგომარეობაა საამშენებლო მრეწველობაშიც.

ერთად - ერთ გამონაკლისს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, წარმოადგენს საფეიქრო მრეწველობა, რაც აიხსნება იმით, რომ შარშან ბამბის დიდი მოსავალი იყო და საფეიქრო ფაბრიკებმა დიდძალი ნედლეული მოიმარაგეს მეტად დაბალ ფასებში. ზოგიერთ ცალკე შემთხვევებში საფეიქრო მრეწველობის პროდუქცია შარშანდელთან შედარებით 25 პროცენტით გაიზარდა.

მრეწველობის ამ საერთო დეპრესიასთან დაკავშირებით შემცირდა რკინის გზების ტვირთბრუნვა, რაზედაც განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს მეშალაროეთა გაფიცვა ბიტუმიან ქვა-ნახშირის მრეწველობაში.

შემდეგ დამახასიათებელია „წარმოების" დაცემა რეკლამის, მათ შორის საგაზეთო რეკლამის — ამერიკის მრეწველობის ამ ახალ დარგში.

ამერიკელი ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ ამჟამინდელი „დაბრკოლება" დროებითია და რომ ამერიკა ჯერ კიდევ შორსაა ნამდვილ დეპრესიიდან.

მრეწველობის ცალკე დარგებიდან, უპირველეს ყოვლისა ყურადღების ღირსია ნავთის მრეწველობის მდგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ნავთის გასაღების კრიზისის დასაძლევად შემუშავებული გეგმა ნავთის ამოღების შეზღუდვისა (ნებაყოფილობით) უნიადაგო აღმოჩნდა. პირველ ყოვლისა ამან ზიანი მიაყენა ნავთიანი მიწების პატრონების ინტერესებს. ამის გამო ნავთიან მიწების პატრონებმა ყველა ზომები მიიღეს იმისათვის, რომ ნავთის წარმოებები უზრუნველეყოთ ახალი დაკვეთებით. შემდეგ ნავთის მრეწველთა წრეებში ამტკიცებენ, რომ ამოღების შეზღუდვამ ზოგიერთი შემთხვევებში გამოიწვია ის, რომ ნავთის წადრეებნებმა სრულიად შესწყვიტეს მოქმედება.

ნავთის მრეწველობაში ზედმეტი ნავთის წარმოებასთან პარალელურად, ადგილი აქვს ნახშირის სიმრავლეს. უახლოესი პერიოდის განმავლობაში ჩვენ, ალბათ, ვიქნებით მოწამე გაფართოებული ბრძოლისა ნახშირის მრეწველობაში ევროპის მასშტაბით. რაც შეეხება შეერთებულ შტატებს, იქ მდგომარეობა ნახშირის მრეწველობაში, ჯერ - ჯერობით შედარებით ნორმალურია.

ა. ხ.

პარტიული ცხოვრება

შვეციის ცეკა გმობს ტროცკიზმს

შვეციის კომპარტიის ცეკა გმობს ტროცკიზმს

სტოკჰოლმი, 2 დეკემბერი. შვეციის კომპარტიის ცეკამ განიხილა საკითხი ტროცკისტული ოპოზიციის შესახებ და ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ჰკიცხავს ტროცკისტული ოპოზიციის ანტიპარტიულ მოღვაწეობას და სავსებით უჭერს მხარს საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას. [illegible] რეზოლიუცია სასტიკად ჰკიცხავს ოპოზიციის მუშაობას, რომელიც მიმართულია პარტიის რღვევებისაკენ, და აღნიშნავს პარტიის რიგებიდან ოპოზიციის ბელადების გამორიცხვის აუცილებლობას. (ადს).

საფრანგეთის კომპარტია ოპოზიციის წინააღმდეგ

საფრანგეთის კომპარტია ოპოზიციის წინააღმდეგ

პარიზი, 2 დეკემბერი. საფრანგეთის კომპარტიის შიგ ოპოზიციასთან დაწყებული დისკუსიის პროცესში, პარიზის ოლქის მე-22 რაიონის კომიტეტმა და, აგრეთვე, მარსელისა და პარიზის საოლქო კომიტეტებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც მთლიანად ემხრობიან ცენტრალურ კომიტეტს ოპოზიციის წინააღმდეგ. (ადს).

პარტია ლენინიზმის სადარაჯოზე

პარტია ლენინიზმის სადარაჯოზე

ლენინაკანი, 2 დეკემბერი. პირველ დეკემბრისათვის ცენტრალური კომიტეტის თეზისების გარჩევაში მონაწილეობას იღებდა 542 კაცი. მათში ცეკას თეზისებს ხმა მისცა 535 კაცმა, წინააღმდეგ—7.

რკინისგზელთა კომკავშირის უჯრედის კრებაზე ცეკას თეზისები მიღებულია ერთხმად. (ადს).

ოქტომბრის გაწვევა

ბაქო, 3 დეკემბერი. 3 დეკემბრისათვის მიღებული ცნობების თანახმად ბაქოს და მის რაიონებში პარტიაში ოქტომბრის გაწვევის რიცხვი აღემატება 2.600 კაცს. მათში 1.752 კაცს უკვე მიღებული აქვს პარტიული დოკუმენტები. 1.228 კაცში, რომელთაც პარტიაში მიიღეს განცხადება აქ [illegible] მე-17 ბაქოს პარტიული კონფერენციის მუშაობის დროს (29 ოქტომბერი—6 ნოემბერი) [illegible] მუშები შეადგენენ 1.219 კაცს, ანუ 99.3 პროცენტს. ამ რიცხვში კვალიფიციური მუშები შეადგენენ 513 კაცს, ნახევრად კვალიფიციური—305 და არა კვალიფიციური 391 სამუშაო სტაჟის მიხედვით: ხუთწლიანი სტაჟით—527 კაცი, 10 წლიანი—41, 15 წლიანი—157, 20 წლამდე—86 და 20 წლის მეტი სტაჟით—108. ეროვნული შემადგენლობით: აზერბეიჯანლები 288, რუსები 651, სომხები—177 და სხვები 112. ამ გაწვევაში ქალების რიცხვი შეადგენს 29-ს (ადს).

პარტია ოპოზიციის წინააღმდეგ

ოპოზიცია გარიყულია

(ქიათურა)

ქიათურის რაიონულ პარტიულ კრებაზე ამხ. კ. საყვარელიძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობის შედეგებისა და ოპოზიციის მოღალატური მოქმედების შესახებ. მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„ქიათურის რაიონული პარტიული კრება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოპოზიციის [illegible] პარტიის გადაგვარების შესახებ წარმოადგენს [illegible] ცილისწამებას იმისათვის, რომ იმ [illegible] ამით მიჩქმალოს საკუთარი უძლურება და ოპორტუნისტური ბუნება. (

პარტიის მიერ აღებული ხაზი როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკურ საკითხებში სავსებით სწორი და ლენინური იყო. ქიათურის ორგანიზაცია მუდამ მზადაა ერთსულოვნად დაიცვას ლენინური ბოლშევიკური ცეკა, ოპოზიციის ყოველგვარი ტროცკისტულ შემოტევებისაგან".

არც ერთი ხმა ოპოზიციას

(გ ო რ ი)

—მიმდინარე პარტიულ დისკუსიამ აამოძრავა მთელი ჩვენი ორგანიზაცია. კრებებს, რომლებზედაც ირჩეოდა საკავშირო კომპარტიის ცეკას თეზისები, ესწრებოდა უჯრედების წევრთა 97-98 პროცენტი. ამავე კრებებს ესწრებოდა კომკავშირის აქტივიც. ამნაირათ ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ თეზისების განხილვაში. შეკრებები და კამათი საქმიან ხასიათს ატარებდა.

თეზისების განხილვა დამთავრდა 20 ნოემბერს. უჯრედებში ერთხმად ღებულობდენ რეზოლიუციას, სადაც დაგმობილია ოპოზიციის გამთიშავი მუშაობა და მოწონებულია ცეკას თეზისები. უჯრედების კრებები ერთსულოვნად მოითხოვენ პარტიის გამთიშველების სასტიკად დასჯას, გამოწვეულ ოპოზიციონერების ლენინურ რიგებიდან დაუყოვნებლივ გაძევებას.

დემაგოგიამ არ გასჭრა

(ტყავ-ტრესტი და საპნის ქარხანა)

ამას წინათ მეტყავეთა კლუბში შესდგა ტყავ-ტრესტის და საპნის ქარხნის უჯრედების გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო 310 პარტიის წევრი და კანდიდატი. დღის წესრიგში იდგა საკითხი საკავშირო კომპარტიის ცეკას თეზისების განხილვის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ლისიცინმა.

კამათში ჩვეულებისამებრ გამოვიდნენ ოპოზიციის „ბელადები", მათი სიტყვები [illegible] იყო ცილისწამებით და დემაგოგიით. ბრალდებები, რომელთაც ოპოზიცია უყენებდა პარტიას, მოკლებული იყვნენ ყოველგვარ ფაქტიურ მასალას. მაგალითად, კრებამ მოსთხოვა ოპოზიციონერებს, რათა მათ მოეყვანათ ციფრები თავიანთ სიტყვების დასამტკიცებლად იმის შესახებ, რომ კულაკი მართლაც ისე გაიზარდა, რომ წალეკავს უქადის ოქტომბრის რევოლიუციის [illegible]. ოპოზიციონერებმა ამ მოთხოვნილებებს დუმილით უპასუხეს.

ამხ. ლისიცინის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება სავსებით იწონებს ცეკას თეზისებს და სასტიკად გმობს ოპოზიციას. რეზოლიუციის სასარგებლოთ ხმა მისცა 306 კაცმა, წინააღმდეგ—4 კაცმა და 5-მა თავი შეიკავა.

„იმარცხენეობის ქურქი არავის უშველის"

(მარელისის თემი, შორაპ მ.)

მარელისის თემის კომუჯრედების კრებაზე, რომელმაც განიხილა საკავშირო კომპარტიის ცეკას თეზისები სოფლად მუშაობის დარგში, მოხსენებით აღნიშნულ საკითხების შესახებ გამოვიდა ამხ. ხ. ბოკვარაძე.

მოხსენების ირგვლივ გამართა კამათი, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს დამსწრე ამხანაგებმა. ორატორები ერთხმად გმობდენ ლენინიზმის რევიზიონისტებს, „იმარცხენეთა" ქურქში გახვეულ მენშევიკ-ოპოზიციონერებს. თავის რეზოლიუციაში კრება ერთხმად იწონებს ცეკას თეზისებს და აღუთქვამს მას დახმარებას, ყოველ მხრივ შეუწყოს ხელი ამ თეზისების ცხოვრებაში გატარებას.

ცოტა რამ რაჭის ორგანიზაციის შესახებ

ჩვენს მაზრაში არის 22 თემი 121 სოფლით და 46.971 სრულწლოვანი მოქალაქით. ჩვენ გვყავს 40 უჯრედი,—10 ფესიანი და რამოდენიმე უფესო თემი.

ჩვენ გვყავს დღეს ორგანიზაციაში 350 წევრი და 229 კანდიდატი. იმის გამო, რომ ზამთრობით ჩვენი მაზრიდან გადის მოსახლეობა და მათ შორის კომუნისტებიც ჩვენ პარტიის წევრების დროს დაგვრჩა აღურიცხავი 111 კაცი რიცხვობრივ ზრდასთან ერთად ხდება ორგანიზაციის ხარისხობრივი ზრდაც. გასულ სასწავლო წელს ჩვენ მოვაწყვეთ 5 სტაციონალური და 3 მოძრავი პოლიტ-სკოლების გამოშვება, რომლებიც დაამთავრა 235 კაცმა. ამის შემდეგ 22 უჯრედში ჩამოყალიბდა თვითგანვითარების (მიმდინარე პოლიტიკის შესწავლის) წრეები, რომლებშიაც მუშაობდა 240 კაცი. ამ სკოლების და წრეების მუშაობაში უპარტიოებიც იყვნენ ჩაბმული.

ამის გარდა ყველა უჯრედებში იქნა ჩამოყალიბებული წრეები სპეციალურად ისეთ საკითხების შესასწავლად როგორიც არის მე-15 პარტკონფერენცია, და ც.კ. და ც.ს.კ. უკანასკნელ გაფართოებულ პლენუმის დადგენილებანი. 1927 28 წელში ჩვენ მოგვემატა 1 შტატი მოძრავი პოლიტ. სკოლისა, რომელიც აქვს გარეშეა, წინ წასწევს პარტიის იდეოლოგიურად გაძლიერების საქმეს.

პოლიტ-განათლების ქსელის გასაუმჯობესებლათ დადგენილია შესაფერი ნაბიჯები. საშკოლო [illegible] გამგეთა ჯამაგირი 18 მანეთიდან აყვანილი იქნა 25 მანეთამდე.

რაჭის პარტორგანიზაცია არ გაყვა ოპოზიციას. ორგანიზაციას კარგად ესმის ოპოზიციის გზააბნეულობა.

ჩვენმა ორგანიზაციებმა ერთსულოვნად დაგმეს ოპოზიციის გამთიშველი მუშაობა.

დ. მარტელი.

საბჭოთა კავშირი

რუსეთი

ოდესისა და სტამბოლის ნატელეგრაფო კავშირი

მოსკოვი, 3 დეკემბერი. ოდესსასა და სტამბოლის შორის საკაბელო კავშირის აღდგენის გამო ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატმა დაიწყო დეპეშების მიღება ამ უმოკლესი გზით საბჭოთა კავშირიდან ოსმალეთში. თვითეული სიტყვა 23 კაპ. ღირს. (ადს).

მ. გორკის თხზულებათა საიუბილეო გამოცემა

მოსკოვი, 3 დეკემბერი. მაქსიმ გორკის 35 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის დღესასწაულისათვის შემდგარ საიუბილეო კომიტეტის წევრმა ამხ. ხალათოვმა, მაქსიმ გორკისაგან მიიღო წერილი, რომელშიაც გორკი იტყობინება, თუ რა ნაწარმოებთა ამორჩევას აპირებს მასიური საიუბილეო გამოცემისათვის. გორკის მიერ ამორჩეული თხზულებანი 7 ტომს შეადგენს. გამოცემის ფასი ხელმისაწვდომი იქნება მუშათა და გლეხთა ფართო წრეებისათვის. (ადს).

გერმანელი ინჟინრების და ტეხნიკოსების დელეგაცია

მოსკოვი, 3 დეკემბერი. 1928 წელს საბჭოთა კავშირში გაემგზავრება გერმანელი ინჟინრებისა და ტეხნიკოსების სპეციალური დელეგაცია საბჭოთა ინჟენრობის მდგომარეობის გასაცნობად. (ადს).

იაპონიის ეკონომიური დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 3 დეკემბერი. ამხ. კალინინმა მიიღო იაპონიის ეკონომიური დელეგაციის მეთაური კუხარა.

კუხარამ ინახულა ამხ. მიქოიანი და აცნობა, რომ ეკონომიური დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობის გაცნობა, რაც მოგვცემს საშუალებას გამონახულ იქნას გზები იაპონიისა და საბჭოთა კავშირის საქმიანი დაახლოვებისათვის (ადს).

პოლონეთის მუშათა დელეგაცია ამხ. კალინინთან

მოსკოვი, 3 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მოვლის შემდეგ პოლონეთის მუშათა დელეგაცია დეკემბრის 2-ს მიიღო საკავშირო ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა. (ადს).

ავსტრალიის მატყლი

მოსკოვი, 3 დეკემბერი. რამდენიმე თვის განმავლობაში ავსტრალიაში „ტექსტილ იმპორტმა" შეისყიდა სხვადასხვა ხარისხის 4 მილ. კილოგრამი მატყლი 15 მილ. მანეთად (ადს).

საფრანგეთის მუშათა დელეგატების გამგზავრება

მოსკოვი, 3 დეკემბერი. საფრანგეთში გაემგზავრა საფრანგეთის მუშათა დელეგაციის მონაწილეთა ჯგუფი. (ადს).

კერძო სავაჭრო კაპიტალის მდგომარეობა

მოსკოვი, 3 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის სხდომაზე მოსმენილ იქნა ეკონომიურ სამმართველოს მოხსენება კერძო სავაჭრო კაპიტალის მდგომარეობის შესახებ 1926—27 წელში.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ მიმდინარე სამეურნეო წელში შემცირდა კერძო ვაჭრობის არა მარტო ხვედრითი წონა საქონლის ბრუნვაში, არამედ შემცირდა აგრეთვე საქონლის ბრუნვის აბსოლიუტური თანხა 1925—26 წელთან შედარებით.

ამასთან ერთად გაძლიერდა ვაჭრობის სახ. კომისარიატის ორგანოების მომწესრიგებელი ზეგავლენა კერძო ვაჭრობის ბაზარზე. კერძო სავაჭრო ბრუნვა შემცირდა 900 მილიონი მან. ხოლო განსაზოგადოებული სექტორის ბრუნვა გაიზარდა 2 მილიარდი მანეთით.

ძალიან შემცირდა კრედიტების მიწოდება კერძო ვაჭრებისათვის.

ამხ. მიქოიანმა საბოლოო სიტყვაში ხაზი გაუსვა კერძო კაპიტალის განდევნის მნიშვნელობას, პირველი დასკვნები, რომელიც შეიძლება გამოვიყვანოთ, ეს არის უდიდესი წარმატება კერძო კაპიტალის განდევნისა და ვაჭრობის სოციალისტური სექტორის გაფართოების საქმეში. საკონტროლო ციფრები გულისხმობენ კერძო სავაჭრო ქსელის და ბრუნვის სტაბილობას, ჩვენ კი გვაქვს ამ ქსელის აბსოლიუტურად შემოკლება და კერძო ბრუნვის შემცირება 900 მილიონი მანეთით. ხოლო განზოგადოებული სექტორის ბრუნვა გაიზარდა 2 მილიარდი მან. კერძო ბრუნვის აბსოლიუტურად შემცირების ფაქტი უდიდესი მონაპოვარია ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. უმთავრესი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ კრედიტის მიწოდება სახელმწიფო თანხებიდან კერძო ვაჭრებისათვის ძალიან შემცირდა და ამასთანავე გაიზარდა კერძო პირთა ანაბარები ბანკში. შარშან ჩვენ ამის საწინააღმდეგო სურათი გვქონდა. დაბოლოს, ჩვენ მნიშვნელოვანი წარმატებანი გვაქვს ამ ამოცანის განხორციელებაში, რომელიც ჩვენ დაგვისვა ჯერ კიდევ ერთი წლის წინედ,—კერძო დაქსაქსული ვაჭრობის სახელმწიფოებრივი გზით მოწესრიგებაში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ექიმ-ქალის ზრინევის საქმე

განჯა, 3 დეკემბერი. [illegible] სახლის თანამშრომელმა თარაღლიევმა პროკურატურაში საჩივარი შეიტანა ნარიმანოვის სახელობის საავადმყოფოს სამშობიარო თავშესაფარის წინააღმდეგ. საქმე ასე იყო: ნოემბრის 24 ფატალიევის ცოლს შვილი ეყოლა. ფატალიევის ცოლის [illegible] შემდეგ ექიმმა ქალმა ზრინევამ [illegible], რომ ბავშვი მკვდარი დაიბადა. რის შემდეგაც ბავშვი წაასვენეს [illegible]. ფატალიევის [illegible] ბავშვის [illegible] წესის თანახმად და [illegible] სახლში [illegible], თბილი წყლით [illegible] ბავშვში მოსულიერდა და [illegible] დღის [illegible]. ექ. ზრინევის [illegible] საქმე. (ადს).

დახმარება ყინულებში ჩარჩენილ გემებს

ბაქო, 3 დეკემბერი. კასპიის სანაოსნო საზოგადოებამ მიიღო ცნობები, რომ [illegible] ყინულებში ჩარჩენილ გემების [illegible] დახმარების აღმოსაჩენად. [illegible] 400 [illegible] კასპიის სანაოსნო საზოგადოებამ [illegible] ყველა [illegible] გემები [illegible] ნოვიგატი. (ადს).

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაური

ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღიდანვე პროლეტარიატის წინაშე ისტორიამ წამოაყენა ისეთი რთული და ძნელი საკითხები, რომლების სათანადო გადაჭრით მას უნდა დაემტკიცებია თავისი უფლება ხელმძღვანელობისა და დიქტატურაზე. ერთ-ერთი ასეთი ამოცანა იყო—შექმნა საკუთარი მეთაურთა შემადგენლობის კადრის წითელი არმიისათვის.

რევოლუციას არა ჰყავდა თავისი მეთაურები, გენერალური შტაბის დიდი ნაწილი და ოფიცრობა მიემხრო კონტრ-რევოლუციას. ამასთანავე ერთად უცხოეთის ბურჟუაზიამ გამოუგზავნა ჩვენებურ კონტრ-რევოლუციას დასახმარებლად მრავალი განათლებული და სამხედრო საქმის კარგი მცოდნე ოფიცერი. პირველი შეხედვით თითქოს ცხადი იყო, რომ რევოლუცია ვერ გაუმკლავდებოდა კონტრ-რევოლუციას.

მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ მუშები და გლეხები გამოვიდან გამარჯვებულნი ამ დიად ბრძოლიდან. როდესაც გამწვავდა მდგომარეობა, როდესაც დაისვა ყოფნა-არყოფნის საკითხი, მუშებმა და გლეხებმა შესძლეს საკუთარი ძლიერი არმიის შექმნა საკუთარი მეთაურების წინამძღოლობით. პირველ ხანებში წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობა იყო ასეთი: ძველი არმიის ოფიცრები—30.5 პროც., დანარჩენ 70-ს პროც. შეადგენდა საკუთარი მეთაურები, შექმნილნი რევოლუციის მიერ. ამათში 43,4 პროც. არა ჰქონდა არავითარი სამხედრო მომზადება და არ უმსახურია სავსებით ჯარში; 11 პროც. იყო უნტერ-ოფიცრები და დანარჩენი კი—საბჭოთა სამხედრო კურსებ დამთავრებულები. აი ასეთი იყო წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობა, რომლებსაც მიჰყავდა არმია ბრძოლაში და ამარცხებდა მტერს.

დღეს მდგომარეობა შეცვლილია ძალიანად. მუშათა კლასმა შესძლო მრავალი დაბრკოლებების დაძლევა და შექმნა მშრომელი მეთაურთა შემადგენლობა, რომლებსაც კარგათ ესმის თავისი მოვალეობა და რომელიც განვითარებულია პოლიტიკურად. წითელი არმიის მეთაური, გამოსული მშრომელთა ოჯახიდან, თავგანწირვით იბრძოლებს საბჭოთა კავშირის ყოველივე მტრების წინააღმდეგ, რადგან იგი ნათლად გრძნობს, რომ სიმართლე მის მხარეზეა.

დღეს წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობა იძლევა შემდეგ სურათს: პარტიული და კომკავშირელი მეთაურნი შეადგენენ 54,3 პროც., მათ შორის მუშებია —16,9 პროც. თუ ავიღებთ იმ მეთაურებს, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ წითელ-არმიელთა აღზრდის და მომზადების საქმეს, ე. ი. საშუალო მეთაურებს, დავინახავთ, შემდეგს: მათ შორის პარტიის წევრებია 52 პროც., ამათში მუშების რიცხვი უდრის 18 პროც. ლეგიონის მეთაურთა შორის კომუნისტებია 51,2 პროც., დივიზიის მეთაურთა შორის—54,7, კორპუსის მეთა[illegible] პრო[illegible] ფუნქციის მეთაურთა შორის კომუნისტთა რიცხვი უდრის 17,5 პროც. ყველა ამის გარდა ტერიტორიალურ ნაწილების მეთაურთა შორის ირიცხება 60,6 პროც. პარტიულ ამხანაგებისა.

ასეთია წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობა. ყოველწლიურად იზრდება მასში პარტიულ ამხანაგთა და მუშების რიცხვი, ეს ზრდა შემდეგში უფრო გაძლიერდება, ვინაიდან მეთაურთა შემადგენლობა ღებულობს შევსებას სამხედრო სკოლებიდან. მიმდინარე წელს სკოლებმა გამოუშვეს მეთაურები, რომელთა შორის 35,8 პროც. იყო მუშები და პარტიულობის მხრივ კი 80,9 პროც. იყო კომუნისტები.

თუ ჩაუკვირდებით ზემოთ მოყვანილ ციფრებს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ დედამიწის ზურგზედ არ არის არც ერთი შეიარაღებული ძალა, გარდა საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ წითელი არმიისა, რომელიც იყვეს მზად შესწიროს თავისი თავი მსხვერპლად მუშების და გლეხების საქმეს სოციალისტური რევოლუციის გასამარჯვებლად.

ნ. კ.

თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედებში

№ ქართ. საარტ. ლეგიონი

ლეგიონში უჯრედი ჩამოყალიბდა 1926 წელს. უჯრედს ყავს 60 წევრი. უჯრედს ხელმძღვანელობს 5 კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი, უჯრედის ხელმძღვანელობით და თაოსნობით მოეწყო სამხედრო კუთხეები ხონში, სამტრედიაში, ქუთაისში და კოლეჯის ქარხანაში. კუთხეებში არის სამხედრო ხასიათის ლოზუნგები, პლაკატები, სამხედრო ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები. კუთხეებთან ჩამოყალიბებულია სასროლო, სპორტიული და პირველ დახმარების წრეები. წრეებისათვის შემუშავებულია პროგრამები და გამოყოფილი ხელმძღვანელები. თვითეულ კუთხეზე მიმაგრებული არიან მეთაურები და პოლიტმომუშავენი, რომლებსაც აქვთ კავშირი კუთხეების გამგეებთან. კედლის გაზეთებში არის სამხედრო განყოფილებები. წრეებში მონაწილეობას იღებენ მუშები და გლეხები, განსაკუთრებით დაინტერესებულია ახალგაზრდობა. სამხედრო კუთხეებში ტარდება მოხსენებები-ლექციები. სწარმოებს ზოგიერთ ადგილებზე პრაქტიკული სროლები, ეწყობა ექსკურსიები და სხვა.

თბილისის სადურგლო ქარხანა

სადურგლო-საავეჯეულო ქარხანას კავშირი აქვს დივიზიის შტაბსა და პოლიტგანათლებასთან. შტაბიდან გამოყოფილია ამხანაგი, რომელიც ხელმძღვანელობს ქარხნის თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედს.

უჯრედს ყავს 136 წევრი: უჯრედს ხელმძღვანელობას უწევს პრეზიდიუმი, რომელიც შედგება 5 კაცისაგან პრეზიდიუმი ადგენს ყოველთვიურ სამუშაო გეგმას, რომლის მიხედვითაც სწარმოებს მუშაობა. ქარხნის სამკითხველოში მოწყობილია თავდაცვა-ავიაქიმის კუთხე. კუთხე მორთულია ლოზუნგებით, პლაკატებით, დიაგრამებით, სხემებით, სამხედრო ბელადების სურათებით და სხვა. კუთხეს აქვს სამხედრო ხასიათის ლიტერატურა. გამოწერილია სამხედრო გაზეთები და ჟურნალი. დაარსებულია სასროლო წრე, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქარხნის მუშები. წრეში სწავლობენ: თოფის ხმარებას, აწარმოებენ პრაქტიკულ სროლას. საქ. თავდაცვა-ავიაქიმის მიერ მოწყობილ საგარნიზონო შეჯიბრში წრემ მიიღო მონაწილეობა და დაიჭირა მეხუთე ადგილი. განზრახულია სამხედრო-ქიმიური წრის დაარსება, ამ მხრივ დაწყებულია ორგანიზაციული მუშაობა. უჯრედის კრებებზე კეთდება მოხსენებები სამხედრო ხასიათის თემებზე. კედლის გაზეთში არის სამხედრო განყოფილება. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მუშები დიდათ დაინტერესებულნი არიან სამხედრო საქმის შესწავლით და აქვთ კიდეც თვალსაჩინო მიღწევები.

დ. ლ—ძე.

რადიო-მოყვარულთა გასამხედროებისათვის

რადიო-ტეხნიკა ვითარდება სწრაფი ნაბიჯით. ამ 10—14 წლის წინათ ჩვენ წარმოდგენა არც კი გვქონდა ლამპებიან სადგურებზე, მოკლე ტალღებზე, სურათების გადაცემაზე დიდ მანძილზე და სხვ. მოკლე ტალღების სადგურების აგება, რომლებიც მოქმედებენ დიდ მანძილზე, ძალიან არის გავრცელებული საზღვარგარეთ. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ამ სადგურების საშუალებით დამყარებულია კავშირი ევროპას, აფრიკასა და ავსტრალიას შორის.

მიმდინარე წელს ამერიკის სამხედრო უწყებამ ფართედ გამოიყენა რადიო-მოყვარულნი მანევრებზე. უკანასკნელები ასრულებდენ კავშირის გაბმის საქმეს, აგროვებდენ ცნობებს და აწარმოებდენ თვალთვალს. ამჟამად ამერიკაში ითვლება 15 ათასამდე რადიო-მოყვარული, რომლებიც წინასწარ მოუმზადებლად შეიძლება გამოყენებულ იქნენ სამსახურისათვის სამხედრო რადიო-სადგურებზე. ჩვენ უნდა მივხედოთ ამ მაგალითს და უნდა გადავდგათ ნაბიჯი რადიო-მოყვარულთა გასამხედროებისათვის. ყოველი რადიო-მოყვარული, რომელსაც იგი მოხვდება წითელი არმიის რიგებში, გამოიყენება საკავშირო საქმისათვის. საჭიროა რადიო-მოყვარულთა ორგანიზაციებში შეტანილ იქნეს სამხედრო ელემენტი, როგორიც არის სამხედრო სადგურების შესწავლა, მუშაობა ამ სადგურებზე მორზეს ანბანის შესწავლა და სხვ. ასეთი სახის მომზადება მთავარი ამოცანაა რადიო-მოყვარულთა ორგანიზაციებში, იგი უნდა სწარმოებდეს რადიო-მოყვარულთა სკოლებში და აგრეთვე რადიოს მეგობართა საზოგადოებაში. აგრეთვე საჭიროა მიექცეს ყურადღება შემდეგ გარემოებას: ყოველწლიურად წითელი არმია უშვებს მომზადებულ მეთაურებს და წითელ არმიელებს, რომლებმაც შეითვისეს საკავშირო საქმე. ეს ამხანაგები ყაზარმაში იძენენ წინასწარ ტეხნიკურ განათლებას. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ამხანაგებს მალე დაავიწყდეთ საკავშირო საქმე, თუ კი ისინი სახლში ყოფნის დროს არ განავითარებენ ყაზარმაში მიღებულ ცოდნას. ამისათვის კი საჭიროა, რომ ისინი მიზიდულ იქნენ რადიო-მოყვარულთა წრეებში და რადიოს მეგობართა საზოგადოებაში.

აქ ისინი ერთის მხრივ გააფართოებენ თავის ცოდნას და მეორე მხრივ შეიტანენ სამხედრო. სულს აღნიშნულ ორგანიზაციებში. ეს აუცილებელია დღევანდელ პირობებში და უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები მის განსახორციელებლად ცხოვრებაში.

ი. ზ.

წითელ ყაზარმაში

ახალწვეულნი ჩვენთან

(№ ქართ. მსრ. ლეგიონი)

ახალწვეულთა მოსვლას ლეგიონი შეხვდა ზეიმით. მოწვეულ იქნა სხდომა, სადაც გაკეთდა მოხსენება წითელ არმიელთაამოცანებზე და მათ მომავალ მუშაობაზე. რეზოლიუციაში, რომელიც გამოტანილ იქნა მოხსენების შემდეგ. ახალწვეულებმა განაცხადეს, რომ ისინი ყოველ მხრივ შეუწყობენ ხელს წითელი არმიის ძლიერების განმტკიცებას.

პირველ ხანებში ახალწვეულნი მოთავსდენ კარანტინში. აქ მათთან ტარდებოდა საუბრები დისციპლინაზე, წითელ არმიაზე, და საერთოდ ისეთ საკითხებზე, რომლებიც აინტერესებს მათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალწვეულთა სულიერი განწყობილება ძალიან კარგია, ყველანი მოწადინებულნი არიან შეიძინონ როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ცოდნა. წითელი ყაზარმა თავისი მხრივ არ დაზოგავს ძალ-ღონეს, რომ მოამზადოს მათგან კარგი მებრძოლნი და პოლიტიკურად გაწვრთნილი მოქალაქეები.

ვ. ქ.

ვასამხედროებთ მოსახლეობას

(№ ქართ. საარტ. ლეგიონი)

ჩვენ ლეგიონს გაბმული აქვს კავშირი, როგორც ქალაქის მუშებთან, ისე გლეხობასთან. ეს კავშირი გამოყენებული არის ლეგიონის მიერ გასამხედროების მიზნით. საშეფო სოფელში მოწყობილია სამხედრო კუთხე, ლეგიონის მიერ კუთხისათვის შეძენილია სამხედრო ლიტერატურა, სურათები, სამხედრო ხასიათის პლაკატები და ხელსაწყოები სროლისათვის. კუთხეში არის დაშლილი შაშხანა თოფი, ყუმბარები, ნაღმები და სხვა.

ლეგიონიდან სოფლად სისტემატიურად იგზავნება მეთაურები, რომლებიც ადგილობრივ ატარებენ საუბრებს გლეხობასთან და აძლევენ რჩევა-დარიგებას სამხედრო კუთხის გამგეს.

ასეთივე მუშაობა სწარმოებს ლეგიონზე მიმაგრებულ მუშებს შორის. ხშირად მუშები მოდიან ჩვენთან, ათვალიერებენ ყაზარმას, გვესაუბრებიან ყოფა-ცხოვრებაზე, ზოგიერთი მუშები იღებენ მონაწილეობას ჩვენ კედლის გაზეთში. იმართება აგრეთვე სავარჯიშო სროლა, რომელშიაც ღებულობენ მონაწილეობას მუშა-ქალებიც.

ი. ზ—ლი.

წვევამდე მზადება

5 დეკემბრიდან საქართველოში იწყება 1906 წელში დაბადებულ ახალგაზრდების სამხედრო წვევამდე მზადება. წვევამდელების ჯანმრთელობის შემოწმება დაიწყო 25 ნოემბრიდან ყველა წვევამდელნი გამოცხადდენ უკლებლივ შემოწმებაზე.

წვევამდე მზადება იწარმოებს სპეციალურად მოწყობილ სამოსწავლო წერტებზე. წერტები ყველგან მოწყობილია სათანადოთ. სამხედრო კომისარიატებმა მიიღეს ყოველგვარი ზომები პუნქტების უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო ხელსაწყოებით. პუნქტების მოწყობაში მიიღეს მონაწილეობა აგრეთვე სამოქალაქო და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა.

პუნქტებზე მოწყობილია ლენინის კუთხეები, გამოწერილია ჟურნალ-გაზეთები, შეძენილია ლიტერატურა.

მაზრებიდან მოსული ცნობების თანახმად ყველგან დამთავრებულია სამზადისი წვევამდე მომზადებისათვის: შეკეთებულია სამოსწავლო წერტები, შეძენილია ყველა საჭირო მასალა.

მიმდინარე წვევამდე მზადება იწარმოებს ორ ჯგუფად. პირველ რიგში გაიწვევიან ის წვევამდელნი, რომლებმაც გაიარეს წვევამდელების პროგრამის პირველი ნახევარი. შემდეგ კი გაწვეულ იქნებიან ისინი, ვინც ჯერ არ ყოფილა წვევამდე მზადებაზე.

სამხედრო ქრონიკა

ახალწვეულნი

ახალწვეულ წითელ არმიელებმა დაამთავრეს საკარანტინო პერიოდი და გადავიდენ საცხოვრებლად წითელ ყაზარმაში. უკვე დაიწყო ამათ შორის სამწყობრო და პოლიტიკური მეცადინეობა. წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი ახალწვეულთა შორის ძალიან მცირეა. უცოდინარნი გამოყოფილ არიან ცალკე ჯგუფებად და მათთან სწარმოებს მეცადინეობა უცოდინარობის სალიკვიდაციოთ.

წითელი არმიის ათი წლის თავი

დაიწყო მზადება მუშურ-გლეხური წითელი არმიის ათი წლის იუბილესათვის. იმ მიზნით, რომ მოსახლეობა ახლო გაეცნოს წითელი არმიის ისტორიას და მის მიერ განვლილ ბრძოლებს, გამოცემულ იქნება სათანადო ბროშიურები ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

„ცვალებადელი“

სახ. სამხედრო კინო-მრეწველობა მოკლე ხანში გამოუშვებს სურათს „ცვალებადელი“, რომელშიაც დახასიათებულია ტერიტორიალური სისტემის ყველა მხარეები და ცვალებადელთა მუშაობა სოფლად.

საქართველოს სახალხო მეურნეობა

1927 წლის ოქტომბერი

(კონიუნქტურული მიმოხილვა)

სოფლის მეურნეობა

საქართველოს უმეტეს რაიონებში კვლავ თბილი და მშრალი ამინდია, რაც ხელშემწყობად უნდა ჩაითვალოს გვიანი კულტურის აკრეფისათვის (სიმინდი, ბამბა, ვენახები, ხილის ბაღები), ხოლო არა ხელშემწყობთ შემოდგომის თესვისათვის. სიმშრალის გარდა, ბორჩალოს მაზრაში თესვას ხელს უშლიდა აგრეთვე გავრცელებული მინდვრის თაგვი. გვიანი კულტურის აკრეფა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. საქონლის ჭირი მცირდება. ხოლო დანარჩენი ეპიზოოტია მატულობს, რაც იწვევს დაღუპული საქონლის ზრდას. დას. საქართველოში საკვების ნაკლებობა, თუმცა ჯერ ჯეროვნით საგრძნობი არ არის, მაგრამ მისი ფასი საკმაოდ მაღალია და ზრდის ტენდენცია ახასიათებს.

სოფლის ნაწარმოების დამზადება

სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ დამზადებული სოფლის ნაწარმოების საერთო ღირებულება 1,1 მილ. მან. შეადგენს, ე. ი. 18,1 პრ. ნაკლებია წინა თვესთან შედარებით, ხოლო 20,4 პროც. მცირე გასულ წლის ოქტომბრის მიმართ.

ღვინის და სპირტის ბაზარზე წინა თვეებში აღნიშნული მაღალი კონიუნქტურა კვლავ გრძელდება; ამასთან დაკავშირებით 125,5 პრ. იზრდება ღვინის დამზადება („საქართველოს ღვინო“-ს დამზადების გარდა) ღვინის დამზადებითი ფასი 4-5 მან. უდრის. ჩაი, სეზონის განმავლობაში ოქტომბრის დამლევამდე დამზადებულია სულ 977,8 ათ. კილოგრამი მწვანე ფოთოლი, ე. ი. 43 პროც. მეტი, ვიდრე გეგმით იყო ნავარაუდევი. დაწყებული ბამბის დამზადება, მისი ადრე დამწიფების გამო, საკმაოდ წარმატებით ვითარდება; სულ დამზადებულია 1.291 ტონა, ე. ი. ექვსჯერ მეტი, ვიდრე შარშან ამ დროს.

სანგარიშო თვეში გლეხობის ფულადი ფონდი, რომელიც მიიღო მან სოციალურ სექტორზე გაყიდულ ნაწარმოების საფასურათ, 606 ათ. მან. უდრის.

მრეწველობა

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხუთი დარგის (ქვანახშირი, საპონი, თამბაქო, ტყავი და ხე-ტყე) პროდუქცია 1,2 მილ. მანეთს უდრის, სექტემბრის მიმართ 3,6 პროც. იზრდება, ხოლო გასული წლის ოქტომბრის 30,9 პროცენტით სჭარბობს; წინა თვის მიმართ პროდუქციის ზრდა გვაქვს თამბაქოს მრეწველობაში (+9 1 პროც. 13 წ. ფასებით), ქვა-ნახშირის წარმოებაში (+32,8 პროც.), საპნის წარმოებაში (+ 25,7 პროც.) ხე-ტყის ტრესტებში, ხოლო შემცირება ტყავის მრეწველობაში (—16,1 პროც.).

საერთოდ, როგორც სექტემბრის, ისე გასული წლის ოქტომბრის მიმართ პროდუქციის ზრდა ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის ზრდასთან უნდა იქნას დაკავშირებული (ახალ აბასთუმნის ქარხნის ამოქმედება და სხვა) 1926 წ. ოქტომბერთან შედარებით, ყველა მთავარ დარგებში გამომუშავების მატება, მაგ., თამბაქოს წარმოებაში (+13,4 პროც.), ტყავის წარმოებაში (+29,5 პროც.(, ხე ტყის სახერხ ქარხნებში +60,9 პროც.) და საპნის წარმოებაში (128,6 პროც.), გამომუშავების ზემოაღნიშნული ზრდა უმთავრესად საწარმოო პირობათა გაუმჯობესებით და მუშა-ხელის კვალიფიკაციის აწევით უნდა აიხსნას.

ნედლეულით ტყავის მრეწველობა კვლავ ნაკლებ არის მომარაგებული. რაც უშლის ხელს წარმოების სრულ დატვირთვას.

ს. მ. უ. ს. ტრესტების პროდუქციის რეალიზაცია უცვლელია ოქტომბერთან შედარებით იმ დროს, როდესაც წ. წ. ოქტომბრის მიმართ იგი 22 პროცენტით იზრდება. კერძოთ, თამბაქოს რეალიზაციის გაუმჯობესება ემჩნევა ბაქოს კანტორის მხრივ რაიონის გაფართოების გამო, ხოლო შინაურ ბაზარზე კვლავ მძიმე მდგომარეობაა.

რაც შეეხება ს. მ. უ. ს. ტრესტების ფინანსიურ მდგომარეობის მაჩვენებელთ,—იგინი კვლავ გაუარესების ტენდენციით ხასიათდებიან და საერთოდ მძიმე მდგომარეობაა.

შრომა

უმუშევართა რიცხვი თბილისში 16,3 ათ. სულს აღწევს და წინა თვესთან შედარებით 6 პროცენტითაა გადიდებული. უმუშევართა ზრდა გამოწვეულია: ერთის მხრით სეზონურ მუშაობათა დამთავრებით და მეორე მხრით კი ჩატარებულ შტატების შემცირებით.

წარსული წლის ოქტომბერთან შედარებით უმუშევართა რიცხვი 3,4 პროცენტით ნაკლებია. მუშის თვიური ხელფასი, უმთავრესად სამუშაო დღეთა რიცხვის გადიდების გამო, 12.4 პროცენტით მატულობს ნომინალით, ხოლო 11,5 პროცენტით რეალით. 1926 წ. ოქტომბრის მიმართ მუშის ნომინალით თვიური ხელფასი 11,6 პროცენტით გაზრდილია, ხოლო რეალით უცვლელია (+0,4 პროც.).

ალებ-მიცემობა

შემოტანა ახალ შემცირებას იძლევა ოქტომბერში 2,8 პროცენტით; სექტემბერთან შედარებით საგრძნობ მცირდება შემოტანა მარილის (72,3 პროც.) და შაქრის (—71,8 პროც.) შემდეგ შალეულის—36 პროც. და ბამბის ქსოვილის—10,7 პროც. მარილის შემოტანის შემცირება შემთხვევითაა, ხოლო დანარჩენი საგნების—კონიუნქტურულ პირობებს უკავშირდება, რომელიც საერთოა მთელი კავშირისათვის.

საბირჟო ვაჭრობა 11,6 მილ. მან. უდრის,—საგრძნობ ზრდას გვაძლევს როგორც ოქტომბერთან, ისე გასული წლის ოქტომბრის მიმართ (37,8 და 41,2 პროცენტები). სავაჭრო ბრუნვების ზრდა სწარმოებს უმთავრესად სამრეწველო საგნებზე ვადიან გარიგებათა დადების გაძლიერების გამო.

საბითუმო ვაჭრობა,—უმთავრესად საქონლის ნაკლებობის გამო, როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიულ ორგანიზაციათა ხაზზე საკმაო დაკლებას იძლევა (7,4 და 61,6 პროცენტები სათანადოთ),—საქონლის სიმცირის (ქსოვილი, შაქარი და სხვა) და ვაჭრობის მძიმე პირობათა ზეგავლენით; ბრუნვების შემცირებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე კოოპერაციის მიერ უშუალოდ ცენტრიდან საქონლის მიღების გაძლიერება.

საცალო ვაჭრობას საერთო სეზონური გაძლიერება ახასიათებს როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ხაზზე, ისე კერძო ვაჭრობაში; სოციალისტური სექტორის ბრუნვების ზრდა უფრო ძლიერია აქ, ვიდრე კერძო ვაჭრობის. სახელმწ. ვაჭრობაში კოოპერაციის წილი 3,1 მილ. მანეთიდან 2,9 მილ. მანეთამდე ეცემა კერძო ვაჭრობაში კი 390,9 ათ. მანეთიდან 381.9 ათ. მანეთამდის.

პურეულის ბაზრის მომარაგება გაძლიერდა; საქონლის საკვების ბაზარზე არ არის ქერი. ცოტაა თივა,—მათი ფასები მატულობს. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში შინაური პირუტყვის მორეკვა ძლიერდება და ფასებიც ხელსაყრელია, საბითუმო ვაჭრობაში ხორცის ფასიც მატულობს; ნაკლებობაა ბრინჯის; ცუდათ სწარმოებს ბაზრის მომარაგება წუმწუმით, ნაკლებობაა ქსოვილის საერთოდ, და, განსაკუთრებით, შალეულის, რომლის ფასები საგრძნობ იზრდება კერძო ბაზარზე. ასეთივე მდგომარეობაა რკინეულის ბაზარზე; ტყავეულზე მოთხოვნილება სრულიად არ კმაყოფილდება.

საქონლის ფასები და ინდექსები

თბილისში საბითუმო ფასების ინდექსი უცვლელია. ხოლო მატულობს საცალო ფასების ინდექსი (+1,3 პროც.) როგორც სამრეწველო საგნების ფასების ზრდის გამო (+0,9 პროც.), ისე სას.-სამ. საგნების ფასების აწევის ზეგავლენით (+1,7 პროც.). ამასთან დაკავშირებით ადგილი აქვს საბუჯეტო შენაწყობის ღირებულების ზრდას.

ცალკე საქონლის ფასებიდან ყურადღებას იპყრობს კერძო ბაზარზე გაძვირება: ჩითის, ნარმის, სახურავი რკინის, მარილის და ადგილობრივი [illegible], სწორედ იმ საგნების, რომლების სიმცირეა ბაზარზე. კოოპერაციის ხაზზე როგორც ქალაქად, ისე სოფლად ფასების ზრდას იძლევა: შაქარი, ღვინო, ადგილობრივი ხორბალი.

ფინანსები და კრედიტი

სესხი და განაღდების საერთო ნაშთი 97,4 მილ. მან. შეადგენს, ანაბარები და სახელდახელო ანგარიშები 13,3 მილ. მან., სალარო 494 ათას მან. და გაერთიანებული ბალანსები კი 113,9 მილ. მან. 1926 წ. ოქტომბერთან შედარებით სალარო 16,3 პროცენტით შემცირდა, ანაბარები 6,5 პროც-ით გაიზარდა, ხოლო სესხი 42,6 პროცენტით და ბალანსები კი 60,4 პროც..

ტვირთ-ბრუნვა

რკ. გზების ტვირთ-ბრუნვა 13,7 პროცენტით იზრდება, მიღების გაძლიერების გამო.

რაც შეეხება ნავთსადგურების ტვირთ-ბრუნვას, აქაც 8,2 პროც-ით ზრდა გვაქვს, გაგზავნის გაძლიერების გამო, მიღების შემცირების პირობებში გაგზავნის ზრდა ხდება უმთავრესად შავი ქვისა და ნავთეულის ექსპორტის გაძლიერებით (26,8 და 6,1 პროცენტით სათანადოთ).

1926 წ. ოქტომბერთან შედარებით რკ. გზების ტვირთ-ბრუნვა 14,9 პროც-ით გაიზარდა, ხოლო ნავთსადგურების 21,8 პროც., ე. ი. საკმაოდ მაღალი ზრდის პროცენტი გვაქვს შინაწარმოების და საგარეო ალებ-მიცემობის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

საკურორტო სეზონის შედეგები

საკურორტო სამმართველომ დაამთავრა ცნობების დამუშავება გასული საზაფხულო საკურორტო სეზონის შედეგების შესახებ. სულ ზაფხულის განმავლობაში ყველა კურორტებზე გახსნილი იყო 5 სანატორიუმი 400 საწოლით და 4 პანსიონატი 165 საწოლით. დასასვენებელ სახლებში მოწყობილი იყო 135 საწოლი.

ბორჯომში გახსნილი იყო ერთი სანატორიუმი 100 საწოლით და ორი პანსიონატი 65 საწოლით. აბასთუმანში მოწყობილი იყო სამი სანატორიუმი 250 საწოლით და 1 პანსიონატი 50 საწოლით. წაღვერში მოწყობილი იყო პანსიონატი, პატარა ცემში გაიხსნა 1 პანსიონატი 50 საწოლით და შოვში დასასვენებელი სახლი 50 საწოლით.

რესპუბლიკის სანატორიუმებში იყო სულ 1027 მოაგარაკე, პანსიონატებში და დასასვენებელ სახლებში კი—627 კაცი. დაავადებათა მხრივ მოაგარაკეთა საერთო რიცხვის 70 პროცენტი შეპყრობილი იყო ჭლექით; კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობით შეპყრობილი იყო 9 პროც. და ნერვიული ავადმყოფობებით—8 პროც., ავადმყოფთა შორის მუშები შეადგენდენ 50 პროც., მოსამსახურეები 37 პროც., წითელარმიელები 3 პროც..

კურორტების კეთილმოწყობისა და ახალ საგამოკვლევო სამუშაოთა შესრულების თვალსაზრისით, აღსანიშნავია პროფ. ოგილვის ექსპედიციის მუშაობა ბორჯომში, წყალტუბოს და სხვა კურორტების სამკურნალო წყაროების გამოსაკვლევად. ზაფხულის განმავლობაში მუშაობას აწარმოებდა აგრეთვე გამოჩენილი მეცნიერი კალიტინი, რომელმაც ჩაატარა აქტანომეტრიული დაკვირვებანი კურორტებზე მზის ე. წ. რადიაციის გამოსარკვევად.

აღსანიშნავია აგრეთვე გერმანელ პროფესორის ა. ბიკელის მუშაობა ბორჯომისა და წაღვერის სამკურნალო წყაროების გამოსაკვლევად.

„ავტოგზა“

ავტოტრანსპორტის და გზატკეცილების მშენებლობის ხელშემწყობი საზოგადოება

პირველი საორგანიზაციო თათბირი

ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს ავტო-ტრანსპორტის და გზატკეცილების მშენებლობის ხელშემწყობი საზოგადოების („ავტოგზა“-ს — „ავტოდორ“) საორგანიზაციო მუშაობა.

საზოგადოება „ავტოგზა“ არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ნებაყოფლობით საფუძვლებზე. მისი სტრუქტურა ისეთივეა, როგორც მაგალითად თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებისა.

„ავტოგზა“ მიზნად ისახავს ფართო მშრომელ მასებში ავტოტრანსპორტის იდეის პოპულარიზაციას და ამ ტრანსპორტის განვითარებისათვის ხელის შეწყობას.

აღნიშნული საზოგადოება არსდება ამიერ-კავკასიაშიც. ამისათვის შექმნილია სპეციალური საორგანიზაციო კომიტეტი ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის და გზათა კომისარიატის რწმუნებულის ამხ. შ. ელიავას თავმჯდომარეობით, რომელიც აწარმოებს წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას საზოგადოების დასაარსებლად.

გუშინ ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოსთან შესდგა, საორგანიზაციო კომიტეტის ინიციატივით მოწვეული თათბირი, რომელსაც დაესწრენ დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები. განხილულ იქნა ამ.-კავკასიაში საზოგადოება „ავტოგზა“-ს დაარსების საკითხი.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდენ ა.-კ. ადგ. ტრანსპორტის უფროსი ინჟ. ა. ჯორჯაძე, რომელიც შეეხო „ავტოგზის“ დაარსების მიზნებსა და ამოცანებს და საქციო საზოგადოება „ზაკავტომპრომტორგი“-ს გამგეობის თავმჯდომარე ა. ცურინოვი, რომელმაც თათბირს გააცნო რუსეთში დაარსების „ავტოგზის“ ისტორია.

წარმოდგენილი იქნა სამი ვარიანტი ა.-კ. საზ. „ავტოგზის“ დაარსებისა: პირველი ვარიანტი მოითხოვს დამოუკიდებელ საზოგადოებების დაარსებას ფედერაციის მასშტაბით ცალ-ცალკე; მეორე ვარიანტით უნდა დაარსდეს ერთი საზოგადოება ამ.-კავკასიის მასშტაბით და მას უნდა ექნეს განყოფილებები ცალკე რესპუბლიკებში; მესამე ვარიანტით კი საზოგადოება უნდა შეიქნას ერთსა და იმავე დროს, როგორც რესპუბლიკებში, ისე ფედერაციის მასშტაბით.

თათბირს კონკრეტიულად რომელიმე ვარიანტი საბოლოოდ არ მიუღია. ყველა ვარიანტები განსახილველად გადაეცა ამხ. შ. ელიავას.

ამასთანავე არჩეულ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა როგორც რესპუბლიკანურ, ისე ამიერ-კავკასიის საზოგადოების წესდების პროექტის დამუშავება, კომისიაში შევიდენ: ამხ. იაკუბოვიჩი (საქ. გზატკეცილთა სამმართველოს ავტოტრანსპორტის განყ. უფროსი), ლევაშოვი (რკ. გზ. გამგეობის წევრი), ცურინოვი („ზაკავტოპრომტორგი“), ეგიკოვი და ჭავჭავაძე (თავდაცვა-ავიოქიმი) მამედბეკოვი (ა.-კ. სახ. საგეგმო კომისიიდან), პოპოვი (საქ. ს. მ. უ. საბჭოდან) და ორჯონიკიძე (ადგილობრივ ტრანსპორტის მუშაკთა კავშირი).

კომისიამ წესდებათა პროექტი უნდა დაამუშაოს ათი დღის განმავლობაში და განსახილველად წარუდგინოს მეორე საორგანიზაციო თათბირს.

საგადასახადო მუშაკთა ყრილობა

ყრილობის მეორე დღე

სხდომის გახსნისას ყრილობამ თავმჯდომარეს ამხ. დოლიძეს სთხოვა იშუამდგომლოს ფინსახკომისარის ამხ. გ. მგალობლიშვილის წინაშე, რათა ყრილობის სახელით, საქართველოს კომ. პარტიის (ბ), ცაკს და სახკომსაბჭოს გადასცეს შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„საქართველოს ფინსახკომთან მოწვეული პირდაპირ გადასახადების ინსპექტორთა სრულიად საქართველოს პირველი ყრილობა გთხოვს გადასცეთ საქართველოს უმაღლეს ორგანოებს, რომ ისინი მზად არიან მიიღონ ყოველგვარი ზომები საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის გატარებისათვის“.

ამ განცხადებას ყრილობა მქუხარე და ხანგრძლივი ტაშის ცემით შეხვდა.

ამის შემდეგ ყრილობამ მოისმინა მოხსენები: ბრუნვა მოგების გამანაგარიშების მეთოდებს, სრულიად საკავშირო საგადასახადო თათბირის მუშაობის შედეგების, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში საგადასახადო მუშაობის წარმოების, საქართველოს ვაჭრობა მრეწველობაში კერძო კაპიტალის მონაწილეობის, პირველ. საფეხურის კ.-ოპერატივების სათანაბრო და საშემოსავლო გადასახადებით დაბეგვრის და ახალ წესდების ძირითად დებულებების შესახებ.

მოხსენებების დამთავრების შემდეგ ყრილობა დაიყო სექციებათ პრაქტიკულ საკითხების დასამუშავებლად.

საქ. სახ. უნივერსიტეტის დელეგაცია სომხეთში

(საუბარი ამხ. თ. ღლონტთან)

ერევნიდან თბილისში დაბრუნდა თბ. სახ. უნივერსიტეტის რექტორატი: რექ. ამხ. თ. ღლონტის, პროფ. შ. ნუცუბიძის, და პროფ. კ. კეკელიძის შემადგენლობით, რომლებიც დაწვრილებით გაეცნენ ერევნის სახ. უნივერსიტეტს და ყველა კულტურულ დაწესებულებებს — სომხეთთან მჭიდრო კულტურული კავშირის დასამყარებლად. ამ მოგზაურობის შესახებ ამხ. თ. ღლონტმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

— „სახ. უნივერსიტეტის დელეგაციის მიზანი იყო სომხეთის უნივერსიტეტის დაკავშირება ჩვენს უნივერსიტეტთან, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენ მიზნად გვქონდა დასახული მხოლოდ სომხეთისა და საქართველოს უნივერსიტეტების დაკავშირება, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, გვქონდა უფრო ფართო მიზნები, სახელდობრ: საქართველოსა და სომხეთის ინტელიგენციის შორის მჭიდრო კავშირის შექმნა და განმტკიცება.

შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ჩამოყალიბებული გვქონდა ორი ხასიათის კავშირი: პოლიტიკური და ეკონომიური, რაც შეეხება კულტურულ ძალთა კავშირს, ამ მხრივ ამ ორ რესპუბლიკას შორის კულტურული კავშირი არ იყო. ძველმა ისტორიამ ჩვენი გზები, წარმართა გათიშვის პოლიტიკის გზით, ამიერ - კავკასიის ინტელიგენციის შორის ერთობასა და სოლიდარობის ნაცვლად ფეხს იკიდებდა ზოოლოგიური შოვინიზმი“.

შემდეგ ამხ. ღლონტი აღნიშნავს, თუ რა გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ ა-კ. ერების დაახლოვების საქმეში და ამბობს: „ჩვენმა ამხანაგურმა ნაბიჯმა სომხეთის ინტელიგენციის წრეებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, აღფრთოვანება არა მარტო სომხ. უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტებში იყო, ჩვენ კულტურულ დაახლოვების საქმეში [illegible]ურ მონაწილეობას იღებდენ განათლების კომისარიატის და საერთოდ მთავრობის [illegible]მადგენლებიც. საბჭოთა ხელისუფლებამ ხუთის ისტორიის შავი პერიოდი ოქროს [illegible]ოდად გადააქცია. გასაგებია, რომ საბჭოთა [illegible]ლისუფლება და კომ. პარტია არაჩვეულებრ[illegible] ნდობით სარგებლობენ.

სომხეთის უნივერსიტეტი ახალგაზრდაა. მხოლოდ 7 წლის ისტორია აქვს, ითვლის 1.300-მდე მსმენელს. იგი ცდილობს შექმნილი რიგი სასწავლო ინსტიტუტებისა, რომ უმაღლესი განათლება იქნეს ევროპიულ დონეზე დაყენებული. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა მედიკურ და აგრონომიულ ფაკულტეტების მუშაობა, მათი ლაბორატორიები და კლინიკები. უმაღლეს სკოლის რეორგანიზაციის ჩატარებისათვის ერევნის უნივერსიტეტს აქვს დიდი მნიშვნელობა. ჩვენ ერევნის უნივერსიტეტის რექტორატთან ერთად გადავწყვიტეთ ჩვენს შორის დამყარდეს ფართო კავშირი აკადემიურ და პრაქტიკულ მუშაობის ჩამოსაყალიბებლად და შესათანხმებლად. ამ კავშირთან ერთად [illegible]რველთა გაიბას კულტურული კავშირი სომხეთის ინტელიგენციასთან. მათთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ჩვენ შევქმნით სათანადო ორგანოებს საერთო მიზნების მისაღწევად.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ახლო მომავალში მოხდება, აგრეთვე დარწმუნებული ვართ, რომ ანალოგიურ კავშირს შევქმნით აზერბეიჯანის ინტელიგენციასთან, და ა-კ. სამი ძირითადი რესპუბლიკის ინტელიგენცია საძირკველს ჩაუყრის ახალ ეროვნულ და სოციალისტურ კულტურას“.

საკავშირო საბეითლო ყრილობის შედეგები

(საუბარი პროფ. ტარტაკოვსკისთან)

2 დეკემბერს ხაღამოს დამთავრდა სრულიად საკავშირო პირველი საბეითლო თათბირი, რომელიც მოწვეული იყო თბილისში საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებით.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში რუსეთის სავეტერინარო საბჭოს წევრმა და საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ საბეითლო საქმეთა კომიტეტის წარმომადგენელმა თათბირზე პროფ. ტარტაკოვსკიმ თათბირის შედეგების შესახებ განაცხადა:

— უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად საკავშირო საბეითლო თათბირი მოწვეული იყო თბილისში იმიტომ, რომ აქ ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ა. კ. ფედერაციის მოსაზღვრე სახელმწიფოებიდან საქონლის ჭირის შემოტანის საშიშროება.

თათბირის მიზანი იყო ეპიზოოტიასთან ბრძოლის ღონისძიებების გაერთიანება და გეგმაშეწონილობის შეტანა საბეითლო მუშაობაში.

თათბირმა აუცილებლად სცნო გაძლიერებული იქნეს საკარანტინო ზოლების დაცვა ა. კ. ფედერაციის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, რომ თავიდან აცილებული იქნეს საქონლის გადამდებ სნეულებათა შემოტანა ამ სახელმწიფოებიდან.

საჭიროდ იქნა ცნობილი აგრეთვე სატრანსპორტო ვეტერინარიის და რაიონულ სავეტერინარო ქსელის განვითარება და ზომების მიღება სავეტერინარო პერსონალის გასადიდებლად.

ვინაიდან საბეითლო ღონისძიებებს ეროვნულ რესპუბლიკებში მით უფრო მეტი შედეგები მოჰყვება, რაც უფრო მეტი იქნება [illegible] ბეითალთა რიცხვი, რომლებიც ადგილობრივ ენებზე ლაპარაკობენ და მჭიდროთ დაკავშირებული არიან ადგილობრივ მოსახლეობასთან, ამიტომ თათბირმა, სხვათა შორის, დაადგინა გახსნილ იქნეს ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე საბეითლო ინსტიტუტი.

ამ ინსტიტუტში სწავლება იქნება რუსულ ენაზე და იგი მოსწავლე ახალგაზრდობას მიიზიდავს არა მარტო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან, არამედ დაღესტნიდან, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ ოლქებიდან და შუა აზიის რესპუბლიკებიდან.

ვინაიდან ეპიზოოტის საწინააღმდეგო ღონისძიებების წარმატების ძირითადი პირობაა საქონლის სწორი რეგისტრაცია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის დაზღვევის საქმეშიაც, ამიტომ გადაწყვეტილია გატარებული იქნეს ამიერ-კავკასიაში საქონლის რეგისტრაცია პირუტყვის დადაღვით და მათთვის პასპორტების მიცემით. ასეთი რეგისტრაცია მეტად სასარგებლო იქნება ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიაც.

დასასრულ, აუცილებლად იქნა ცნობილი საბეითლო-ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტების და სადგურების გაფართოვება უახლოეს დროში, რათა საჭირო რაოდენობით იქნეს დამზადებული გადამდებ სნეულებათა საწინააღმდეგო შრატი და ვაქცინები.

მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობა

მეფის მთავრობა უკრძალავდა ებრაელებს სოფლებში და მეტ წილ ქალაქებში ცხოვრებას; ის ასობით ათას ებრაელ ხელოსანს და შინამრეწველს ერეკებოდა იმ ქალაქებსა და დაბებისაკენ, სადაც სამუშაო ადგილობრივ მცხოვრებთაც კი არ ჰქონდათ. ამნაირად ეს ქალაქები და დაბები გადაიქცა ღარიბ ებრაელთა თავშესაფარ ადგილად. ეს ღარიბი ებრაელობა ეხეთქებოდა აქეთ - იქით და ვერ შოულობდა მუდმივ სამუშაოს, ის იძულებული იყო თავი ერჩინა მუშაობით მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილ და არასაიმედო დარგებში (შუამავლობა, მეწვრილმანეობა და სხვა).

ოქტომბრის რევოლიუციამ საკუთარი კულტურული ცხოვრების აშენების საშუალება მისცა საუკუნოებრივ მონობის უღლის ქვეშ მყოფ ყველა პატარა ეროვნებებს. ოქტომბრის რევოლიუციამ სრული საშუალება მისცა ებრაელ მშრომელ მასებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკის ახალი სახელმწიფო და სამეურნეო ცხოვრების მშენებლობაში და ხელი მოჰკიდონ შრომის ახალ დარგებს. მშრომელ ებრაელობას ფართედ გაეხსნა კარი წარმოებითი შრომისაკენ მრეწველობაში (სახელმწიფოებრივ ლითონის დამუშავებელ, სამთო და სატრანსპორტო წარმოებები), სადაც ებრაელებს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აკრძალული ჰქონდათ მუშაობა. ამასთან პარალელურად ებრაელებში იწყო ზრდა ლტოლვამ სასოფლო-მეურნეობისაკენ. რადგან შეუძლებელია ყველა ებრაელთა მოწყობა მრეწველობაში სამუშაოდ, ამიტომ ამჟამად ღარიბი ებრაელების ყურადღება მიქცეულია სასოფლო - მეურნეობისაკენ.

საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე დიდ მზრუნველობას იჩენდა ღარიბ ებრაელებისადმი და ყველა ზომებს ხმარობდა საშუალებათა გამოსანახავად ებრაელთა მიწადმოწყობისათვის. მაგალითად, დღევანდლამდე მთელ საბჭოთა კავშირში მიწაზე უკვე მოწყობილია 130.000 ებრაელი, ხოლო 1927 წელში 30.000 ებრაელი (ე. ი. 6.000 ოჯახი), რისთვისაც მთავრობამ თავის ბიუჯეტიდან ცალკე გამოიღო 1,500,000 მანეთი. გარდა ამისა, მიწადმოწყობილთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად მთავრობამ გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებები მათთვის საგადასახადო, სამგზავრო და სხ. შეღავათების მინიჭების შესახებ.

მთავრობა ეხლაც ზრუნავს საშუალებათა გამონახვაზე მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობისათვის, მაგრამ მარტო მთავრობის ღონისძიებები არ არის საკმაო. ებრაელი მოსახლეობის ფართო წრეებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი ამ ისტორიულ წამოწყებას. მიწაზე მშრომელ ებრაელთა მომარაგების ამოცანა გადაწყვეტილი იქნება მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზოგადოების საზოგადოებრივი თვითმოქმედებით. ეს საზოგადოება თავის ამოცანად ისახავს საზოგადოებრივ ძალთა დარაზმვას, მიწაზე ებრაელთა დასახლებისათვის ხელის შეწყობას, როგორც საშუალებათა შეგროვებით საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ, ისე ორგანიზაციული, აგრონომიული, კულტურული, ტეხნიკური, საქმიანი იურიდიული დახმარებით და მატერიალური ხელისშეწყობით ახალი საქმისათვის, რომელიც დაიწყო საბჭოთა ხელისუფლებამ, ეს მით უფრო, რომ ებრაელთა მიწადმოწყობის ცდა წარმატებით დასრულდა. სოფლის მეურნეობაზე გადასულ არც ერთ ებრაელს არ მიუტოვებია ეს საქმე, ადგილი არ აქვს მოჯამაგირეთა დაქირავებას, მუშაობენ საკუთარი მარჯვენით, — ეტყობა, რომ ამ ხალხს უნდა შრომა, უნდა წელში გამაგრება.

ქალ. თბილისის მშრომელმა ებრაელობამ, ისე როგორც ყველამ, პირადი თანაგრძნობით, პირადი მონაწილეობით და მშრომელ ებრაელობის მიწადმომწყობ საზოგადოებაში შესვლით ხელი უნდა შეუწყონ ღარიბ ებრაელების სურვილს ხელი მოჰკიდონ სოფლის მეურნეობას.

ვ. მაქსიმოვი.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის პროგრამა და იმპერიალისტები.—ე. წ. უშიშროების უზრუნველყოფის საკითხი.—ბოლდუინი დაჭერილია სიცრუეში.—პილსუდსკის „სახელმწიფოებრივი გონიერება“.

მიუხედავად იმპერიალისტების ცდისა, რომ განიარაღების კომისიაზე მიეჩქმალათ განიარაღების საკითხი და ჩვენთვის მოესპოთ ამ საკითხზე გამოსვლის საშუალება, ჩვენმა დელეგაციამ მაინც შესძლო საბჭოთა მთავრობის პროგრამის გამოქვეყნება. საყოველთაო განიარაღება, ჯარების დაშლა, სამხედრო მასალათა საწყობების და ციხე-სიმაგრეების აფეთქება, სამხედრო მრეწველობის გაუქმება, შეიარაღებისა და ომის მიზნებისათვის ფინანსების გაღების შეწყვეტა, ერთი სიტყვით, ომის ყველა საშუალების მოსპობა, — აი, რა წამოაყენა საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც ამასთან ჩამოაყალიბა კონკრეტული გეგმა ამ პროგრამის განსახორციელებლად.

⁂

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთმა დეკლარაციამ გასროლილ ყუმბარის შთაბეჭდილება მოახდინა ჟენევაში და მთელ იმპერიალისტურ ბანაკში. ერთა ლიგის მესვეურები კბილებს აკრაჭუნებენ იმის გამო, რომ მათ ვერ მოახერხეს განიარაღების კომისიაში საბჭოთა მთავრობისათვის მონაწილეობისათვის ხელი შეეშალათ, როგორც ისინი ამას წინეთ სჩადიოდნენ. მაშინ იმპერიალისტები ძველებურად ილაყბებდენ, მიიღებდენ არაფრის მთქმელ რეზოლიუციებს და საბჭოთა მთავრობას „გალმა გაედავებოდენ“. საბჭოთა მთავრობა იმპერიალისტურ მიზნებს ისახავს, ის განიარაღების კონფერენციებს არ ესწრება და ხელს გვიშლის მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეშიო. თუმცა უნდა ითქვას, რომ ასეთი არგუმენტაცია უკვე სავსებით გაცვეთილია და მას არ შეუძლია იმ უდავო ფაქტის დაფარვა, რომ საბჭოთა მთავრობა ერთად ერთია, რომელიც მტკიცედ ატარებს სამშვიდობო პოლიტიკას, ხოლო დანარჩენი სახელმწიფოები იარაღს იღებენ ერთი მეორის წინააღმდეგ და ახალი მსოფლიო ხოცვა - ჟლეტისთვის ემზადებიან.

ეხლა ეს მოჩვენებითი „საბუთიც“ ხელიდან გამოეცალათ სისხლის ღვრის მოციქულებს. საბჭოთა მთავრობა ესწრება მათ მიერ მოწვეულ კონფერენციას და ახდენს თავის სამშვიდობო ზრახვების დემონსტრაციას. თუ ზოგიერთი მათგანი, საბჭოთა დეკლარაციასთან დაკავშირებით, კვლავ იმეორებს მომაბეზრებელ ზღაპარს „წითელ იმპერიალიზმის“ შესახებ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი ჩიხში არიან მომწყვდეულნი. აბა საიდან სჩანს ჩვენი „წითელი იმპერიალიზმი“? — შეიძლება განიარაღების პროგრამიდან ან იმ პრაქტიკულ სამშვიდობო ღონისძიებებიდან, რომლებითაც ხასიათდება საბჭოთა მთავრობის მთელი მუშაობა? იმპერიალისტები ამბობენ, რომ საბჭოთა პროგრამა არის ჩვეულებრივი პროპაგანდაო. რა სურთ ამით სთქვან? ნუ თუ მათ მშვიდობიანობის პროპაგანდა დასაგმობ საქმედ მიაჩნიათ. მაშინ ისინი იშიშვლებენ თავს. როგორც მშვიდობიანობის დაუძინებელი მტრები და შეიარაღების მომხრენი. იმპერიალისტებს ალბად სურთ დაამტკიცონ, რომ საბჭოთა მთავრობა თითქო პროპაგანდას ეწევა, ხოლო საქმით ომის პოლიტიკას აწარმოებსო. მაგრამ ამ ცილისწამებას, ცხადია, არავითარი გასავალი არა აქვს. ჩვენი დეკლარაცია წინადადებას იძლევა, რომ ყველა სახელმწიფოების განიარაღება დაიწყოს და ჩატარდეს ერთდროულად. დეე, გაბედონ ამ წინადადების მიღება და მაშინ გამოჩნდება, საბჭოთა მთავრობა ცალიერ პროპაგანდას ეწევა, თუ სინამდვილეში ანხორციელებს თავის სიტყვას; მაშინ გამოჩნდება, რომ სწორედ იმპერიალისტები თვალთმაქცურად ლაყბობენ განიარაღებაზე, ხოლო პრაქტიკულად მილიტარიზმის „ღმერთის“ წინაშე არიან წამოჩოქილნი. მაგრამ ამას რომ თავი დავანებოთ, საბჭოთა კავშირის მიერ შეიარაღებულ ძალების შესაძლებელ მინიმუმამდე შემცირება, მაშინ, როცა იმპერიალისტური ქვეყნები სულ ერთიანად სამხედრო ბანაკს წარმოადგენენ, მისი განუწყვეტელი ცდა სხვა ქვეყნებთან მეზობლურ ურთიერთობის დასამყარებლად მისი პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს ყველა ხალხების თანასწორუფლებიანობის აღიარება და უზრუნველყოფა, — განა ყველაფერი ეს არ მეტყველობს, რომ საბჭოთა მთავრობა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით მთელი თავის მუშაობით განიარაღების და მშვიდობიანობის საქმეს ემსახურება. ეს ხომ ასეა, მაგრამ ამის თქმას ჩვენ იმპერიალისტებს ვერ მოვსთხოვთ.

შემდეგ: საბჭოთა მთავრობის პროგრამას ისინი უტოპიას და ფანტაზიას უწოდებენ. ამით მსოფლიო ყაჩაღები თავის თავს იმათრახებენ. მართლაც, თუ ჩვენი თვალსაზრისი უტოპიათ, ე .ი. განუხორციელებელ რამეთ მიაჩნიათ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კაპიტალისტებს არ სურთ და არ ძალუძთ განიარაღება, ვინაიდან ისინი თავისი ბუნებით იმპერიალისტები არიან, ვინაიდან მათი ბატონობა უხეშ ძალადობას, მაშასადამე, შეიარაღებას ემყარება.

რა ბედი ეწვევა ჩვენს წინადადებებს? ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარე, კიშენდენი აცხადებს: „საბჭოთა ყველა წინადადებები სრულებით არ ეხებიან განიარაღების კომისიის მუშაობის საგანს“-ო. კარგი აღიარებაა. თუ განიარაღების კომისიას განიარაღების პროგრამა არ ეხება, აბა სხვა რა უნდა აკეთოს მან. კიშენდენის აღიარებაც აშკარად ხდის, რომ იმპერიალისტები ნამდვილად არავითარ განიარაღებაზე არ ფიქრობენ. თავის თავად ცხადია, რომ ჩვენს წინადადებებს გვერდს აუხვევენ; თუ პირდაპირ ვერ გაბედავენ მათ უარყოფას, შეიძლება გადასცენ რაღაც კომისიას „განსახილველად“, რაც ნიშნავს მათ დასამარებას. სხვანაირად წარმოუდგენელია. „დეილ ჰერალდ“-ის თქმით, „სანამ საბჭოთა წინადადებებს არ დაუპირდაპირებენ რაიმე სხვა ცხოველმყოფელ გეგმას, მანამდე ყველა სხვა მთავრობების განცხადებანი განიარაღებისათვის მზად ყოფნის შესახებ მოკლებული იქნება ძალასო“.. ეს ჭეშმარიტებაა. მაგრამ რა „ცხოველმყოფელი“ გეგმა შეიძლება იმპერიალისტებს გააჩნდეთ? რა თქმა უნდა. არავითარი. მათ შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ შეიარაღებისა და ომის გეგმა.

თუმცა საბჭოთა წინადადებები უარყოფილი იქნება, მაგრამ მათი მნიშვნელობა ამით ოდნავადაც არ მცირდება. საბჭოთა მთავრობამ მთელი ქვეყნის გასაგონად მოახდინა თავის სამშვიდობო პოლიტიკის დემონსტრაცია და ამხილა იმპერიალისტების თვალთმაქცობა და მათი მზადება ომისათვის. დღევანდელ საერთაშორისო პირობებში, როცა ატმოსფერა ასე დამძიმებულია და ყველგან ომის სუნი ტრიალებს, საბჭოთა დელეგაციის გამოსვლა ჟენევაში შეიქმნება ახალ ფაქტორად, რომელიც უფრო გაამახვილებს მშრომელ მასების სიფხიზლეს ომის საფრთხის მიმართ, გააძლიერებს მათ ბრძოლას იმპერიალიზმთან და უფრო გაზრდის სიმპატიებს საბჭოთა კავშირისადმი, რომელიც ერთად ერთი სახელმწიფოა, რომელიც მედგრად სდგას საყოველთაო მშვიდობიანობის სადარაჯოზე.

⁂

როგორც ვსთქვით, განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის ხელმძღვანელები შეეცადენ განიარაღების საკითხის მიფუჩეჩებას. თუმცა ამ მიზანს მათ მთლიანად ვერ მიაღწიეს და საბჭოთა დელეგაციამ შესძლო განიარაღების შესახებ ჩვენი პროგრამის გამოქვეყნება, მაგრამ იმპერიალისტები მაინც თავის გეგმას ანხორციელებენ. ისინი ცდილობენ უყურადღებოდ დასტოვონ საბჭოთა დეკლარაცია, ხოლო სამაგიეროთ „მუშაობის“ ცენტრი გადააქვთ ე. წ. უშიშროების უზრუნველყოფის საკითხზე.

საფრანგეთის მთავრობა ამბობს, რომ საჭიროა პირველ ყოვლისა უშიშროების უზრუნველყოფა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განიარაღებაზე ლაპარაკიო. ის საკმარისად არ სთვლის ერთა ლიგის სტატუტით — (მე 16-მუხლით) გათვალისწინებულ ეკონომიურ, ფინანსიურ და სამხედრო გარანტიებს, რომლებიც ლიგამ უნდა მისცეს თავის წევრს, თუ უკანასკნელს თავს დაესხმებიან, და მოითხოვს ამ გარანტიების გადიდებას. ასეთი მოთხოვნა პირველ ყოვლისა მიმართულია გერმანიის მხრით ვითომდა მოსალოდნელ რევანშის წინააღმდეგ. თავის თავად ცხადია, რომ განიარაღებული გერმანია რაიმე მუქარას არ წარმოადგენს საფრანგეთისათვის. უკანასკნელისათვის უშიშროების გარანტიის საკითხის წამოყენება მხოლოდ საბაბია, რომ განიარაღებიდან თავი დაიძვრინოს, რასაც კიდეც აღნიშნავს გერმანიის პრესა.

მართლაც, ასეთი თვალსაზრისი სრულებით უარყოფს განიარაღების შესაძლებლობას. ჯერ ერთი, ვერავინ გამოარკვევს, თუ ვინ არის თავდამსხმელი მხარე; ყოველ იმპერიალისტურ სახელმწიფოს, რომელიც მეორე ქვეყანას თავს ესხმის, შეუძლია თავისი თავი თავდამცველ, ხოლო მოწინააღმდეგე დამსხმელ მხარეთ გამოაცხადოს. მეორე, უშიშროების გარანტიის საკითხის გადაწყვეტა გულისხმობს თვითეულ ცალკე ქვეყნის საომარ უნარიანობის ყოველ მხრივ შესწავლას, — თუ რამდენი ჯარი და სამხედრო მასალა სჭირია მას, როგორია მისი ცოცხალი ძალების და მატერიალურ ტეხნიკურ რესურსების მარაგი, რომ შესძლოს თავის დაცვა დამსხმელ სახელმწიფოსაგან და სხ. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს, თუ რა დახმარება უნდა აღმოუჩინოს ამა თუ იმ მხარეს, რომელსაც „თავს დაესხმიან“. ეს და მრავალ მსგავს საკითხების გამორკვევაში ყოველთვის იჩენს თავს აუარებელი უთანხმოება, ნამდვილი ან გამოგონილი, რომელთა გარშემო დავა შეიძლება დაუსრულებლივ გაგრძელდეს, (როგორც კიდეც ხდება). ეს გარემოება, გარდა იმისა, რომ უშიშროების გარანტიის საკითხის წამოყენება თავის თავად უშვებს შეიარაღებულ ძალების არსებობას და. მაშასადამე, ომების შესაძლებლობას, ასაფლავებს განიარაღების საქმეს.

ამიტომ საბჭოთა მთავრობა, რა თქმა უნდა, წინააღმდეგია უშიშროების უზრუნველყოფის საკითხის იმ სახით წამოყენების როგორც იგი დგას ერთა ლიგაში და მის კომისიაში. საბჭოთა დელეგაცია სამართლიანად აცხადებს, რომ უშიშროების ნამდვილ გარანტიას წარმოადგენს განიარაღება და საკითხისადმი სხვანაირი მიდგომა არის განიარაღების იდეის ჩაფუშვა.

სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ უშიშროების კომისიაში კვლავ წამოყო თავი საფრანგეთ - ინგლისის წინააღმდეგობამ. საქმე ის არის, რომ ინგლისს, ჯერ ერთი, არ სურს იკისროს სხვა ვალდებულებანი გარდა იმისა, რაც ერთა ლიგის დებულებით უკვე აქვთ მის წევრებს დაკისრებული. მის ინტერესებს სრულებით არ შეადგენს საფრანგეთის იმპერიალიზმს მიაშველოს თავისი ძალები რამე გართულების დროს. შემდეგ. ინგლისი მოწადინებულია საფრანგეთის სამხედრო შესუსტებას, მის ჯარების შემცირებას, რათა განამტკიცოს თავისი ჰეგემონია საფრანგეთზე და დანარჩენ ქვეყნებზე. ამასთან, თავის სამხედრო სიძლიერის შემცირებაზე ინგლისს გაგონებაც არ სურს.

მოწინააღმდეგე მხარეებმა შესაძლებელია, გულუბრყვილოთა თვალის ასახვევად, რაიმე მოჩვენებითი კომპრომისს მიაღწიონ, მაგრამ ამით მათი ურთიერთი წინააღმდეგობა რა დაიმალება. როგორადაც არ უნდა გათავდეს საქმე, განიარაღების საკითხის მაგიდის ქვეშ ამოდება, რასაც ეხლა ვხედავთ, და უშიშროების გარანტიების შესახებ უნაყოფო დისკუსიის გამართვა მოწმობს, რომ იმპერიალისტებს ყველაზე ნაკლებ შეეფერებათ მშვიდობიანობის მოციქულობის როლის თამაში. ამ გზით ისინი ვერ მოახერხებენ მავნე პაციფისტურ ილიუზიების განმტკიცებას.

⁂

გასულ 9 ნოემბერს ინგლისის პრემიერმა, ბოლდუინმა წარმოსთქვა სიტყვა, სადაც საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ განაცხადა შემდეგი: „ჩვენ არ გვინდოდა საბჭოთა კავშირთან წაჩხუბება. როგორც კი დავინახავთ, რომ საბჭოთა მთავრობა მზადაა დაიცვას საერთაშორისო დამოკიდებულებაში მიღებული ჩვეულებრივი წესები და თავს იკავებს ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევისაგან, ჩვენ მასთან დავიჭერთ ურთიერთობას იმავე პრინციპების მიხედვით, რომლებიც ახასიათებენ მთელს ჩვენს პოლიტიკას“-ო.

მაშინვე აღნიშნული იყო, რომ ბოლდუინი ამაოდ ცდილობდა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გაწყვეტის გამო პასუხისმგებლობა მოეხსნა ინგლისის მთავრობისათვის და ეს პასუხისმგებლობა ჩვენზე მოეხვია. აგრეთვე ზედმეტჯერ იქნა გაბათილებული ჭორი, თითქო საბჭოთა მთავრობა ერეოდა ინგლისის შინაურ საქმეებში, პირიქით, დამტკიცებულ იქნა, რომ სწორედ ინგლისის მთავრობა უხეშად ერევა საბჭოთა კავშირის შინაურ ცხოვრებაში. გარდა ამისა, აღნიშნული იყო, რომ ბოლდუინის ასეთი გამოსვლა წარმოადგენდა საარჩევნო მანევრს და რომ ინგლისის მთავრობა არამც თუ არ აპირებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებას, არამედ წინანდებურად აგრძელებს ანტი-საბჭოთა კამპანიას, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის საქმიანი წრეები სულ უფრო დაჟინებით მოითხოვენ ჩვენთან დამოკიდებულების აღდგენას.

ყველაფერი ეს ჩვენ ეხლა იმიტომ გავიხსენეთ, რომ, ბოლდუინის ხსენებულ გამოსვლასთან დაკავშირებით, მან ამ დღეებში ახალ სიცრუეს მიმართა. როცა თემთა პალატაში მას შეეკითხენ: „იყო თუ არა საბჭოთა მთავრობის მხრივ რაიმე პასუხი ბოლდუინის სიტყვაზე, რომელშიც აღძრული იყო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების შესაძლებლობა“-ო, ბოლდუინმა ამაზე უარყოფითად უპასუხა. ნამდვილად კი საქმის ვითარება სულ სხვაგვარია. ამხ. რიკოვმა თავის მოხსენებაში უკრაინის კომპარტიის ყრილობაზე, როცა ის შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას, პირდაპირ უპასუხა ბოლდუინს უკანასკნელის ზევით დასახელებულ სიტყვაზე. ამხ. რიკოვმა ეს სიტყვა მოიყვანა და სთქვა: საბჭოთა მთავრობა ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტაში ერთად ერთი დამნაშავეთ სთვლის ინგლისის მთავრობას და რომ საბჭოთა მთავრობა უარს არ ამბობს დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობის განახლებაზე ბოლდუინის მიერ წამოყენებულ პრინციპების — სხვა სახელმწიფოს საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე შემდეგი ფორმულის მიხედვით: „ბოლდუინი არ ერევა ჩვენს საქმეებში, რიკოვი არ ერევა დიდ ბრიტანეთის საქმეებში“.

პასუხი გარკვეულია. მაგრამ ბოლდუინს თუ დაუჯერებთ, ამხ. რიკოვის ამ პასუხის შესახებ მას თითქო არაფერი სცოდნია. ნამდვილად კი უდავოა, რომ ბოლდუინი გაცნობილია ამხ. რიკოვის სიტყვას: მისი შინაარსი დაბეჭდილი იყო ინგლისის ყველა დიდ გაზეთებში უკვე სამი დღით ადრე, ვინემ ბოლდუინი თემთა პალატაში ცრუ განცხადებით გამოვიდოდა.

ეს „წვრილმანი“ დამახასიათებელია. ბოლდუინები რომ ტყუილებს არიან შეჩვეულნი, ამაში ახალი და გასაკვირი არაფერია, რომ ისინი ასეთი „პატივისცემით“ ეპყრობიან ისეთ „ავტორიტეტულ“ დაწესებულებას, როგორიცაა ხალხის „უზენაესი წარმომადგენლობა“ — თემთა პალატა, არც ესაა მოულოდნელი. ბოლდუინის მორიგი სიცრუე ჩვენთვის იმ მხრივადაა საყურადღებო, რომ ინგლისის მთავრობა, როგორც წინედ, ისე ეხლაც ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ის მომხრე იყოს საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენის და ვითომ ამას გაურბოდეს საბჭოთა მთავრობა. ესაა მორიგი ანტი-საბჭოთა გამოსვლა. ამავე დროს ბოლდუინის პასუხი შეკითხვაზე მოწმობს. რომ ინგლისის მოსახლეობაში იმდენად ძლიერია საბჭოთა კავშირთან შეთანხმების სურვილი, რომ ბოლდუინს მისი შესანელებლად უხდება მიმართვა ისეთი ფანდისათვის, როგორიცაა უტიფარი ტყუილა, მაგრამ „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“ და ეს სიბრძნე ბოლდუინს „დავიწყებია“.

⁂

პოლონეთის დიქტატორმა პილსუდსკიმ, პრესის წარმომადგენელთან საუბარში, შეხო რა ის მობილიზაციას, რომელიც თითქოს სწარმოებს ლიტვაში, განაცხადა: „ომის მდგომარეობამ, რომელიც ლიტვის მთავრობამ მოგვახვია თავზე ასეთი დიდი ხნის განმავლობაში, მაიძულა არა ერთხელ მეფიქრა იმ დღის შესახებ, თუ როდის მომიხდება გადაწყვეტილების მიღება. პოლონეთსა და ლიტვას შორის ომის მდგომარეობის საკითხი ამჟამად გადატანილია საერთაშორისო ნიადაგზე, სადაც მშვიდობიანობის ტენდენციები სჭარბობს. ამიტომ მე გადავწყვიტე დავიცვა ლოღიკისა და სახელმწიფოებრივი გონიერების მოთხოვნილებანი და საფრანგეთის ელჩს განუცხადე, რომ არ ვაცხადებ მობილიზაციას და ველოდები ერთა ლიგის საბჭოს პასუხს ჩვენს ნოტაზე“.

ეს გრძელი ამონაწერი ჩვენ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ის კარგად ახასიათებს პოლონეთის ეხლანდელი მესვეურების იმპერიალისტურ პოლიტიკას. პირველ ყოვლისა ისე გამოდის, რომ თითქო თავდამსხმელი მხარე ლიტვა იყოს და არა პოლონეთი. პილსუდსკი ყვიბა ჭორს ლიტვაში ვითომდა გამოცხადებულ მობილიზაციის შესახებ. არაფერ ამის მსგავს, რა თქმა უნდა, არა აქვს ადგილი. მაგრამ ასეთი სიცრუე პილსუდსკის ესაჭიროება თავის ავანტიურის გასამართლებლად. წინააღმდეგ მისი მტკიცებისა, მზადება პოლონეთში კვლავ წარმოებს ამ ავანტიურის განსახორციელებლად. პილსუდსკი რაზმავს ლიტველ ემიგრანტებს, რომელთა ხელით ცდილობს ლიტვის დამოუკიდებლობის დამხობას.

ამავე დროს პილსუდსკი მოქმედობს „საერთაშორისო ნიადაგზედაც“, ხოლო რომ თითქოს აქ „მშვიდობიანობის ტენდენციები“ სჭარბობდენ, ეს, რასაკვირველია, მარტო პილსუდსკის „ლოღიკის და სახელმწიფოებრივი გონიერების“ ნაყოფია. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ერთა ლიგაში გაბატონებული ინგლისი და საფრანგეთი ხელს უწყობენ პოლონეთის იმპერიალისტების მტაცებლურ ზრახვებს ლიტვის მიმართ. თუ ეს „მშვიდობიანობის ტენდენციები“-ს გამარჯვებაა, მაშინ სიტყვები კარგავენ თავის ჩვეულებრივ მნიშვნელობას; მაგ., სიტყვა მშვიდობიანობა ხდება ომის და დაპყრობის გამომხატველ ტერმინათ.

მაინც აღსანიშნავია პილსუდსკის ასეთი მოჩვენებითი „მშვიდობის მოყვარეობაც“. საბჭოთა ნოტამ რამოდენიმედ შეანელა მისი საომარი განწყობილება. მაგრამ აშკარაა, რომ პილსუდსკი თავის უცნაური „ლოღიკით და სახელმწიფოებრივი გონიერებით“ ვერ დაფარავს თავის მტაცებლურ პოლიტიკას.

გ. ქ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ამნისტია

ქუთაისი, 2 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის მანიფესტის ძალით დასავლეთ საქართველოს გამასწორებელ სახლებიდან განთავისუფლებულია 127 კაცი. (ადს).

სამხრეთ - ოსეთი

გაფლანგვისათვის

ქუთაისი, 2 დეკემბერი. მუშკოოპის გამგეობის წევრს ნადარეიშვილს, რომელმაც გაფლანგა 2.000 მანეთი, სასამართლომ მიუსაჯა ორი წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ ამნისტიის ძალით დანაშაულის მოხდის ვადა შემცირებულია 1 წ. 4 თვემდე (ადს).

აბრეშუმის ახალი სამრეწველო წამოწყებები

ქუთაისი, 2 დეკემბერი. მიმდინარე საბიუჯეტო წელში „საქართველოს აბრეშუმის“ მიერ მოწყობილი იქნება აბრეშუმის სახვევი ფაბრიკები სამტრედიაში, ხონში და ოზურგეთში, ჭალო სვირში, მუხრანში, ახალი სოფელში, ქარაგოულში, და გორში გაიხსნება პარკის საშრობი და ჭიის საკლავი ფაბრიკები (ადს).

აბრეშუმის სახვევ ფაბრიკაში

ოზურგეთი, 3 დეკემბერი. დასრულდა წრევანდელი მოსავლის გამხმარი პარკის მიღება ოზურგეთის ფაბრიკაზე. ფაბრიკა ორცვლიანი მუშაობის დროს გადასამუშავებელი ნედლი მასალით უზრუნველყოფილია. სამუშაო დღის განმავლობაში მუშავდება 17—20 ფუთი პარკი, რომლიდანაც გამოდის 2 ნახ. ფუთი გრეჟი და გამზადებული ძაფი. (ადს).

თემის მუშაკთა თათბირი

ახალციხე, 2 დეკემბერი. დამთავრდა სამაზრო აღმასკომის მიერ მოწვეული ყველა თემის საბჭოს სექციების თათბირი. თათბირმა მოისმინა მოხსენება საბჭოს და მისი სექციების მუშაობის მეთოდების შესახებ. აღნიშნულ იქნა, რომ ადგილებზე სექციებს ემჩნევა სუსტი მუშაობა, რაც აიხსნება მათზე თემის და სამაზრო აღმასკომების სუსტი ხელმძღვანელობით. მიღებულია ზომები ამ ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად. (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

საექიმო პუნქტი

ცხინვალი, 2 დეკემბერი. ჯავის რაიონის გლეხთა ინიციატივით, სამხრეთ - ოსეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი შეუდგა საექიმო პუნქტისათვის შენობის აგებას, სადაც იქნება ცალკე განყოფილებები კაცებისათვის და ქალებისათვის. შენობის ასაგებ ხარჯების დიდ ნაწილს გლეხობა იღებს თავის თავზე. (ადს).

ხილის მოსავლობა

ცხინვალი, 2 დეკემბერი. წელს მთელ სამხრეთ - ოსეთში, ცხინვალის დაბლობს გარდა ხილის მოსავალი უმნიშვნელოა. (ადს).

წერილები

აღმშენებლობა მარტყოფის თემში

დღეს საქართველოში არ მოიპოვება ისეთი თემი, სადაც გაცხოველებული აღმშენებლობითი მუშაობა არ სწარმოებდეს და ეს მუშაობა დადებით შედეგს გვაძლევს უფრო მაშინ, როდესაც თემ-აღმასკომების ხელმძღვანელობა ადგილობრივი გლეხობაზე დამაკმაყოფილებელია.

ამ მხრივ დამახასიათებელია მარტყოფის თემიც, სადაც დიდი მუშაობა სწარმოებს თემის მოსახლეობის საკეთილდღეოდ, მაგალითისათვის მოვიყვანთ შემდეგს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე მარტყოფში გახსნილ იქმა საავადმყოფო, სადაც ჯერ-ჯერობით მოეწყო ათი საწოლი, დაწყებული ახალი საავადმყოფოს შენობა დამთავრებულ იქნება ერთ თვეში და ამასთანავე ავადმყოფების საწოლთა რიცხვი გადიდდება 30-მდე. ადგილობრივი გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა, რომელიც გახსნილი იქნა გასულ წელს და რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია გლეხობის, იმდენად გადიდდა მოსწავლეთა რიცხვით, რომ საჭირო შეიქმნა შენობის გაფართოება და ეს მოთხოვნილება ამ დღეებში უკვე დაკმაყოფილებულ იქნა. სკოლის ქვედა სართულზე მეორე სართულის დადგმით. ამასთანავე სოფ. მარტყოფში ნიაღვრებისაგან დაზარალებულ ადგილებზე გაკეთებულ იქმნა ორი ბოგირი.

სოფ. ახალსოფელი (მარტყოფის თემი), რომელიც დიდ ნაკლულოვანებას განიცდიდა სკოლის სათანადო შენობის უქონლობით, რაც სწავლის საქმეს ერთ წერტილზე აჩერებდა, ეს ნაკლიც დღეს სავსებით გამოსწორებულია, ახალი 5 ოთახიანი სკოლის შენობის დამთავრებით. აქ დღემდე არ არსებობდა ქოხ-სამკითხველო მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავმა ასეთიც უზრუნველჰყო სოფ. ახალსოფელი.

სოფ. მარტყოფის ერთ მოზრდილ უბანთაგანის მცხოვრებლები განიცდიდნენ რა დიდ გაჭირვებას სასმელი წყლის უქონლობით, ეს საკითხიც მოგვარებულ იქმნა ამ უბნის მცხოვრებთათვის სასმელი წყლის გაყვანით. მარტყოფის საზოგადოების სახნავ სათეს მინდორში დაწყებულ იქნა სასმელი წყლის გაყვანა, რაც მუშაობის დამთავრების შემდეგ ხსენებული წყალ გამოყენებული იქნება ნაწილობრივ მიწების მოსარწყავად.

ყოველივე ზემოთაღნიშნული სოფლის აღმშენებლობითი მუშაობა ჩატარებულია, რაც ნაყოფია 1927 წლის.

ამასთანავე განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ადგილობრივი გლეხობა მხურვალე მონაწილეობას ღებულობს თემის ყოველ გვარ აღმშენებლობითი საქმიანობაში და არ იშურებს თავის ფიზიკურ ძალას სოფლის დასაწინაურებლად. ადგილობრივი თემ-აღმასკომი იჩენს შესაფერ მიდგომას გლეხობისადმი და უწევს თემის მოსახლეობას სათანადო ხელმძღვანელობას.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალში მარტყოფის თემის მშრომელი გლეხკაცობა მეტის შეგნებით უფრო მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს მათთვის სარგებლობის მომტან საქმიანობაში.

შ. გარე-კახელი.

ახალი სასოფლო - სამეურნეო საზოგადოება

სოფ. ჭანიეთში, (ოზურგეთის მაზრა) გლეხებმა დააარსეს სასოფლო - სამეურნეო საზოგადოება, რომელიც აშენებს თხილის ბაღებს, მან დაიინებს, აწყობს თამბაქოს პლანტაციებს, ყიდულობს გლეხებისაგან თხილს, ღვინოს, მანდარინას და სხვ.

საზოგადოება მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებას და სოფლის კეთილმოწყობის გაუმჯობესებას.

საზოგადოების მიერ დაარსებულია სამკითხველო, შენდება სახალხო სახლი.

გლეხობა დიდ ინტერესს იჩენს საზოგადოებისადმი.

საზოგადოებას ესაჭიროება გრძელვადიანი კრედიტი, რაც საშუალებას მისცემს მას გააფართოვოს თავისი მუშაობა.

ადგილობრივი

სვირის თემი, ქუთაისის მაზრა

მოსაწესრიგებელი საკითხი

სვირის თემის მოსახლეობა ყოველთვის დიდ გაჭირვებას განიცდის უტყეობის გამო. მორჩება თუ არა გლეხობა შემოდგომის მოსავლის შენახვას, საგონებელში ვარდება შეშის საკითხის მოუგვარებლობის გამო. არ იცის სად წავიდეს, როგორ მოიმარაგოს ზამთრისთვის შეშა. ხშირად უხდება მას რამოდენიმე ვერსზე ზეგნის და ბაღდადის მთებში წასვლა, შეშის საშოვნელად. კიდევ კარგი, თუ იქ მაინც იშოვა, მაგრამ საქმე ის არის რომ ზოგჯერ იქიდანაც ხელცარიელი ბრუნდება.

მართალია სოფელს ზედ თავზე დაჰყურებს ტყით დაფარული მთა, წოდებული „სალომინაშვილოდ“ და „საწაქაძეოდ“, მაგრამ ისე მოუწესრიგებელია ამ ტყეებით სარგებლობის საკითხი, რომ გლეხობას მით სარგებლობა არ შეუძლია.

იყო მთავრობის განკარგულება. რათა „სალომინაშვილო“ ტყის ნახევარი გადაეცათ სოფლისათვის, რამაც გლეხობა ძალზე დაამედინა და ადგილობრივმა აღმასკომმა კიდეც გასცა ბილეთები შეშის გამოტანის შესახებ მაგრამ ეს საკითხი კვლავ აიწეწა ლომინაშვილების მაჰინაციების გამო.

საქმე იმაშია, რომ თანახმად მთავრობის განკარგულებისა, ადგილობრივ ტყის გასანაწილებლად ჩამოვიდა ტაქსატორი. ლომინაშვილებმა განზრახ, რათა მიეღოთ ნაწილი „საწაქაძეო“ ტყისა, გადამალეს საკუთარი ტყის ნაკვეთები. ამ გვარად ტაქსატორს საშუალება არ მიეცა გაენაწილებია ტყე და ისევ ღიათ დარჩა.

როგორც ვსთქვით აღმასკომის მიერ შეშის გამოტანის ბილეთები უკვე გაცემულია, მაგრამ ტყის საკითხის ისევ არევ-დარევის გამო ბილეთებით სარგებლობა შეჩერებულია ახალ განკარგულებამდე.

საჭიროა, სათანადო ორგანოებმა მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება და ეს საკითხი დროულად გადასწყვიტონ. ერთხელ და სამუდამოდ.

იმერელი.

მუშათა ცხოვრება

მუშკორთა საყურადღებოთ

დღეს, 4 დეკემბერს, მოეწყობა ჩვენი გაზეთის მუშკორთა ექსკურსია ქალაქის ახალი ბაკის დასათვალიერებლად. მუშკორებმა თავი უნდა მოიყარონ რიყეში, დესიმონოვის მოედანზე, დიდ სასწორთან დილის სრულ თორმეტის ნახევარზე.

გავაერთიანოთ საიჯარო ამხანაგობები

საბინაო კრიზისის ალბად რამოდენიმე წელიწადი კიდევ გაგრძელდება. მართალია, საბინაო კოოპერატივები და სხვა საბინაო სააღმშენებლო ამხანაგობები და მათ შორის ქალაქის აღმასკომიც გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ ბინების ასაშენებლად, მაგრამ ეს მხოლოდ ოდნავ შეასუსტებს საბინაო კრიზისს. მის სავსებით და საბოლოოდ აღმოსაფხვრელად კი საკმაო დიდი დრო და დიდი თანხაა საჭირო.

საბინაო კრიზისის მოსაგვარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ბინების მოვლა-პატრონობასა და მათ შეკეთებას. ამ მხრივ კერძო სახლებს, რომ თავი დავანებოთ თვით კოოპერატიული და საბინაო საიჯარო ამხანაგობების სახლებიც უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან. მდგმური იხდის ბინის ქირას, მაგრამ ბინის შესაკეთებლად ხშირად არავინ თავს არ იწუხებს. ეს გარემოება ხელს უშლის საბინაო საკითხის მოგვარებას და აფერხებს ბინათმშენებლობის საქმეს.

ამიტომ გამონახული უნდა იქნეს ისეთი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებელ ბინებს მოვლა - პატრონობით და შეკეთებით. ერთ მთავარ საშუალებათაგანი ბინების შესაკეთებლად, ეს არის საბინაო - საიჯარო ამხანაგობების გაერთიანება.

საქართველოს ბინათკავშირის ცენტრალურმა გამგეობამ უკვე გადასდგა ამ მხრივ ნაბიჯი. გამგეობის მიზანია გააერთიანოს საიჯარო ამხანაგობები და ასეთი საშუალებით გააუმჯობესოს ბინების შეკეთების საქმე. მაგრამ საიჯარო ამხანაგობების გაერთიანებას მარტო ეს მნიშვნელობა არა აქვს, არამედ ის უფრო სხვა დიდ საქმეს ემსახურება. სახელდობრ იმას, რომ საიჯარო ამხანაგობების გაერთიანების შემდეგ ამ დაწესებულებას მიეცემა კოოპერატიული სახე და მეორეც საგრძნობლად შეამცირებს ხარჯებს.

თბილისში არსებობს სულ 213 საბინაო - საიჯარო ამხანაგობა ყველა მათგანს ჰყავს ცალკე გამგეობა, რომლის წევრებიც რასკვირველია, მსახურობენ და ტეხნიკური მომუშავეებიც. გამგეობის წევრები მაინცა და მაინც ვერ აქცევენ ხალხს შესაფერ ყურადღებას, რადგან ყველა მათგანი თავისი პირად საქმეებით არის დატვირთული. ბინის ქირიდან კი ყველანი განთავისუფლებული არიან.

გაერთიანების შემდეგ ყველა რაიონს, 10—12 სახლს ექნება 1 კანტორა და ეყოლება განსაკუთრებული შტატი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება გაერთიანებულ სახლების მოვლა - პატრონობაში.

ასეთია საბინაო - საიჯარო ამხანაგობების გაერთიანების მნიშვნელობა. ამიტომ ყველა მუშამ, ყოველმა მცხოვრებმა საიჯარო ამხანაგობების სახლებისა, ხელი უნდა შეუწყონ ამ გაერთიანებას.

ბინათკავშირელი.

სამაგალითო ნაბიჯი

ამას წინად, ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა დიდუბის რაიონის საბინაო-საიჯარო ამხანაგობების წევრთა საერთო კრება, რომელზედაც ამხანაგობების გაერთიანებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, მოხსენება გააკეთა ამხ. გარიშვილმა.

მომხსენებელმა ვრცლად გააცნო დამსწრეთ საიჯარო ამხანაგობების სახლების მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ამ ამხანაგობების გაერთიანება სავსებით უზრუნველყოფს სახლებს მოვლისაგან და შეკეთებისაგან. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში, მუშებმა სურვილი გამოსთქვეს ამ ამხანაგობების ერთ ორგანიზაციაში გაერთიანების შესახებ.

დასასრულ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც მოწონებული იქნა საქართველოს ბინათკავშირის ცენტრალურ გამგეობის ხაზი საიჯარო ამხანაგობების გაერთიანების მხრივ და საჭიროთ იქნა ცნობილი ამ გაერთიანების ჩატარება.

ამავე კრებამ აირჩია დიდუბის რაიონის საბინაო - საიჯარო ამხანაგობების ერთი მთლიანი გამგეობა და სარევიზიო კომისია. კრებამ წინადადება მისცა ყველა ცალკე ამხანაგობების გამგეობებს, ჩააბარონ ყოველი საქმე ახლად არჩეულ გაერთიანებულ გამგეობას.

მუშტი-კრივი სტუდ. საპარიკმახეროში

იშვიათად გაივლის დღე, რომ სტუდენტთა საპარიკმახეროში რომელიც მდებარეობს ბელინსკის ქ. № 2 რაიმე აყალ-მაყალი და აურზაური არ მოხდეს. ამ აყალ-მაყალისა და ორომტრიალის გმირები არიან თვით დალაქები, რომელთაც გარდა იმისა, რომ ყოველთვის ყვირილი და აურ-ზაური აქვთ, [illegible] ლანძღვა-გინება და მუშტი-კრივსაც გამართავენ ხოლმე საპარიკმახეროში სტუდენტების თანდასწრებით. ამის გამო მთელი საათობით დგანან სტუდენტები და უცდიან როდის გაათავებენ ჩხუბს დალაქები და როდის მოისურვებენ მუშტრის გასტუმრებას. ასეთი სურათია აღნიშნულ საპარიკმახეროში თითქმის ყოველდღე.

სტუდენტთა ბიურომ, შეიხედოს ამ საპარიკმახეროში და მკლავამძებს თავიანთი ადგილი მიუჩინოს.

დამსწრე.

პენსიონერი მატუსევიჩი

თერგის შესახვევი, სახ. № 8-ში სცხოვრობს ბონდერი მატუსევიჩი, რომელიც დიდი ხანია სცდილობს გახდეს პენსიონერი. ამას კი ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ მატუსევიჩს ყავდა რამოდენიმე ფური და თვით მისდევდა მებონდრეობას, რაც საკმაო შემოსავალს აძლევდა. ამიტომ მატუსევიჩი იძულებული გახდა ნაწილი ძროხებისა გაეყიდა, ნაწილი კი გადაემალა მანგლისში. ამის შემდეგ მოქ. მატუსევიჩმა სრულიად თავისუფლად ამოჰყო თავი პენსიონერთა სიაში, მაგრამ იგი პენსიამ მაინც ვერ დააკმაყოფილა, და ისევ განაგრძობს მებონდრეობას, რომელიც აძლევს თვეში უკანასკნელ 120—150 მანეთამდე შემოსავალს. მისი სიხარბე იქამდე მიდის, რომ კვირა-უქმედღეებში სახლში მოაქვს სამუშაო და დილიდან-საღამომდე მოსვენებას არ აძლევს მდგმურებს.

7 ნოემბერს, როდესაც მთელი მშრომელი მოსახლეობა დღესასწაულობდა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავს, პენსიონერი მატუსევიჩი მთელი დღე მუშაობდა.

რატომ სათანადო ორგანოები არ აქცევენ ყურადღებას ამ მოვლენას? თუ მოქ. მატუსევიჩს შეუძლიან მუშაობა და თვეში უკანასკნელ 120 მანეთის შოვნა, რატომ აძლევენ მას პენსიას.

საჭიროა დაუყოვნებლივ გამორკვეულ იქნეს ეს გარემოება და ბოლო მოეღოს ასეთ დაუდევრობას.

გადავირჩიეთ გამგეობა

(წერილი ქუთაისიდან)

11 ნოემბერს, შესდგა ქუთაისის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კლუბის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგში იყო: 1) კლუბის გამგეობის საანგარიშო მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, და 3) გამგეობის გადარჩევა.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა კლუბის გამგემ, ამხ. მონიავამ, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას გამგეობის მუშაობა ერთი წლის განმავლობაში. მომხსენებელის სიტყვით საანგარიშო ხნის განმავლობაში კლუბის წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ამჟამად კლუბი აერთიანებს 520 წევრს. ამასთან დაკავშირებით საკლუბო მუშაობა წინანდელთან შედარებით გაცხოველებულია. კლუბთან არსებობს, დრამატიული, მომღერალთა, ფიზკულტურის, რადიო-მიმღები, პროფესიონალური და პოლიტიკური წრეები, რომლებსაც ჰყავთ თავთავიანთი ლექტორები. წრეების მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ კლუბის წევრები. მომღერალთა გუნდში ირიცხება 40 მუშა-ახალგაზრდა, გუნდს შესწავლილი აქვს ხალხური, ევროპიული და აზიური სიმღერები რიცხვით 35. ასეთივე მუშაობა მიმდინარეობს კლუბთან არსებულ სხვა წრეებშიც. ამხ. მონიავას მოხსენების შემდეგ ილაპარაკა სარევიზიო კომისიის წევრმა ამხ. ინწკირველმა. მომხსენებელი შეეხო კლუბის მუშაობის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს.

საზოგადო კრებამ გამგეობის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად. დასასრულ კრებამ აირჩია კლუბის გამგეობის და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა. გამგეობაში არჩეულ იქნა 15 წევრი და ერთი კანდიდატი. სარევიზიო კომისიაში 3 წევრი და ერთი კანდიდატი. კრების შემდეგ კლუბთან არსებულ დრამწრის მიერ დადგმულ იქნა წარმოდგენა, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ივანე ბუხაძე.

საექიმო დახმარება გვიანდება

(წერილი შორაპნიდან)

1926 27 წლის განმავლობაში შორაპნის მაზრის დამზღვევ სალაროს შემოსავალი ნახევარადაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ხშირად ორი-სამი თვის განმავლობაში აგვიანებდა სალარო დახმარების გაცემას ავადმყოფებზე და სხვა სახის პენსიონერებზე. დღეს ამ მხრივ მდგომარეობა უკეთესია. სრ. საქ. სოც. დაზღვევის კომიტეტმა შორაპნის მაზრის დამზღვევ სალაროს დოტაციის სახით მისცა დახმარება, რითაც სალაროს საშუალება მიეცა დროზე დააკმაყოფილოს მოთხოვნილებები, ისე, რომ 1928 წლიდან აღნიშნულ დამზღვევ სალაროს მდგომარეობა ფინანსიურად განმტკიცდება და გაძლიერდება. ასე მაგალითად 1926—27 წლის პირველ ნახევრიდან სალაროს შემოსავალი უდრიდა 102.574 მან. და 88 კაპ. ხოლო მეორე ნახევარში კი 167.193 მან. 22 კაპ. 1928 წლის განმავლობაში ეს თანხა საგრძნობლად გაიზრდება.

დავალიანებულთა რიცხვიც შემცირდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ საბჭოთა დაწესებულებას, რომლების მიმართაც უკვე მიღებულია ზომები. სამწუხაროდ დავალიანების თანხების აკრეფის საქმე ვერა სდგას თავის სიმაღლეზე, ვინაიდან სალაროს ყავს მხოლოდ ერთი კონტროლიორი, რომელსაც მთელს მაზრაში უხდება მუშაობა. საჭიროა სალაროს მიეცეს ერთი აღმასრულებლის შტატი, ვინაიდან [illegible] კონტროლიორი კარგავს საკონტროლო [illegible] დველობის სახეს, როდესაც იგი აღმასრულებელიც არის, ამკრეფიც და აგენტიც.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინად შრომის ინვალიდები ყოველ წელს ღებულობდენ საკურორტო დახმარებას. 1927 წლის განმავლობაში კი მათ არ მიუღიათ საკურორტო დახმარება, რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

საექიმო დახმარების საქმეც ცუდადაა დაყენებული. მაგალითად დაზღვეულის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებისათვის ადგილზე დახმარების აღმოსაჩენად დაზღვეული მიმართავს დამზღვევ სალაროს, რომელიც მიწერილობას გზავნის ჭიათურიდან ქ. ზესტაფონში სათანადო ხელის მოსაწერად. შემდეგ ეს მიწერილობა ბრუნდება ისევ ჭიათურაში. ისე, რომ სანამ მთხოვნელი მიიღებს ამ ქაღალდს, გადის ერთი თვე.

ამასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და მიღებული იქნეს ზომები საექიმო დახმარების გასამარტივებლად.

ქ. სვირელი.

მეგარმონეების შეჯიბრი

კვირას, 27 ნოემბერს, ც. მუშათა კლუბში შესდგა მოხალისე მეგარმონეების შეჯიბრი. შეჯიბრს დაესწრო დაახლოებით 1500-მდე მუშა-მოსამსახური.

შეჯიბრის დაწყებამდე მოკლე სიტყვა მუსიკის მნიშვნელობის შესახებ წარმოსთქვა კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივაძემ, რომელმაც გაუმარტა დამსწრეთ მუსიკის მნიშვნელობა. შემდეგ ილაპარაკა ამხ. ქონხერმა. მან მოკლედ გააცნო ხალხს შეჯიბრის მნიშვნელობა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მიმდინარე შეჯიბრი და საერთოდ ყოველგვარი შეჯიბრებაც აღვივებენ ხალხში მუსიკისადმი სიყვარულს. რუსეთში მოწყობილმა სხვადასხვა შეჯიბრებმა საუცხოვო ნაყოფი გამოიღო.

შეჯიბრი დაიწყო, საღამოს 9 საათზე—მოხალისე წითელ არმიელებმა განსაცვიფრებელი ხელოვნებით დაუკრეს რუსული და უკრაინული ხალხური სიმღერები. ცეცხლის მქრობელ რაზმის თანამშრომელმაც შეასრულა რამოდენიმე ნომერი ქართული ცხოვრებიდან. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა თბილისის საყუდის მუშის ამხ. ნარიმანოვის მიერ დაკრულმა „რობაბი“-მ. ამათ გარდა შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო კიდევ 23 კაცმა.

დასასრულ რეზულტატის გამოსატანათ არჩეულმა ჟიურიმ: კომპ. ბალანჩივაძის, კონსერვატორიის წარმომადგენელის ამხ. ივანოვის შემადგენლობით 20 წუთის შემდეგ პირველი ჯილდო (ოქროს საათი) გადასცა წითელ არმიელს ამხ. ნოვიკოვს, ხოლ მეორე ჯილდო (ვერცხლის პორტსიგარი) გადასცეს საყუდის მუშას ამხ. ნარიმანოვს.

შეჯიბრის დამთავრების შემდეგ მეორე განყოფილებაში გამოდიან პროფესიონალი დამკვრელები გარმონზე, რომლებმაც შეასრულეს რამოდენიმე ნომრები სხვადასხვა ოპერიდან. შემდეგ დადგმულ იქნა ერთ მოქმედებიანი პიესა, რამაც საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე.

სასურველია ასეთი შეჯიბრები მოეწყოს სხვა მუშათა კლუბებშიც.

დამსწრე.

გახურებული შანთით

როგორ უნდა იწერებოდეს კორესპონდენციები

(ამხ. ბ. დ—ს.)

ამხ. ბ. დ—ლი გაკვირვებით გვეკითხება, რატომ არ დაიბეჭდა „გახურებული შანთი“-ს განყოფილებაში ჩემ მიერ გამოგზავნილი კორესპონდენცია, რომელშიც ლაპარაკი იყო ბოროტმოქმედებათა შესახებო. ამხ. ბ. დ—ს გაკვირვება ერთი შეხედვით თითქოს ბუნებრივი და გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მიზნებს, რომელსაც ისახავს ჩვენი გაზეთი „გახურებული შანთი“-ს განყოფილების შემოღებით. ეს მიზნებია — დაუზოგავი მხილება ყოველგვარი სახის ბოროტმოქმედებისა, როგორც ჩვენი სახელმწიფო აპარატის, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში, ახალ ყოფა-ცხოვრების განმტკიცებისათვის ყოველნაირად ხელის შეწყობა და ამ მიზნით ყველა იმ ანტიკომუნისტურ, ანტისაბჭოთა მოქმედების გამოაშკარავება, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და რაიმე საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენენ. ამ მამხილებელი მუშაობის დროს „გახურებული შანთი“ მოხვდება ყველას. განურჩევლად მისი თანამდებობრივ მდგომარეობისა. ასეთია ჩვენი მიზანი. რომ ეს მიზანი წარმატებით იქნას მიღწეული. საჭიროა ამაში ფართე დახმარება გაგვიწიოს მკითხველმა მშრომელმა მასამ. საბჭოთა წყობილების პირობებში, ძნელია რაიმე საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმის გაკეთება, ფართე მასის დახმარების გარეშე. ამ შემთხვევაშიც, როგორც უკვე ვსთქვით, აუცილებელია ეს დახმარება. მაგრამ არა ისე, როგორც ეს ამხ. ბ. დ—ს წარმოუდგენია. მისი წერილი ლაპარაკობს საზოგადოთ, თითქოს ყველა სახის ბოროტმოქმედებაზე, ხოლო იქ არც ერთი კონკრეტიული ფაქტი არაა მოყვანილი იმის შესახებ, თუ ვინ ან სად ჩაიდინა ეს თუ ის ბოროტმოქმედება; ბოროტმოქმედებას რომ დევნა უნდა—ეს ვიცით, მაგრამ ამისათვის საჭიროა როგორც ვსთქვით, ამ ბოროტმოქმედების გარკვეულ ფაქტების გამოთრევა მზის სინათლეზე.

მაგრამ, არც მარტო ის კმარა, კორესპონდენციაში აღინიშნოს ბოროტმოქმედების ფაქტი. საჭიროა, ეს ფაქტი კარგად იყვეს გასინჯული და შემოწმებული, რომ კორესპონდენტმა არც გაზეთი ჩააყენოს უხერხულ მდგომარეობაში და არც თავის თავი, ვინაიდან ბოლოს და ბოლოს ის პასუხს აგებს იმისათვის, რასაც სწერს.

ამნაირად მეტი სიფხიზლე ბოროტების დევნაში, მეტი პასუხისმგებლობა კორესპონდენციების შედგენის დროს და აუცილებლად აღინიშვნა იმისი თუ ვინ, სად და რა ჩაიდინა.

„კოოპერატორები“ წნორის წყალიდან

წნორის წყალზე ა.-კ. რკინის გზის კოოპერატივმა გახსნა თავისი განყოფილება, რომ ადგილობრივ მუშა - მოსამსახურეებისათვის შეღავათიან ფასებში მიეწოდებია საქონელი. განზრახვა კეთილი და სასარგებლოა, მაგრამ რა გასაკვირია, თუ ამ განზრახვას წინ გადაუდგება ფარსადანოვისა და ფეოდოროვის ტიპის კოოპერატორები და სარგებელის ნაცვლად ზარალისა და უკმაყოფილების მეტი არაფერი დაატეხეს თავს წნორის წყალის მომხმარებლებს.

ფარსადანოვი კოოპერატივის განყოფილების გამგე იყო, ფეოდოროვი კი სადუქნო კომისიის მდივანი, ფარსადანოვს დაუნიშნეს ჯამაგირი, დააყენეს დახლთან და უთხრეს — ივაჭრე იაფად, ფხიზლათ მოუარე საქონელს, გახდი ნამდვილი ვაჭარი. ფეოდოროვი კი აირჩიეს სადუქნო კომისიაში და დაავალეს, დაეხმარე ფარსადანოვს მუშაობაში, ხელი-ხელ ჩაკიდებული იმუშავეთ საერთო საქმის სასარგებლოთო.

ფარსადანოვმა კოოპერატივის დახლთან მჭიდრო კავშირი გააბა სამიკიტნოს დახლთან. დახლთან კი, მოგეხსენებათ, ახლოა სალაროც. ამიტომ კოოპერატივის სალაროც მჭიდროთ დაუკავშირდა სამიკიტნოს სალაროს. დიდი გულთმისნობა არაა საჭირო იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რა შედეგი მოჰყვა ამას. ფარსადანოვმა მოკლე ხნის განმავლობაში ჩინებულათ გაიარა თამადობის კურსები, ხოლო რკინის გზის კოოპერატივის სალარომ წნორის წყალში დაჰკარგა 1003 მანეთი.

სადღა იყო სადუქნო კომისიის წევრი ფეოდოროვი? მან პირდაპირ და უცვლელად შეასრულა დავალებანი. უთხრეს — ყოველნაირად ხელი შეუწყე ფარსადანოვსო, ისიც ოფლში იწურებოდა და უკან არ რჩებოდა კოოპერატივის გამგეს, უთხრეს — ხელი-ხელ ჩაკიდებული იმუშავე ფარსადანოვთანო, ისიც ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობდა სამიკიტნოებში კოოპერატივის გამგესთან, შემდეგ ორივენი ერთად ღვინით გალეშილი გამოდიოდენ ბაქანზე და მეტი სიყვარულისაგან ერთმანეთზე გადაკვარახჭინებული იქვე კედლის ძირას იძინებდენ. გვარიდით კი მტრისთვის თვალის დასაფსებათ მოფენილი იყო „ხუთიანები“ და „თუმნიანები“. როცა გამოფხიზლდებოდენ, ფარსადანოვი კოოპერატივის დახლს უბრუნდებოდა, ხოლო ფეოდოროვი დავთრებს. ფარსადანოვი ვაჭრობდა და ფულს ჯიბისაკენ აქრობდა, ხოლო ფეოდოროვი რეზოლიუციას ადებდა დავთრებს: „განვიხილე კოოპერატივის გასავალ-შემოსავალი და გავეცანი საქმის მთელ წარმოებას. ყველაფერი რიგზე და წესზე ვნახე. გამგე ფარსადანოვი ერთგული სამსახურისათვის ჯილდოსა და მადლობის ღირსია“...

ფარსადანოვმა მართლაც მიიღო შესაფერი „ჯილდო“, მაგრამ რას ერჩიან ფეოდოროვს, რომელსაც არავინ ყურადღების ღირსადაც არ ხდის იმ მოღვაწეობისათვის, რომელიც მასსა და ფარსადანოვს მოუძღვის წნორის წყალის კოოპერატივის მიმართ. ჩვენ მივმართავთ თხოვნით სათანადო ორგანოებს, ნუ დასტოვებენ ფეოდოროვს უპატივცემლოდ, მიიწვიონ ისიც ფარსადანოვთან, რომ ორმა გულითად მეგობარმა ძველი დრო გაიხსენონ და გადაკვარახჭინებული იარონ ერთ რკინის მოაჯირიან სარკმელის ქვეშ.

ბოდგელი.

რა ჯდება ზოგჯერ გამონაკლისი

ბევრს ასე წარმოუდგენია, კოლექტიური ხელშეკრულება კავშირისა და ადმინისტრატიულ ორგანოს შორის იმისთვის იწერება, რომ ადმინისტრაცია მოვალეა შეასრულოს ის მოვალეობანი, რომელნიც გათვალისწინებული ხელშეკრულებაში. ეს ასეთაც არის, მაგრამ უგამონაკლისოთ არაფერია ამ ქვეყანაზე. ამიტომ ცხადია, გამონაკლისი აქაც არის და იქნება. აი, მაგალითად ისეთი დაწესებულებები, როგორიცაა: ხორცის ა.-კ. სახელმწიფო სავაჭრო („ზაკმიასტორგი“), ა.-კ. სახელმწიფო დაზღვევა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სხვა.

ამ ორგანოებში თანამშრომელს ერთი საათითაც არ გადააცილებინებენ კანონიერ შვებულებაზე. როგორ შეიძლება, ეს სახელმწიფო ქონების გაფლანგვაა, იტყვიან მომჭირნე ადმინისტრატორები... მართალია, ვუპასუხებთ ჩვენ, დაუშვებელია სახელმწიფო ქონების გაფლანგვა, მაგრამ საკითხავია, ემატება თუ არა სახელმწიფოს სალაროს 821 მანეთი, რომელიც გადაიხადა „ზაკმიასტორგმა“; 700 მანეთი, რომელიც გაიღო სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭომ; 1294 მან. ა.-კ. სახელმწიფო დაზღვევამ? რაში დახარჯეს ამ დაწესებულებებმა საერთო ჯამით 2.815 მანეთი? მხოლოდ იმაში, რომ ისინი, როცა საქმე კოლექტიურ ხელშეკრულებებს ეხება, ზომაზე მეტ ტრფიალებას იჩენენ გამონაკლისისადმი. ითხოვენ და ღებულობენ თანამშრომლებს პროფკავშირებთან შეუთანხმებლად, საქმე სასამართლომდე მიდის, იწყება მიწერ-მოწერა, დავა-დავიდარაბა, გადის თვეები, უკანონოდ მოხსნილი თანამშრომელი ულუკმაპუროდ დადის და ამდენი წვალების შემდეგ ის სასამართლოს დადგენილებით მაინც ბრუნდება თავის ძველ თანამდებობაზე, ხოლო ადმინისტრაცია ასობით და ათასობით იხდის გაცდენილ დღეებისას.

გადაჭარბებულ სიყვარულს იჩენს გამონაკლისებისადმი როცა საქმე კოლექტიურ ხელშეკრულებას ეხება სასტუმრო „ორიანტი“-ს ადმინისტრაციაც. ოთხი თვე ატარა „ორიანტის“ ადმინისტრაციამ უკანონოდ დათხოვნილი თანამშრომელი დოლიძე იმისათვის, რომ ოთხი თვის შემდეგ მისთვის ხელფასი ანაზღაურებინა და ისევ მიეღო სამსახურში.

ვინ იცის რამდენი ათასი მანეთი დაუჯდა სახელმწიფოს ამგვარი გადაჭარბებული მომჭირნეობა და სამეურნეო მუშაკების პროფკავშირებთან შეუთანხმებელი მუშაობა? ამით მუშათა და გლეხთა ინსპექცია უთუოდ დაინტერესდება, მაგრამ სჯობს ინსპექციამდე თვით დაწესებულებათა ადმინისტრატიული მუშაკები დაინტერესდენ, რომ შემდეგ მეტად არ ეწუთხოთ გამონაკლისებით მეტად გატაცება.

თანამშრომელი.

ერთი პასუხის გამო

მკითხველს ემახსოვრება „გახურებული შანთი“-ს განყოფილებაში წერილი სათაურით „მიქსტურა ექიმიკუს ბიუროკრატიკუს“. როგორც საზოგადოთ ყველა მამხილებელი წერილები, ისე ეს წერილიც უპასუხოთ არ დარჩენილა. წერილის ავტორი ბრალს სდებდა ექ. ჭყანთაროვს, იმაში, რომ მან სამი დღე უნაყოფოთ ატარა რაჭიდან ჩამოსული დაავადებული მოხუცი გლეხი მელქო გურგენიძე და ბოლოს მაინც უარი უთხრა საავადმყოფოში მიღებაზე, რომ მან განუცხადა ავათმყოფს, შენი მორჩენა შეუძლებელია და ამიტომ ვერ მიგიღებთ განსაკურნავადო, ამავე დროს კი იგივე ავადმყოფი მიღებულ იქნა სამკურნალოდ ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

როგორ იმართლებს თავს ექ. ჭყანთაროვი? ჯერ ერთი საპასუხო წერილიდან ვტყობილობთ, რომ მას გვარი დაუმახინჯეს, „ჭყანთაროვის““ ნაცვლად უნდა იყვეს „ქალანთაროვი“. თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც ვასწორებთ ამ შეცდომას. მაშ ერთხელ კიდევ, რას ამბობს თავის-თავის გასამართლებლად ექ. ქალანთაროვი და მასთან ერთად საავადმყოფოს მუშაკი სხვ ექიმები?

„თანახმად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის“ განკარგულებით „ქრონიკულად მოურჩენელად“ (!) ავადმყოფების სამკურნალოდ მიღება აკრძალული ყოფილა. ამავე დროს ამ საქმის გამო მოხდენილ კვლევა-ძიებიდან, რომელსაც ხელს აწერს იგივე ექ. ქალანთაროვი, ირკვევა, რომ ავადმყოფ მელქო გურგენიძეს, როცა მას უარი უთხრეს სამკურნალოდ მიღებაზე, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატიდან სპეციალური ორდერიც კი მიიტანა საავადმყოფოში იმის შესახებ, რომ წითელ მეთაურის მამა, გლეხი მელქო გურგენიძე მიღებული ყოფილიყო საავადმყოფოში. ასე რომ, ფორმალური მომენტი ამ შემთხვევაში თავის ძალას ჰკარგავს. და ესეც რომ არ ყოფილიყო, განა შეიძლება საბჭოთა კანონმდებლობის და ამ შემთხვევაში კი შინაურ ადმინისტრატიულ წესების ისე ფორმალურად გაგება, როგორც ამას ჩვენ მიერ აღნიშნული მაგალითი მოწმობს? მოხუცს, ძველი რევოლუციონერ გლეხს, წითელი მეთაურის მამას, ჩამოსულს რის ვაი-ვაგლახით შორეულ რაჭის მაზრიდან იმ იმედით, რომ თბილისში მცოდნე და დახელოვნებულ ექიმებთან ის შველას ჰპოვებს, სამი დღე ატარებენ ქუჩა-ქუჩა, უკანასკნელად მორჩენის ყოველ იმედს უსპობენ და ცივი უარით უკან ისტუმრებენ. ძნელი წარმოსადგენია, რომ დღეს თვით ამის ჩამდენი პირებიც არ გრძნობდენ, რომ ეს ბიუროკრატიზმის ტიპიური განსახიერებაა. სწორედ ასეთი მაგალითები ჰქონდა სახეში ლენინს, როცა ის სწერდა:

«формально правильно, а по существу издевательство».

ეს მით უფრო უნდა ითქვას, რომ იგივე „განუკურნავი“ ავადმყოფი გურგენიძე სამკურნალოდ მიიღო ქალაქის პირველ საავადმყოფომ. ხოლო თუ ფორმალურ მოსაზრებაზე წავა საქმე, აქაც როგორც უკვე ვთქვი, თავის გასამართლებელი არაფერი დარჩენია ექ. ქალანთაროვს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ წერილს, „მიქსტურა, ექიმიკუს, ბიუროკრატიკუს“-ს უნაყოფოთ არ ჩაუვლია. კარგია, რომ ამას წერილობითი პასუხი მოჰყვა, (თუმცა ჩვეთვის სრულად დაუსაბუთებელი), მაგრამ კიდევ უკეთესი იქნება, თუ მომავალში ექ. ქალანთაროვი და მისი კოლეგები საქმით გააბათილებენ ზემოაღნიშნულ წერილში წამოყენებულ ბრალდებებს.

რუხი.

მოგზაურობა ჰანრი ბარბიუსთან ერთად

(ახლო წარსულიდან)

ადამიანების ცხოვრებაში რომ შემთხვევებს არ ჰქონოდათ ადგილი, მეტად მოსაწყენი და უფერული იქნებოდა მათი სიცოცხლე.

სხვების რა მოგახსენოთ და ჩემს თავზე კი ბევრი გამომიცდია შემთხვევები. არ შევუდგები მათ აღნიშვნას. მოგითხრობთ მხოლოდ უახლოეს შემთხვევის შესახებ. ვიჯექი ჩემთავის კაბინეტში—უცებ დარეკა ტელეფონმა.

— მესმის!..

— საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი, ბარბიუსი მოდის საქართველოში. კავკავში მოფრინდება ხვალ. შენ, როგორც მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, უნდა შეეგებო იქ. წამოიყვანო საქართველოში—ჩამიჩურჩულა ყურში ტელეფონის მილმა.

სწორეთ რომ მეტათ სასურველი შემთხვევა იყო.

საჩქაროდ მოვემზადე წასასვლელათ, გავიყოლიე თან რამოდენიმე გამოჩენილი თუ გამოუჩენელი ჩვენი თანამედროვე მწერლები და გავქროლე ავტომობილით კავკავისაკენ.

ბევრი შემთხვევები მახსოვს ამ საუცხოვო გზაზე,—სხვათა შორის ისიც, თუ როგორ გაძარცვეს მენშევიკებს დილიყანდებმა,—გვარდიელებმა, 1918 წელში, როდესაც მენშევიკურ „სამოთხიდან“ ვამჯობინე ბოლშევიკურ „ჯოჯოხეთში“ წასვლა. აგრეთვე ისიც, როგორ გამიმასპინძლდნენ იქიდან დენიკინელებმა.

როგორ ვიმგზავრეთ იქითობას, ამაზე არას ვიტყვი,—უმჯობესია აქითობის მოგზაურობას აღვწერ, რადგან ეს უფრო საინტერესო იყო,—ბარბიუსთან ერთად.

მაეროპლანი, რომლითაც უნდა მოფრენილიყო ჰანრი ბარბიუსი დაეშვა ძირს.

მეტად გამხდარი, უფერული, მაღალი, ბეჭებში მოხრილი კაცი გამოვიდა გონდოლიდან.

ბარბიუსის შეხედულებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ ვიფიქრე: ამას მისალმების თავი აღარა აქვს,—როგორმე იქნებ სასტუმრომდის მივიყვანოთ მშვიდობიანათ და ლოგინში ჩაწვება იმ წუთში, ალბათ მეთქი.

მაგრამ მოვსტყუვდი. მოუხედავათ მისი სუსტი შეხედულობისა, ის უდიდესი ენერგიის და გამძლე კაცი აღმოჩნდა.

სასტუმროში ათიოდე წუთით დასვენებისა და ერთი ჭიქა ჩაის დალევისთანავე ის შეუდგა საქმეს,—ყველაფრის დათვალიერებას და გამოკითხვას.

ალბად მასპინძლებზედაც ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმარმა, როგორც ჩემზე და ამიტომ აღარ მიიპატიჟეს ის მთებში, თავიანთ აულებში, არამედ დაკმაყოფილდენ მხოლოდ მახლობელ სოფლის ჩვენებით.

მხოლოდ გაზეთების თანამშრომლები დარჩენ ურყევი და განუწყვეტლად განაგრძობდენ „ბარბაროსულად“ ბარბიუსის „წამებას“.

ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ამ დღეს ის ვერავითარ შემთხვევაში ველარ შეძლებდა მოგზაურობის გაგრძელებას და, გავისტუმრეთ რა აულში, შეუდექით ჩვენებური მადიანობით სადილის ჭამას. ერთი ქართველის სარდაფში.

სამი საათის შემდეგ, როდესაც გულმოდგინეთ შევედით ჩვენ საქმეში, მოგვივიდა ცნობა, რომ ბარბიუსი უკვე დაბრუნდა აულიდან და მოითხოვს საქართველოსაკენ გამგზავრებასო.

მხოლოდ სტუმრის პატივისცემას შეეძლო ავეძულებინეთ მიგვეტოვებინა გაშლილი სუფრა, შუა ჭამის დროს.

უკვე ოთხის ნახევარი იყო, როდესაც გამოვედით კავკავიდან, მაგრამ ქალაქ გარეთ შეგვაჩერეს მასპინძლებმა და კინო-სურათზე გადაგვიღეს მინდორში ხელოვნურად გაკეთებულ გორაზე.

ეს არის ძმათა სასაფლაო თვრამეტი ათასი რევოლიუციონერების, რომლებმაც თავი შესწირეს მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეს ჩრდილოეთ კავკასიაში.

შემოვედით თუ არა ჯერახის ხეობაში, წამოვიდა წვიმა და იძულებული გაგვხადა წამოგვეხურა ავტომობილის ქოლგა.

ამ გარემოებამ ხელი შეუშალა უცხო სტუმარს ეხილა მთლიანად ის ბუმბერაზული სურათები, რომლებსაც წარმოადგენენ მთასუფრა, დარიალი და ყაზბეგი, რომლის მწვერვალებს, ავტომობილის ქოლგის გარდა, გვიფარავდა აგრეთვე ღრუბლების ბურუსიც.

მაგრამ რაც დაფარული იყო ბარბიუსის მხედველობისაგან, მას ფარდა ახადა პაოლო იაშვილმა თავის დამტვრეული ფრანგული ენით. კიდევ მეტი, მისი აღმაფრენა აცილდა თვით ყაიდავარის წვერსაც.

უღელ-ტეხილზე ამოსვლისას უკვე დაბნელდა და აღარ შეეძლო სტუმარს დღის სინათლით დაეთვალიერებია გადმოღმა მხარე.

ფასანაურამდე ღამის სიბნელეში ვიმგზავრეთ.

ყოველივე დარგს ჰყავს თავის გამოჩენილი პიროვნება. მიკიტნებს შორისაც ცნობილი არიან—მცხეთაში ზახარ ზახარიჩი, ფასანაურში—სტეფანე.

სრულებით რომ არ ჰყვეთ სმა-ჭამის მადაზე, მათი დუქნების სიახლოვეს მაინც „იშტაზე“ მოხვალთ და ჯიბეს მოხინჯავთ,—მოგეპოვებათ თუ არა საფულეში შესაფერი თანხა.

როგორც გემრიელად გაგვიმასპინძლდა ვახშმით სტეფანე, ისე ტკბილად მოგვასვენა ძილათ. მხოლოდ სანდრო შანშიაშვილი ფხიზლობდა ფეხზე მთელ ღამეს, რადგან მისთვის აღარ აღმოჩნდა საკმაო ლოგინი,—რომც ყოფილიყო, მას მაინც არ ეძინებოდა,—მუზა მოსვენებას არ აძლევდა.

მშვენიერი მოწმენდილი დილა დაგვიდგა. დავაპირეთ მგზავრობის გაგრძელება თბილისისაკენ, მაგრამ ბარბიუსმა მოგვთხოვა უკან დაბრუნება უღელ-ტეხილის იმ ადგილამდე, სადაც წუხელის შემოგვაღამდა.

— სტალინმა მითხრა, რომ ეს გზა ლამაზია როგორც უღელ-ტეხილის გადმოღმა, ისე გადაღმა და ამიტომ უსათუოდ მთლიანად უნდა ვნახო ისო,—გვითხრა მან.

იძულებული გავხდით შეგვესრულებინა სტუმრის სურვილი, ჩვენც არაფერი გვქონდა საწინააღმდეგო ასეთი გასეირნების.

გზადაგზა გვხვდებოდენ ყირამალა მოტრიალე და მოცეკვავე მთიული ბიჭები; ზოგი ყინვისაგან გაწითლებულ ხელის ტოტებს გვესროდენ ავტომობილში და შემდეგ დიდხანს მოგვდევდენ უკან.

დილით თუმცა ვისაუზმეთ, მაგრამ უღელტეხილიდან ფასანაურში უკან დაბრუნებისას, მაინც ჭამის მადაზე მოვედით, მიუხედავათ იმისა, რომ ორიოდე საათმა დრომ განვლო.

სტეფანესაც დაემზადებია ორაგული და კალმახი.

ფასანაურში შემოგვეგებენ განათლების კომისარი ამხ. დ. კანდელაკი და საგარეო საქმეთა კომისრის რწმუნებულის მოადგილე ამიერ-კავკასიაში ამხ. კვიტაშვილი.

აქვე მოვიდა საქ. კინომრეწველობის ერთი ჯგუფი, რომელიც, სარგებლობდა რა კარგი დარებით, მოგზაურობდა სხვადასხვა კუთხეებში.

მათ მიეცათ იშვიათი შემთხვევა გადაეღოთ კინო-ლენტზე ბარბიუსი ფასანაურის მიდამოებში, დათვებთან ერთად.

არ იფიქროთ. რომ აქ დათვები ადამიანებთან ერთად მშვიდათ დასეირნობდენ ტყეში,—ეს დათვები სტეფანეს ყავს მიბმული ჯაჭვებით ბოძებზე.

ანანურთან მომაგონდა ალ. ყაზბეგი მისი გმირებით, რომელიც მოკლედ გავაცანი ბარბიუსს.

როცა გადმოვკიდეთ თავი დუშეთის [illegible], თვალწარმტაც სილამაზით გადიშალა ჩვენს წინ ბაზალეთის ტბა. ამ დროს თვალი მოვკარით ჩვენკენ მომქროლავ ავტომობილს.

ეს თურმე პროლეტარული მწერლები წამოსულიყვენ ჩვენ შესაგებებლად.

ს. ეული, მაშაშვილი, ლორთქიფანიძე და პაიჭაძე მიესალმენ ბარბიუსს ატკეცილი ხალით, მხიარული ღიმილით და მაგრა ხელის ჩამორთმევით; ფრანგულ ენაზე კი ყველანი უკაკრავად იყვენ სტუმრის წინაშე.

მცხეთის არემარეზე სტუმარმა ყურადღება მიაქცია სამ საგანს: ნატახტარის არტეზიანულ ჭების მუშაობას, თბილისის ახალ წყალსადენისათვის, მცხეთის ძველ საყდრებს და ელსადგურს „ზაჰესს“.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ბარბიუსი შეუდგა თავის მოგზაურობის მიზნების შესრულებას ე. ი. დათვალიერებას და გამოკითხვას ყოველივე იმისა, თაც იყო წინეთ და არის საბჭოთა ხელისუფლების დროს.

პირველი შეხვედრის დროს კავკავში ბარბიუსმა მითხრა, რომ საქართველოს გაცნობას შეუძლია მან მოანდომოს ოთხი-ხუთი დღე,—მეტი დროს დახარჯვის ნებას არ აძლევს მას გარემოებანი, შემდეგ გაემგზავრება სომხეთში და აზერბეიჯანში, საიდანაც დაბრუნდება უკვე მოსკოვში და აქედან თავის სამშობლო საფრანგეთში, რათა ჩქარა მოიყვანოს სისრულეში გადაწყვეტილება—საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ნახულის და გაგონილის შესახებ წიგნის დაწერა და გამოქვეყნება.

მაგრამ დროს ასეთი დანაწილება მას უკვე დაერღვა ფასანაურიდან უღელ-ტეხილზე დაბრუნებით, მით უმეტეს თბილისის დათვალიერებით და სხვადასხვა პირებთან მთელი საათობით ბაასით.

თბილისში დაყოთის მესამე დღეს მთხოვა მომემუშავებია საქართველოს რომელიმე კუთხეში სამოგზაურო მიმართულება კიდევ სამიოდე დღისათვის.

მეც შევიმუშავე სამი მიმართულება: კახეთი, დასავლეთ საქართველო და მესხეთ-ჯავახეთი.

როდესაც მივეცი ასარჩევად ეს მიმართულებები, ამ კუთხეების მოკლე დახასიათებით და ერთმანეთის შორის განსხვავებით, მან აირჩია უკანასკნელი,—მესხეთ-ჯავახეთი.

გავემგზავრეთ ბორჯომის მატარებლით, რომლის სიჩქარით, რა თქმა უნდა, ბარბიუსს ვერ გავაკვირვებდით.

ღამე ბორჯომში, ლიკანის სასახლეში, გავათიეთ.

გავაცანი ამ სასახლის და ბორჯომის ხეობის ისტორია მოკლეთ,—რომ ეს ყველაფერი ეკუთვნოდა მეფე ნიკოლოზის გვარის ერთ ოჯახს, რომელიც ჩვენ, ბოლშევიკებმა, თან გავაყოლეთ ნიკოლოზს „ამალათ“ და მამული კი ნაწილობრივ გადავეცით გლეხკაცობას და ნაწილობრივ საბჭოთა სახელმწიფო, ჯანსაღობის კომისარიატის მეშვეობით, თვით ამუშავებს.

ახალქალაქისაკენ გავემგზავრეთ ავტომობილით, ბაკურიანის უღელ-ტეხილის მიმართულებით, ბორჯომში და გზაზე გამოკითხვის დროს ზოგი მიუთითებდა, რომ ყოვლად შეუძლებელია ამ გზით ავტომობილით ახალქალაქში გადასვლა, ზოგი კი მიმტკიცებდა ამის თამამად შესაძლებლობას.

ჩვენ დაუჯერეთ ამ უკანასკნელებს და არც შევმცდარვართ, რამოდენიმე სიძნელით, მაგრამ მაინც უვნებლად გადავიარეთ უღელტეხილით და მივედით ახალქალაქში, ორ ათეულზე მეტი კილომეტრით შემოკლებული გზით, ახალციხიდან შემოვლის მაგიერ.

თუმცა გზათა სამმართველოზე უკვე მაქვს გამოთქმული ჩემი შეხედულება,—არა სანაქებო ამ სამმართველოს მიმართ,—მაგრამ არ შემიძლია არ გავიმეორო ეს შეხედულება ერთხელ კიდევ.

თუმცა ეტყობა მის მუშაობას ამ ბოლო დროს გამოცოცხლება, მაგრამ მაინც ვერ არის დაახლოვებით იმ დონეზე აყვანილი, რომელზედაც შესაძლებელია ეს მის დღევანდელ მატერიალურ მდგომარეობაში.

რაც იხარჯება იმ ხარჯთ-აღრიცხვის და გეგმების შემუშავებაზე, რომელნიც მზადდებიან ამ დაწესებულების კაბინეტებში, ის რომ მოხმარდეს უშუალოდ გზების ზოგად შეკეთებას.—თუნდა უგეგმოთ და უხარჯთ-აღრიცხვოთ—უბრალო თხრილების ამოყვანის სახით გზის პირათ და აქა-იქ ხრეშის მოყრით ამოღრმავებულ ადგილებში, ეს გზები საუცხოვო სამოგზაურო იქნებოდენ ერთხანს კიდევ, მანამდის მაინც, სანამ ჩვენ საშუალება მოგვეცემოდა გაგვეტარებია ცხოვრებაში სისრულით ის გეგმები რომელნიც მუშავდებიან, მაგრამ, სულ ერთია, დღეს შეუსრულებელი რჩებიან ქაღალდებზე.

შევაკეთოთ ის, რის მთლიანად გაკეთება არ ძალგვიძს დღეს და ეს უკვე საგრძნობი ნაბიჯის გადადგმა იქნება მისი სრული გაკეთებისაკენ, თუ ეს ვერ შეითვისეს გზათა სამმართ. მუშაკებმა, მათგან ხეირი არ გამოვა.

დიდი ზეიმით შეხვდა ახალქალაქი უცხო სტუმარს.

საზოგადოთ ახალქალაქს მართებს დღეს ზეიმი. მას ბევრი ჭირ-ვარამი აქვს ნახული ახლო წარსულში და ნუ თუ არ უნდა ზეიმობდეს, როდესაც მის ნანგრევებზე მიმდინარეობს გაცხარებული მუშაობა ახალი აღმშენებლობისათვის?

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მე მომიხდა ახალქალაქის მაზრაში პირველად მოგზაურობა,—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების პირველ დღეებში. მაშინ მე იქ ვნახე აწიოკებული და დამშეული ხალხი, რომელიც მინდორში ეძებდა ბალახს თავის გამოსაკვებად ეხლა კი ახალქალაქის გლეხკაცობას გააქვს გასაყიდათ თავის მეურნეობის ნაყოფი მართალია, კიდევ ბევრი რამ აკლია მას, მაგრამ თუ დაუკვირდებით აღტაცებით გაბრწყინებულ სახეს ადგილობრივ მუშაკებისას, რომელნიც იძლევიან ახსნა-განმარტებას, თუ რა გაკეთებია მათ და რის გაკეთებას აპირებენ ამ მოკლე ხანში—დარწმუნდებით, რომ ყოველი წადილი შეუსრულდება ახალქალაქის მშრომელ ხალხს.

იმავე საღამოს ართვინის გზა-ტკეცილით გავემართეთ ოსმალეთის საზღვარისაკენ. გზაში დაღამდა. კარგა ხანს დავყავით საზღვრის მცველებს შორის, რომლებთანაც გააბა ბაასი ბარბიუსმა, შემდეგ წითელ არმიელები ჩაებენ ცეკვა-თამაშში და და სიმღერებში. ამ დროს დაჰკრეს საფრთხეზე მსწრაფლ შესწყვიტეს თამაში წითელ-არმიელებმა, თოფებს სტაცეს ხელი და წუთს ჩამწკრივდენ ეზოში სამხედრო წესით. აღმოჩნდა, რომ საფრთხე გამოსაცდელათ იყო.

ბარბიუსმა მოისურვა თვით საზღვარის ბოძთან მისვლა, ვინაიდან საღამოს ცხრა საათი იყო, როდესაც წესით საზღვართან არავითარ მიმოსვლას არ უნდა ჰქონდეს ადგილი ორივე მხრივ, ამიტომ დამქრალი ფარნებით მიდიოდა ჩვენი მანქანა წყნარად თავქვე დაშვებული გზით. ბოძთან დაგვხვდა ჩვენი წითელ არმიელი, რომელმაც მიგვიღო ნიშნის მიცემის შემდეგ, ოსმალეთის მხრიდან კი არავინ არ სჩანდა ძალიან სურდა ბარბიუსს ენახა ოსმალელი ასკერი, მაგრამ სურვილის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო, რადგან სიცივის გამო არ შეიძლებოდა ვინმეს გამოძახება.

გვიან საღამოს დავბრუნდით ისევ ახალქალაქში, სადაც გავათიეთ ღამე და მეორე დღეს ქალაქის დაწესებულებების და ადგილობრივ მუშაკებთან ბაასის შემდეგ, გავემგზავრეთ ვარძიის ნანგრევების დასათვალიერებლად. გზაში შევუხვიეთ ზოგ სოფლებში, რათა ვენახა გლეხკაცობის ოჯახის მოწყობილობა. აქ სანაქებოს ვერაფერს ვაჩვენებდით, რა თქმა უნდა ევროპიელ სტუმარს.

ვარძიის მონასტერი,—ეს მონასტერი კი არა მთელი ციხე-სიმაგრეა. ეს ნაშთია ძველი ძლიერი, მონური და ბატონყმური სახელმწიფოსი. ის საშინლად დანგრეულია საუკუნეთა განმავლობაში მიწის ძვრებისა და სამხედრო ბრძოლებისაგან, მაგრამ ბევრი რამ ისტორიულად საყურადღებო მაინც არის დარჩენილი.

განათლების კომისარიატის სასტორიო-სამუზეუმო განყოფილება თვალყურს ადევნებს რაღაც უმნიშვნელო პატარა ძველ ეკლესიებს და ამავე დროს-კი უყურადღებოთ აქვს მიტოვებული ის ისტორიული ნაშთი, სადაც თავმოყრილია ყოველივე, რასაც შეუძლია ძველი წარსულის დასურათხატება თანამედროვე კაცობრიობის წინაშე.

ამა ვისთვის რა მნიშვნელობა აქვს რაღაც პატარა ეკლესია [illegible] ალგეთის,—თუნდა ქვის საყდარს? ვის რა უნდა დაუმტკიცოს მისმა არსებობამ, გარდა იმისა, რომ მათი გავლენით დღესაც გონების სიბნელეს განიცდიან ზოგი დედაბერ-ბერიკაცები და ზოგჯერ სამწუხაროდ, ახალგაზრდებიც.

ვარძიის გაღმა მდებარე სოფელ გოგაშენიდან ცხენებით გავედით ვარძიაში. მისი დათვალიერების შემდეგ აგრეთვე ცხენებით გავემგზავრეთ. ხერთვისისაკენ, სადაც უნდა გავსულიყავით შარა-გზაზე და სადაც უნდა მოსულიყო ჩვენი ავტომობილი.

ვარძიის მახლობლად, ხერთვისისაკენ მიმართულებით, არის მეორე ისტორიული დიდი ნაშთი—ქალაქ თმოგვის ნანგრევები. ეს ნანგრევები დღესაც ცხადათ უჩვენებს მკვლევარს, რომ ის თავის დროს სივრცით დღევანდელ თბილისზე არა ნაკლები იყო.

მისი ნანგრევების განაპირა უბნებში, მტკვრის პირათ ეხლა ცხოვრობენ ქურთები და თარაქამები. ქართველების სოფლები კი ვარძიისა და ზედა თმოგვის სახელწოდებით, მაღლობზე ადიან გაშენებული.

ხერთვისში მოვედით შეღამების ხანს, აქ არ დაგვიხვდა ჩვენი ავტომობილი, რომელსაც წვიმისაგან გზის გაფუჭების გამო დაგვიანებოდა გოგაშენიდან ახალქალაქში დაბრუნება და შემდეგ ხერთვისში მოსვლა.

დაღამდა. ავტომობილი არ სჩანდა. რომც გამოჩენილიყო, ბარბიუსი არ იყო ყაბული ღამე მოგზაურობაზე, რადგან არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა. წინ დაგვიდგა საკითხი ღამის გასათევ ბინის შოვნის შესახებ. მაგრამ ამ საკითხის გადაჭრა არც ისე ადვილი აღმოჩნდა, მიუხედავათ იმისა, რომ ხერთვისი დიდი და მდიდარი სოფელია, ადგილობრივი მუსულმანები, თურმე, მზის ჩასვლის შემდეგ სტუმრობას ერიდებიან.

უხერხულ მდგომარეობიდან გამოგვიყვანა ახალქალაქის მაზრის სოფელ ბარალეთის მცხოვრებმა ქართველმა, რომელიც აქ კოოპერატივშია ნოქრათ. მან მიგვიწვია თავის ერთათ ერთ ოთახში, რომელშიაც ცხოვრობს ცოლით დაფაცურდა დიასახლისი და მოგვიმზადა ვახშამი. გვეძინა ყველას ამავე ოთახში, ჩამწკრივებულებს ფართო ტახტზე, მეზობლებისაგან ნათხოვარ ქვეშაგებში.

მიუხედავათ იმისა. რომ ყველანი დაქანცული ვიყავით, მაინც მოუსვენრათ გვეძინა. დილით ბოდიში მოვიხადე ბარბიუსის წინაშე, რომ ასეთ პირობებში მომიხდა მისთვის ღამის გათევინება, მაგრამ მან მხიარული სიცილით მითხრა, რომ არა ერთი ღამე გამითევია ამაზე ათასჯერ უარეს პირობებშიო. აქვე გამაცნო თუ რა საშინელი ტანჯვა-წამება გამოუვლია მსოფლიოო ომის დროს, რომელშიაც ის მონაწილეობას ღებულობდა, თურმე, როგორც მოხალისე ფრანგი პატრიოტი და რის შემდეგ ის შეიქმნა მტკიცე რწმენის კომუნისტი.

ახალციხეში მოსვლისას მოსწავლე ახალგაზრდობა შეგვხვდა ცხრაწლედთან თავმოყრილი წითელ დროშებით. მისალმებისა და ბარბიუსი საპასუხო სიტყვის შემდეგ, ჩვენი სტუმარი შეუდგა თავის ჩვეულებრივ საქმეს,—ადგილობრივ წარმომადგენლების გამოკითხვას მდგომარეობის შესახებ. როგორც ახალქალაქში, ისე ახალციხეში ბარბიუსი ძიობდა, თუ როგორ გვაქვს ჩვენ ამ მაზრებში გადაჭრილი ეროვნული საკითხი. გავაცანი რა იმ წესს, რომელიც არის ხელისუფლების მიერ მიღებული ეროვნულ უმცირესობით დასახლებულ მაზრებში, ფრიად მოიწონა ის.

ცოტა შესვენების შემდეგ წავედით აბასთუმანში. აქ აგრეთვე დავათვალიერეთ „არაზინდო“, პროფკავშირების სანატორიის დიდი შენობა, სხვა წვრილი სანატორიუმებიც და ვეჩქარობდი დაბრუნებას ბორჯომში თბილისში გასამგზავრებლად, რადგან დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ჩემი თანამგზავრი საკმაოდ დაიღალა და თან განსაზღვრული დროც სამი დღეც გავიდა.

მაგრამ როგორც კავკავში, ისე აქ მოვსტყუვდი ჩემს შეხედულებაში ბარბიუსის სუსტი აგებულობის შესახებ.

რუქაზე მან შენიშნა ახალციხიდან ბათომამდე ნაჩვენები შარა-გზა და მოისურვა იმ გზით გადასვლა აჭარისტანში.

გზის მდგომარეობის შესახებ გამოკითხვის დროს იგივე პასუხი მივიღეთ, რაც ბორჯომიდან ახალქალაქისაკენ: ზოგი ამბობდა, რომ ყოვლად შეუძლებელია გადასვლა, ზოგი კი მეტად აადვილებდა საქმეს.

გადავწყვიტეთ წასვლა და გადაუხვიეთ ახალციხე-აბასთუმანს შუა, სოფ. ბენარასთან. თითქმის ათამდე კილომეტრი მანძილი შედარებით კარგა გზა სჩანდა, რამაც წაგვახალისა და მოვინდომეთ იმავე საღამოს ხულომდე გადასვლა, მაგრამ წავედით წინ კიდევ ორიოდე კილომეტრი და თქვენს მტერს, რაც აქ ჩვენ დაგვხვდა.

გზათა სამმართველოს „გონიერი“ მუშაობა აქ ბრმასაც კი შეეჩხირებოდა თვალში. იმ გაჭიანურებული ტეხა-კრეფის დროს, რომელიც ჩვენი მოგზაურობის დროს სწარმოებდა, სამმართველოს დაუწყია გზის კეთება. კარგი საქმეა. მაგრამ „მადლი ქენი, მარილი მოაყარეო“—ამბობს ანდაზა. ამ დალოცვილებს წულისგან გაფუჭებული ძველი მიმართულება მიუტოვებიათ და აუღიათ ახალი მიმართულება, მაგრამ ეს ახალი ჯერ არ გაუკეთებიათ, ძველი ხულ გაუუქმებიათ და ამნაირად აღარც იქით, აღარც აქეთ არ არის გასასვლელი. თან ამ ახალ გზაზე შეცდომაში შეხულები წავედით წინ, საიდანაც უკან დაბრუნება კი აღარ ხერხდებოდა აღმართის და ტალახის გამო. დიდი ვაი-ვაგლახით გავედით ძველ გზამდე. მაგრამ უკვე შემოღამდა და მოგზაურობა შეუძლებელი შეიქნა.

—„ერთი ჭირი მარგებელიაო“—იტყვიან. ეს გარემოებაც ჩვენთვის მარგებელი აღმოჩნდა, თუმცა ვარძიის ნახვის შემდეგ რა სიძველე უნდა გვენახა, რომელსაც გავეკვირვებინეთ, მარა ცოტა რამ საინტერესო, ვარძიასთან შედარებით, აქაც შეგვხვდა.

ადგილი, სადაც გზათა სამმართველოს უაზრო მუშაობის წყალობით შემოგვიღამდა სოფ. ზარზმა აღმოჩნდა. აქ ღამის გასათევად წაგვიყვანეს ზარზმის საყდრის ეზოში მდებარე პატარა ქვის შენობაში. ეს შენობა ერთ დროს წარმოადგენდა, თურმე, სასტუმროს, სადაც ღამეს ათევდენ საყდრის დასათვალიერებლად მოსულნი. ეხლა ამ შენობაში სცხოვრობს მუსლიმანი თურმანიძე, დაახლოვებით ისეთივე პირობებში. როგორც ხერთვისში, გავათიეთ აქ ღამე.

ჩვენი მასპინძელი თურმანიძე, მისი მეზობელი თვალაძე და დევიძე, რომლებმაც ვახშამი და ქვეშაგებელი მოგვიტანეს, უფრო მუნჯური ენით გვებაასებოდენ, ვიდრე ქართულით. რადგან მხოლოდ რამოდენიმე ქართული სიტყვა შერჩენიათ მეხსიერებაში.

დილით, როცა დაათვალიერა ბარბიუსმა საყდარი, მეტად განცვიფრებული დარჩა მისი ძველი მხატვრობით და ხუროთმოძღვრობით, მაგრამ დიდი უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ 1905 წელში ამ საყდრისათვის დედოფალ მარია ფეოდორის ასულის განკარგულებით „რესტავრაცია“ უქნიათ და ისე უხეშათ, რომ ის ნაწილები, რომლებიც ვითომ „აღადგენიათ“, არაფრით განსხვავდებიან 1905 წელში აშენებულ საყდრის გემოვნებისა და ყაიდისაგან.

განვაგრძეთ გზა აჭარისაკენ, მაგრამ ვაი ასეთ მგზავრობას.

მე სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ გზათა სამმართველოს (კიდევ გზათა სამმართველო. მაგრამ, რა გაეწყობა, მოგზაურობის დროს ძალაუნებურათ გზას აქცევს ადამიანი ყურადღებას) ის განკარგულებაში მყოფ შარა-გზების ყოველ ათ კილომეტრზე ეძლევა ერთი გზის თვიური მუშა. ჩვენ კი რამდენიმე ათეული კილომეტრზე არ შეგვიმჩნევია არც ასეთი მუშა და არც მისი ნამუშევარი. ერთ მოდმიე მუშას კი იქვს კილომეტრის მანძილზე დიდი რამ შეუძლია გააკეთოს.

რომ ისინი არამც თუ მუშაობენ, არამედ დასათვალიერებლადაც არ გამოდიან, ამის მოწმად იყო შემდეგი: ერთ ადგილას ჩამოვარდნილი დიდი ქვა შუა გზაზე იდო. ურმები ან გვერდს უხვევდენ, ან ზედ გადადიოდენ. ავტომობილმა ვერც ერთი ეს ვერ შესძლო. იძულებული ვიყავით ბარბიუსთან ერთად გადაგვეგორებია ეს ქვა გზის გადაღმა. ეტყობოდა, რომ არა ერთი და ორი დღე ეგდო ეს ქვა იქ. რამოდენიმედ რომ წავიწიეთ წინ გზა შეკრული დაგვხვდა მოხეთქილი ხის მორისაგან. ერთი საათი დრო დაგვჭირდა, სანამ ამ მორისაგან გავანთავისუფლებდით ჩვენ გზას.

უღელტეხილზე უკვე თოვლი იდო. ახალციხის მხრივ მოღრუბლული ცა და ხანგამოშვებით წვიმა, აჭარის მხრივ კი მოწმენდილი ცა და კაშკაშა მზე, დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა ამ დროს უღელტეხილი.

დავეშვით თავდაღმა აჭარის სოფლებში. აქ უკვე ყველა ლაპარაკობს ქართულათ, გურულ კილოთი.

ჩაუარეთ ხერხის ქარხანას, რომლის შემდეგ ხე-ტყით დატვირთული ურმები გვიღობავდენ გზას. მიუხედავათ იმისა, რომ ბათომამდე აქედან 90 კილომეტრზე მეტი იქნება, მაინც ეზიდებიან ამ სიშორიდან ხე-ტყეს ბათომში. აჭარელი გლეხკაცობა პოულობს შრომის ხელფასს ამ წარმოებაში და ამიტომაც არის, რომ სოფლებში მრავლად მოსჩანს ახალი შენობები. ეტყობა, ხელმომთბარი გლეხკაცობა შესდგომია სახლების შენების საქმეს.

ხულოში შევისვენეთ და დავნაყრდით. ბარბიუსმა შენიშნა, რომ ერთი აჭარელი თავის დუქანში ყავას სვამდა და მოგვთხოვა ოსმალური ყავით გამასპინძლება. მოგვიტანეს მართლაც საუცხოვო შავი ყავა.

ჩაუარეთ აჭარის წყალის ელექტრო-სადგურს, რომელიც მოკლე ხანში იქნება დამთავრებული. აათვალიერ-ჩაათვალიერა რა ბარბიუსმა კლდეში გაყვანილი გვირაბები, შემდეგი შენიშვნა გამოსთქვა: იქ, სადაც ასეთი დაქანებული სიჩქარით მიმდინარეობს რამოდენიმე ათეულ კილომეტრის მანძილზე წყალი, არ იყო საჭირო ასეთი გვირაბების გაკეთება, რაც მეტად ძვირი უნდა ჯდებოდეს, არამედ საკმაო იქნებოდა ცემენტის კედლით ამოშენებული უბრალო არხის გაყვანა, რომ კიდევ მეტი ძალის წყალვარდნილი მიღებულიყოვო.

მე მგონია, რომ მომჭირნეობის ყოველი მსურველი, სრულებით დაეთანხმება ამ აზრს, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი მუშაკები ისეთი ხალხია, რომ მანეთის ადგილას თუ ორი არ დაახარჯიეს საბჭოთა ხელისუფლებას და რაღაც საოცარი რამ არ გამოიგონეს, ისე დღე ნათლად არ ეჩვენებათ.

საღამოს მივაღწიეთ ბათომში. რუქაზე აღნიშნული მანძილი, გზის მიხვეულ-მოხვეულობის გამო, ორი იმდენი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა, ახალციხიდან რომ გამოვდიოდით.

ბათომში ბარბიუსი მთელი ოთხი საათი ესაუბრა აჭარისტანის პასუხისმგებელ მუშაკებს, მემედ გოგიბერიძის მეთაურობით.

დავათვალიერეთ ბათომი და მისი მიდამოები, აგრეთვე ჩაქვის ჩაის მამული და ფაბრიკა. ვინაიდან მატარებელზე დაგვაგვიანდა ჩაქვში ორთქლმავალით ავედით ქობულეთში და მისი ზერელე დათვალიერების შემდეგ გავემგზავრეთ ოზურგეთის მატარებლით გურიაში.

ოზურგეთში მატარებლის მიმოსვლაზე, ბილეთების ფასზე და სხვა უწესოებებზე ერთხელ უკვე დავსწერე, მაგრამ წამკითხველი და გამგონე არავინ აღმოჩნდა.

ეს დალოცვილები თავიანთ უწესოებას ამართლებენ ვითომ მომჭირნეობის თვალსაზრისით, მაგრამ თუ ცოტათი დაუკვირდებიან ყოველივე იმას, რაც ხდება ამ გზაზე, მიხვდებიან, რომ მშრომელი ხალხი და მისი სახელმწიფო მხოლოდ ზარალობს ამითი და არ სარგებლობს.

ვის გაუგონია, რომ სამგზავრო მატარებელი, რომელიც ხალხით არის გაჭედილი, მანევრებს აკეთებდეს სადგურში, მიდი-მოდიოდეს წინ და უკან, ხან ხსნიდეს და ხან უბამდეს სახალხო და საბარგო ვაგონებს და მგზავრებს ხან ჩამოსხდომა და ხან ჩაჯდომა უხდებოდეს მიმავალ მატარებელზე.

ქუთაისის საუბნო კაბინეტიდან ეს არ მოსჩანს, მაგრამ უბნის უფროსი რომ ერთხელ დაიძრებოდეს და ნახავდეს თავის თვალით ყოველივე იმას, რაც ხდება სადგურ ნატანებში ოზურგეთის მატარებლის მოსვლისა და გასვლის დროს, დარწმუნდება ნათქვამის სისწორეში.

ოზურგეთში ღამე ჩავედით. სადგურზე ბევრი ხალხი დაგვხვდა, მარა აქ აღარ შევჩერებულვართ და წავედით ბინაზე. ჩვენი ბინის ეზოში ხალხმა თავი მოიყარა. გამოიტანეს სანათი აივანზე და აქედან მიესალმა ბარბიუსი თავმოყრილ ხალხს.

ჩვეულებრივი ხაჭაპურით და რძიანი ჩაით დანაყრების შემდეგ სუფთად მოგვასვენა მასპინძელმა. ტკბილ ძილში ვიყავით, როცა გამოგვაღვიძა საყვირის ღრიალმა, რომელიც აღარ დაწყნარდა ათი-თუთხმეტი წუთის განმავლობაში. ავანთე სანათი და დავხედე საათს,—ნაშუაღამევის ოთხი საათი იყო. როგორც იყო დაწყნარდა საყვირი და ერთხანს მერე ჩაგვეძინა, მაგრამ იმავე საყვირის ეხლა ცოტათ უფრო ხანმოკლე ღრიალმა კიდევ გაგვაღვიძა. უკვე ხუთი საათი იყო. გარეთ კიდევ ბნელოდა.

დამაინტერესა რა ამ გარემოებამ, დილით გამოვიკვლიე მიზეზი აბრეშუმის ფაბრიკის საყვირის ასე უდროოთ ღრიალის შესახებ და აღმოჩნდა შემდეგი:

თურმე ფაბრიკაში მუშაობა იწყება დილის ხუთ საათზე და რათა თავის დროზე იქნენ გაღვიძებული მახლობელ სოფლებში მცხოვრები ფაბრიკაში მომუშავე ქალები, საყვირს აღრიალებენ ღამის ოთხ საათზე.

ფაბრიკის ხელმძღვანელები ამ თავიანთ უაზრო მოქმედებას, ამართლებენ იმით, რომ ორი რიგის მუშაობას აქვს ადგილი ქარხანაში და, თითქოს, სხვანაირად დროს დანაწილება შეუძლებელი იყოს.

ძლივს დავაჯერე ეს ხელმძღვანელები იმაში, რომ უმჯობესი იქნება პირველმა რიგმა მუშაობა დაიწყოს მშვიდათ გამოძინებულმა, დილით, სინათლით და მეორე რიგმა გაათავოს ღამით, მოგვიანებით. პირველი ჯგუფი მუდამ უკეთეს პირობებში იქნება, მეორე კი უარესში, მაგრამ ცვალებადობის წესის შემოღებით შეიძლება წესის დაცვა. ყოველ შემთხვევაში ასეთი წესის შემოღება სჯობია იმას, ვიდრე პირველი ჯგუფი დილის სიბნელეში იტეხდეს კისერს ღობე-ყორეში და ტლაპუნობდეს ტალახში, გამოუძინებელი, და მეორე ჯგუფი კი საღამოს.

ვინ იცის, რამდენ ასეთ უაზრობას აქვს ადგილი ჩვენში და მათი აღმოჩენა გვიხდება მხოლოდ შემთხვევით.

ოზურგეთიდან ჩოხატაურისაკენ გავემგზავრეთ ცხენებით.

შედარებით ახალქალაქ-ახალციხის სოფლებისა, გურიის სოფლებმა სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა, რა თქმა უნდა, ბარბიუსზე.

— ეს აგარაკებს უფრო ჰგავს, ვიდრე სოფლებსო,—ამბობდა ის.

გზადაგზა გურიის სიმშვენიერის თვალიერების გამო ჩოხატაურში ჩამოსვლა დაგვიგვიანდა, სადაც, თურმე აურაცხელი ხალხი ელოდა უცხო სტუმრის მოსვლას—მათი ნაწილი, მოთმინება-დაკარგული, წამოსულიყო ჩვენ შესახვედრათ.

შეღამებისას მივედით ბოგასთან, სადაც შემოგვხვდა ხალხი წითელი დროშით. მოკლე მისალმების შემდეგ ორივე მხრივ, გავემართეთ მახლობელ სოფელში, სადაც უნდა ღამე გაგვეთია.

მეორე დღეს ადრე ვაპირებდით რკინის გზის სადგურ საჯევახოსაკენ გამგზავრებას, თბილისში დასაბრუნებლად, მაგრამ თავი მოიყარეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომლებმაც საუზმის დროს შემოსძახეს გურული სიმღერები.

ბარბიუსს ძლიერ მოეწონა ეს სიმღერები და მთხოვა მათი ნოტები მიმეცა, თბილისში, რომ ჩამოვედით.

დავპირდი, მარა არ შევასრულე, რადგან ვიცოდი, რომ ბევრი მათგანი არ არიან ნოტებზე გადაღებული და ბევრი ისეთნაირად არიან გადაკეთებული, რომ მათში „ფრანგული“ კილოები მეტი ისმის, ვიდრე გურული, ან ქართული, საზოგადოთ.

ერთ კომპოზიტორს უთხარი გადაეღო ნოტებზე გურული ყანური სიმღერა. გადაიღო კიდევაც მოვისმინე მაგრამ ველარ ვიცანი, რა სიმღერა იყო ის.

ამ სოფელში ბარბიუსს საუბარი ჰქონდა ფარულ, ცხად და ყოფილ მენშევიკებთანაც, რომელნიც იძულებული იყვნენ აღიარებიათ ის, რაც არის სინამდვილეში გურიაში და საქართველოში და არ მოეჩმახათ ყოველივე აბდა-უბდა, როგორც ამას სჩადიან საზღვარ-გარეთ გალახვეწილი მენშევიკები.

მით უმეტეს, რომ ბარბიუსის მოტყუილება უკვე ძნელი საქმე იყო, რადგან მან თავის თვალით ნახა საქართველოს ქალაქები და სოფლები, ნახა ყოველივე რიგზე და არა ისე თავდაღმა გადაყირავებული, როგორც ამას ამტკიცებენ საზღვარგარეთ მყოფი ცრულუტები.

ამნაირად, სამი-ოთხი დღის მაგიერ, ჩვენ დავყავით მაზრებში ცხრა დღე და საქართველოში კი დაჰყო ბარბიუსმა, განზრახულ ოთხი ხუთი დღის მაგიერ—თორმეტი დღე.

ამ ხნის განმავლობაში მოაგროვა აურებელი მასალები, რომელთა გამოყენებას აპირებს თავის განზრახული წიგნისათვის.

ო—ია.

როგორ ავაშენეთ სანატორიუმი

(ამხ. გალგატოვი ლიბანის სანატორიუმის შესახებ)

ამხ. ს. გალგატოვი.

საბჭოთა კავშ. სოციალური დამზღვევის მთავარ სამმართველოს სატრანსპ. დამზღვ. სექციის თავმჯდომარე და რკინისგზელთა კავშირის ცენტრ. კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

29 ნოემბერს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა და ლიბანში გაემგზავრა რკინისგზელთა ცაკას პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური დაზღვევა სალაროს წევრი და ცენტრალური სატრანსპორტო სექციის თავმჯდომარე ამხ. ს. მ. გალგატოვი.

ამხ. გალგატოვმა დაათვალიერა ლიბანის სანატორიუმი და მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ განაცხადა შემდეგი:

ლიბანის პლატო, რომელზედაც არის აგებული სანატორიუმი, სპეციალისტების აზრით, თავისი ბუნებრივი სილამაზით და მკურნალობითი თვისებებით არ ჩამოუვარდება მსოფლიოს საუკეთესო კურორტებს.

ამ გულივ ტყე-ღრეებში ძალიან დიდებული სახლის აგება არ იყო ადვილი საქმე ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროსათვის. სანატორიუმის შენების ნების დართვის პირველ დღიდანვე (1924 წ. ივნისი), სანატორიუმის სამშენებლო სამუშაოები ცენტრის განკარგულებით, გადაეცა მოსკოვის სამშენებლო საზოგადოებას—„სტანტარტ“-ს, მაგრამ მან მთელი წლის განმავლობაში ვერ შესძლო ა.-კ. სალაროს მიერ სამუშაოებისათვის გადადებულ 91.000 მანეთის დანიშნულებისამებრ გამოყენება.

ამის შემდეგ ა.-კ. დამზღვევ სალაროს კომიტეტი სამუშაოს სამეურნეო წესით შეუდგა და სამშენებლო გეგმა პირნათლად შეასრულა.

სანატორიუმის ყველა ოთახები მაღალია, ნათელი, მყუდრო, ყოველ ოთახში კუნძული სავსეა მზის სხივებით. მზის სხივები ოთახებში განუწყვეტლივ ანათებენ დილიდან საღამომდე. შუა სართულში მოთავსებულია მხატვრულად მორთული ორკესტრიონიანი სასადილო დარბაზი, რომელიც იტევს 250 კაცს. იმავე სართულში თბილი და ნათელი დერეფნით მთავარ კორპუსს უერთდება ვრცელი და ლამაზი სასადილო დარბაზი, რომელიც იტევს 400 კაცს. მესამე სართული—სოლარიუმი დაფარულია მზის სხივ[illegible] კლიმატოთერაპიისათვის.

სანატორიუმის კერძები და აბაზანები ავადმყოფებს აძლევენ სრული დასვენების საშუალებას.

სანატორიუმი აშენებულია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით და მოწყობილია მედიცინის ყოველ მოთხოვნილების მიხედვით.

სანატორიუმს აქვს საკუთარი ელსადგური, ცენტრალური გათბობა, წყალსადენი, კანალიზაცია, ფურნე, სამრეცხაო, სამოსამსახურო სახლები და სხვა.

სანატორიუმს შენებას ემჩნევა ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროს მტკიცე ხელი.

მე ვისურვებდი, რათა ეს შენობა არ ყოფილიყოს უკანასკნელი, არამედ ჯანმრთელობის ასეთი სამკურნალო შენებლობები მომავალშიაც ისეთივე მტკიცე ხელით, როგორადაც ითვალება სანატორიუმის მთელი სამშენებლო კომიტეტი და კერძოდ მისი თავმჯდომარე ამხ. ნ. დოკა, რომელსაც მიუძღვის დიდი დამსახურება ლიბანის სანატორიუმის სამშენებლო მუშაობაში.

ბრძოლა უმუშევრობასთან

უმუშევრების კვალიფიკაცია და დახმარების ნორმები

უკანასკნელი წლის განმავლობაში მელითონეთა კავშირს აღრიცხული ჰყავდა 707 უმუშევარი. ამ რიცხვიდან შრომის ბირჟის საშუალებით სამუშაოებზე გაიგზავნა 377 კაცი. გარდა ამისა საქმეკერტო კომისიის მიერ, რომელიც აწარმოებდა უმუშევართა ხელახალ კვალიფიკაციას, სხვადასხვა დაწესებულებებში სამუშაოდ გაგზავნილ იქნა მელითონეთა კავშირის 161 წევრი. კავშირის ცენტრ. გამგეობის მიერ მოწყობილ პროფტექნიკურ კურსებზე მიღებულ იქნა 5 კაცი, შოფერების კურსებზე—8, მუშფაკზე—6; უმაღლეს სასწავლებლებში—4.

დახმარება უმუშევრებს ეძლევა პროფესიონალური სტაჟისა და კვალიფიკაციის ხარისხის მიხედვით. კვალიფიკაციით და თანრიგით უმუშევრები იყოფიან ორ ჯგუფად. იმ პირებს, რომელთაც [illegible] პროფესიონალური და ფიზიკური შრომის სტაჟი აქვთ, თვიურად ეძლევათ 16 მანეთი დახმარება. მე-5 და მე-9 თანრიგის პირებს, რომელთაც აქვთ სტაჟი არა ნაკლებ შვიდი წლისა, თვეში ეძლევათ 8 მანეთი, ზემოხსენებული ჯგუფების უმუშევრები, რომელნიც შრომის ბირჟაში არიან დაზღვეულნი, კავშირიდან ღებულობენ განახევრებულ დახმარებას. იმ უმუშევრებს, რომელთაც ჰყავთ სარჩენი არა ნაკლებ ორი სულისა 14 წლის ასაკამდე, ეძლევათ თვეში ორ-ორი მანეთი დახმარება თვითეულ სულზე. გარდა ამისა, ისინი ღებულობენ დახმარებას დამზღვევ სალაროში.

კავშირის ცენტრ. გამგეობას გადაწყვეტილი აქვს 1928 წლისათვის გააგრძელოს მუშაობა უმუშევართა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

სამგზაო მშენებლობა

ადგილობრივ მნიშვნელობის გზები

მიმდინარე სამეურნეო წელს საქართველოს გზატკეცილთა სამმართველოს მორიგ მთავარ სამუშაოს წარმოადგენს ადგილობრივ მნიშვნელობის გზების შენებლობა.

ამ საკითხს სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული და წინასწარი მუშაობა დაწყებულია.

საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს განკარგულებაში არსებულ ცნობებით, ადგილობრივ მნიშვნელობის გზების საერთო მანძილი 4.000 კილომეტრს აღემატება.

ადგილობრივ მნიშვნელობის გზების რაოდენობის და მათი სიგრძის საბოლოოდ გამოსარკვევად და ამასთანავე იმის გამოსარკვევად, თუ სად არის საჭირო გზის გაყვანა და რა მიმართულებით, გზატკეცილების სამმართველომ მიმართა წერილობით საქართველოს ყველა სამაზრო აღმასკომებს, გადმოუგზავნონ საჭირო ცნობები ამ გზების შესახებ და ამასთანავე აცნობონ 1927—28 წელს საჭირო მუშაობის ჩატარების გეგმები. აღმასკომებისადმი ოფიციალური მიმართვების გარდა, გზატკეცილების სამმართველოს მიერ ადგილობრივ მნიშვნელობის გზების საკითხის შესწავლა დაკისრებული აქვს ინჟ. ს. ზ. ანდრონიკაშვილს, რომელსაც დაევალა ყველა მაზრების და ავტონომიურ რესპუბლიკების შემოვლა და იქ არსებულ ადგილობრივ მნიშვნელობის გზების მდგომარეობის გამოკვლევა.

ინჟ. ანდრონიკაშვილი პირველ რიგში შემოივლის დასავლეთ საქართველოს მაზრებს.

საჭირო მასალების შეკრების შემდეგ საქ. გზატკეცილების სამმართველოსთან მოწვეულ იქნება სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეთა და გზატკეცილების სამმართველოს უბნის უფროსების თათბირი, რომელზედაც საკითხს გადაჭრიან უფრო დეტალურად.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენებლობა უმთავრესად მოხდება ადგილობრივ ბიუჯეტით გადადებულ თანხებით. ამასთანავე გამოყენებული იქნება საგზაო ბეგარა და საფუძვლო გადასახადი, რომლის 75 პროცენტი მოხმარდება ამ გზების შენებლობას.

შემნახველი სალაროები

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის შემნახველი სალაროების სამმართველომ ჯამი გაუკეთა იმ ცნობებს, რომლებიც ეხება სალაროების მუშაობას ამიერ-კავკასიაში სექტემბრის და ოქტომბრის განმავლობაში.

პირველი სექტემბრისათვის ამიერ-კავკასიის ყველა სალაროებში დარჩენილი იყო 2.939.931 მანეთი. სექტემბრის განმავლობაში ანაბარების სახით სალაროში შემოვიდა 286.600 მანეთი; სექტემბერში ანაბარების რიცხვი აგვისტოსთან შედარებით ორჯერ გაიზარდა.

პირველ ოქტომბრისათვის სალაროებში დარჩენილი იყო 3.226.596 მანეთი; აღსანიშნავია რომ სექტემბრის განმავლობაში სალაროების რიცხვი ამიერ-კავკასიაში სრულებით არ გადიდებულა (იყო და დარჩა 471).

პირველ სექტემბრისათვის სალაროებში ანაბარები ჰქონდა 31.355 კაცს. სექტემბრის განმავლობაში მათი რიცხვი გაიზარდა 1.097 კაცით.

ოქტომბრის განმავლობაში ანაბარების სახით სალაროებში (გარდა სომხეთის სალაროებისა, საიდანაც ჯერ ცნობები არ არის მიღებული) შემოვიდა 445.500 მანეთი, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე სექტემბერში.

პირველი ნოემბრისათვის ამიერ-კავკასიის სალაროებში (სომხეთის გარდა) დარჩენილი იყო 3.198.566 მანეთი. ანაბარების მეპატრონეთა რიცხვი ოქტომბერში უდრიდა 31.183 კაცს.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

წესდებების დამტკიცება

ვინაიდან ამიერ-კავკასიაში მრავალი ორგანო აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა წესდების რეგისტრაციას, ა.-კ. სახკომსაბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოს წესდების რეგისტრაციის წესის გამარტივების მიზნით ერთი თვის განმავლობაში მიიღონ ზომები, რათა ამ წესდებების რეგისტრაციის საქმე გაერთიანებული იქნეს სამაზრო აღმასკომების საადგილ-მამულო განყოფილებებში.

ა.-კ. ფინსახკომს დაევალა ერთი თვის განმავლობაში გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნეს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკთან, ა.-კ. საგეგმო კომისიასთან და ა.-კ. კოპერატიულ საბჭოსთან.

ა.კ. სას.-სამ. ბანკის ძირითადი კაპიტალის გადიდება

ა.-კ. სახკომსაბჭომ ნება დართო ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს გაადიდოს თავისი ძირითადი კაპიტალი 4 მილიონ მანეთიდან 5 მილიონამდე 10.000 აქციის გამოშვების გზით; თითო აქცია უნდა იყოს 100 მან. ღირებულებისა.

რ ა დ ი ო

რადიოს მოყვარულთა საზ-ბის დაარსება აფხაზეთში

სოხუმში დაარსდა რადიოს მოყვარულთა საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს რადიოს პოპულარიზაციას ქალაქის და სოფლის მოსახლეობის შორის.

საზოგადოების საპატიო პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხ. ნ. ლაკობა, გ. სტურუა, ვ. ნადარია, ე. დამენია, ა. ქოჯა და ა. სუკიანი. შემუშავებულია საზოგადოების წესდება და უახლოეს ორი თვის მუშაობის გეგმა.

პირველ ხანებში საზოგადოებას განზრახული აქვს დაიწყოს კამპანია საზოგადოებაში ახალი წევრების ჩასაბმელად და მოაწყოს სოხუმში სანიმუშო რადიო - მიმღები სადგური; ამის გარდა გადაწყვეტილია რადიო - გამოფენის მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს რადიო-საქმის პოპულარიზაციას, რადიო - კონსულტაციის გახსნა, საკუთარი ლაბორატორიის მოწყობა, საჭირო რადიო - აპარატის შეძენა და სხვა.

საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა გადადებული იქნეს საჭირო თანხა ყველა ამ სამუშაოების შესასრულებლად.

ანაბარების ოპერაციების განსავითარებლად

ა.-კ. ცაკმა უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა წინადადება მისცეს რესპუბლიკების ცაკებს გაატარონ მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ანაბარების ოპერაციების გაძლიერებას საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობებში.

რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებს უნდა გამოსცენ ცირკულიარი, რომლებშიაც აღნიშნული უნდა იქნეს, რომ იმ პირებს, რომლებიც პროცენტებს იღებენ შრომის ანაბარებზე, თუ ეს შემოსავალი არ არის მათი არსებობის ძირითადი წყარო, არ ერთმევათ საარჩევნო უფლება.

ყოველგვარი ცნობები ანაბარების მდგომარეობის შესახებ შეიძლება მიეცეს მხოლოდ თვით ანაბარების მეპატრონეებს, და აგრეთვე სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებს. არც ერთ სხვა სახელმწიფო ორგანოს, მათ შორის საგადასახადო ინსპექციასაც, უფლება არა აქვს მოითხოვოს ასეთი ცნობები.

ანაბარების არსებობას არ შეუძლია რაიმე არახელსაყრელი შედეგები გამოიწვიოს ანაბარების მეპატრონეებისათვის.

რესპუბლიკების ცაკებმა უნდა დაავალონ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოყონ თავისი ბიუჯეტიდან თანხები, რომლებიც სესხად უნდა მიეცეს საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობებს მათი სპეციალურ კაპიტალების გასაძლიერებლად.

ა.-კ. ფინსახკომს დაევალა 1927 — 28 წ. საბიუჯეტო თანხების განაწილების დროს ცალკე გამოჰყოს თანხა, რომელიც სესხად უნდა მიეცეს საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობებს ძირითადი და სპეციალური კაპიტალების გასაძლიერებლად; 1927 — 28 წლიდან დაწყებული უნდა იქნეს საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობების ბალანსების გაჯანსაღება.

საქ. სახკომსაბჭოში

მეტრიული კომისიის რწმუნებულთა დანიშვნა რესპუბლიკებში

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ დაადგინა, წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის სსრ სახ. კომისართა საბჭოს [illegible] დანიშნონ სათანადო რწმუნებულნი, რომელნიც ამავე დროს იქნებიან საქართველოს მეტრიული კომისიის წარმომადგენლები.

მედიკამენტები აჭარისტანის საჭიროებისათვის

სახალხო კომისართა საბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ მიზანშეწონილად სცნო, რათა აჭარისტანის საჭიროებისათვის ბათომით შემოზიდული მედიკამენტები გაიცეს [illegible].

წინადადება მიეცეს სახმედიცვაჭრობას [illegible] ვადაში წარმოადგინოს ჯანმრთელობის სახკომისარიატის საშუალებით [illegible] რებზე ამ დადგენილების პრაქტიკულად განხორციელების წესის შესახებ.

ნავსადგების მოწყობა რიონზე

განმწესრიგებელმა სხდომამ საჭიროდ სცნო რიონის სანაოსნო - სააქციო საზოგადოების ლიკვიდაცია, ხოლო მდ. რიონზე ნავსადგომის მოწყობის საქმე უნდა გადაეცეს დონ-ყუბანის სანაოსნო საზოგადოებას.

დაევალა კომისიას ამხ. მგალობლიშვილის (თავმჯდომარე) სპირიდონოვის, ფაღავას და ლორთქიფანიძის შემადგენლობით შეიმუშაოს სახალხო კომისართა საბჭოსათვის წარსადგენად სათანადო ხელშეკრულება.

დახმარება უვადო შვებულებაში დათხოვნილ წითელარმიელთათვის

განმწესრიგებელმა სხდომამ დაადგინა [illegible] უვადო შვებულებაში დათხოვნილ წითელარმიელთა დახმარების [illegible] გასაძლიერებლად 500 მანეთი თვიურად.

საძოვრები

საქართველოში საქონლის საკვები ბალახეულის ნაკლებობა თანდათან მწვავე ხასიათს იღებს. მრავალ მაზრაში შინაური ცხოველები პირდაპირ შიმშილობენ, რაც გავლენას ახდენს მესაქონლეობის განვითარების საქმეზე. საქონლის საკვების ნაკლებობა განსაკუთრებით შესამჩნევია ზამთრობით, რაც აიხსნება ჩვენში სათიბ მინდვრების ცუდი მეურნეობით.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო სამეურნეო განყოფილებამ გადასწყვიტა შეუდგეს საქართველოში საქონლის საკვები ჯიშიან ბალახების მეურნეობას. ამ მიზნით მიწსახკომმა შეიძინა საუკეთესო ჯიშის ბალახების თესლი ღირებულობით 9000 მანეთის რაოდენობით. თესლი უკვე მიღებულია და ამჟამად ბოტანიკურ ბაღის ლაბორატორიაში სწარმოებს მისი ანალიზი. დანარჩენ ჯიშის ბალახის თესლები მიღებული იქნება ახლო ხანში.

მომავალ წელში შეუდგებიან საქართველოს სახელმწიფო ადგილებში ჯიშიან ბალახეულის შენებას.

ბრძოლა ფილოქსერასთან

ქალაქ სიმფეროპოლში 8 სექტემბერს შემდგარ საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკურ საფილოქსერო თათბირის დადგენილებით მომავალ წელს თბილისში შესდგება ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის [illegible] მეორე საკავშირო აფილოქსერო თათბირი. ამ თათბირის მოწვევასთან დაკავშირებით მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სასოფლო-მეურნეობის განყოფილება 10 დეკემბერს იწვევს სპეციალურ თათბირს. ამ თათბირზე სხვა საკითხებს შორის, განხილული იქნება მომავალ წელში ფილოქსერასთან ბრძოლის გაძლიერების საკითხი საქართველოში.

წიგნის ბაზარზე

ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ წიგნებით მოვაჭრე ორგანიზაციების—„ზაქნიგა“-ს, საქართველოს სახელგამის, გამომცემლობა „შრომა“-ს და რუსეთის სახელგამის საგაზეთო სექტორის წარმომადგენლები. თათბირმა განიხილა საკითხი წიგნების ფასებზე მაქსიმალური შეღავათების დაწესების შესახებ.

თათბირმა წიგნის ბაზარზე არაჯანსაღი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით შესაძლებლად სცნო დაწესებული იქნეს წიგნების ფასებზე შემდეგი საზღვრითი შეღავათები.

1) წიგნების საცალო ვაჭრობაში შეღავათი ინდივიდუალურ მყიდველებისათვის გაუქმებულია; 2) შეღავათები ბითუმად მყიდველებისათვის [illegible] ეძლევათ არა უმეტეს 20 პროც. ყოველ წიგნზე; 3) შეღავათები წიგნებით მოვაჭრე ქსელისათვის: ა) ადგილობრივ გამოცემებზე, გარდა სომხეთის სახელგამის სახელმძღვანელოებისა, სახელმძღვანელოებზე დაწესებული უნდა იქნეს არა უმეტეს 25 პროც., დანარჩენ გამოცემებზე არა უმეტეს 30 პროც., ბ) შემოტანილ წიგნებზე—სახელმძღვანელოებზე არა უმეტეს 20 პროც. და სხვა გამოცემებზე არა უმეტეს 25 პროც.

აქამდი არსებული შეღავათები უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებისათვის გაუქმებულია. წიგნებით მოვაჭრე ორგანიზაციებს ევალებათ შეუთანხმდენ უმაღლეს სასწავლებლების ორგანიზაციებს, რომ უმაღლეს სასწავლებლებთან დაარსდეს კოლექტივები, ანდა კოოპერატივები, რომელთა საშუალებითაც უნდა მიეწოდოს სტუდენტებს წიგნები.

ქრონიკა

გერმანიის და ლატვიის მუშათა დელეგაციის წევრების ჩამოსვლა

გუშინ, 3 დეკემბერს, მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდნენ გერმანიის მუშათა დელეგაციის წევრი, მწერალი და ჟურნალისტი არმან ვეგნერი და ლატვიის მუშათა დელეგაციის წევრი, პოეტი და ჟურნალისტი მიქელ პიინგური. ისინი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულზე მოსკოვში ჩამოსულ [illegible] და ლატვიის მუშათა დელეგაციებთან.

მათი ჩამოსვლის მიზანია საქართველოს მეურნეობისა და კულტურის გაცნობა.

უცხოელი სტუმრები თბილისში დარჩებიან ათ დღეს.

ამერიკელი ექიმი-ქალი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა ქ. პორტსმუტის (ამერიკა) ფსიქიატრიულ საავადმყოფოს გამგე ექიმი სადი სადისი. მისი ჩამოსვლის მიზანი საქართველოს სამკურნალო დაწესებულებების მუშაობის და სახალხო განათლების სისტემის გაცნობა.

სადი სადისი საბჭოთა კავშირში ჩამოჰყვა ამერიკის მუშათა დელეგაციას. დელეგაციის უკან გამგზავრების შემდეგ სადი სადისმა განიზრახა მოგზაურობა საბჭოთა რესპუბლიკებში სახალხო ჯანმრთელობის და განათლების საქმის გასაცნობად.

თბილისში სადი სადისი დარჩება ორი დღე. აქედან იგი მიემგზავრება უკრაინაში, საიდანაც დაბრუნდება მოსკოვში.

პროფ. გუდის წერილი

განათლების სახალხო კომისარმა ამხ. დ. კანდელაკმა მოსკოვიდან მიიღო ინგლისელ პროფ. გუდისგან შემდეგი შინაარსის წერილი: „ძვირფასო ამხანაგო! საქართველოდან გამომგზავრება ისე უეცრად მომიხდა რომ ვეღარ შევძელი პირადად გამომეცხადებინეთ. [illegible] წერილის საშუალებით [illegible] მადლობას გადაგიხადოთ იმ სტუმართმოყვარეობისა და დახმარებისათვის, რომელიც აღმომიჩინეთ [illegible] საქართველოს კულტურის გაცნობის საქმეში. აქვე მინდა გაცნობოთ, რომ განზრახვა მაქვს დავწერო ცალკე წიგნი საქართველოზე. სადაც საშუალება მომეცემა გამოვხატო ჩემი დიდი მადლობა“.

საქ. წითელ ჯვარში

საქ. წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი აწარმოებს 1916 წ. ჩრდილო-ამერიკ. შეერთებულ შტატების ლაშქრის (რომელშიაც ქართველი მეომრები შედიოდნენ) ყოფ. მეომართა და მათი მემკვიდრეთა ძებნას, მათთვის ამერიკის მთავრობის მიერ გადადებულ თანხების გადასაცემად.

ამჟამად საქ. სხვადასხვა მაზრებში აღმოჩენილ იქნა 12 ყოფ. ლეგიონერი და მათი მემკვიდრე. ამის შესახებ უკვე ეცნობა ამერიკის მთავრობას.

ცელების შემოტანა ავსტრიიდან

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, საკავშირო ვაჭრობის კომისარიატმა შესაძლებლად სცნო შემოტანილ იქნეს ავსტრიიდან 10.000 ცელი; ცელების დანარჩენი საჭირო რაოდენობა დამზადებული უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის ქარხნებში.

ცელების გეგმაშეწონილი შემოტანა დავალებული აქვს „ზაკტორგ“-ს.

გოგირდის შემოტანა

სამშაბათს, 6 დეკემბერს, ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატში დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით შესდგება თათბირი იმ სახელმწიფოს ამოსარჩევად, საიდანაც შესაძლებელი იქნება ვენახებისა და ბაღების ნათესებისათვის საჭირო გოგირდი.

სახალხო განათლება

განათლების სახალხო კომისარიატი შეუდგა მომავალ მუშაობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენას. გეგმაში გათვალისწინებული იქნება პირველ ხანებში [illegible] სწავლების [illegible], სპეციალური და პროფტექნიკური სკოლების გაფართოება. გეგმით გათვალისწინებული იქნება ახალი სკოლებისათვის ახალი შენობების აშენების საკითხი და [illegible] რიცხვი. ამასთანავე გეგმაში მუშავდება პოლიტგანათლების და სახელოვნო დარგები.

ტყის მოწყობა

სიღნაღის მაზრაში ტყეების მოსაწყობად მივლინებულმა რაზმმა უკვე დაამთავრა თავის მუშაობა ადგილობრივ და დაბრუნდა თბილისში. [illegible] ტყის მომწყობმა ჯგუფმა გორის და სიღნაღის მაზრებში მოაწყო ტყეები 120.000 ჰექტარის სივრცეზე. ამჟამად სწარმოებს მასალების დამუშავება.

სას.-სამ. ამხანაგობები

ოზურგეთის მაზრაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების მუშაობის გასაცხოველებლად და ახალი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების მოსაწყობად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ გადასდო 70.000 მანეთი.

აგრონომიული თათბირი

5 დეკემბერს, ქუთაისში გაიხსნება აგრონომიული თათბირი. თათბირი განიხილავს აგრონომიულ ორგანიზაციათა ერთიანი მუშაობის საკითხს და გამოიმუშავებს რაიონებში მიწადმოქმედების გეგმიანი მუშაობის ჩასატარებლად. თათბირს დაესწრება ქუთაისის აგრო-ორგანიზაციების და მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენლები.

თბილისის აღმასკომში

◆ ტრამვაი [illegible] კაბელის გამოცვლის გამო, [illegible] მუშაობს ღამის 12 საათ.

◆ ქალაქი ტყეში. სატყეო სექცია ამუშავებს გეგმას ქალაქის თავისუფალ მოედნებზე, ქუჩებზე და ეზოებში ტყის გასაშენებლად.

◆ აგარაკი ფუნიკულიორზე. საკურორტო სექციამ გადასწყვიტა ფუნიკულიორზე გააშენოს აგარაკი.

◆ აბანო. კოჯორში ახლო ხანში შეუდგებიან აბანოს აგებას.

◆ საკავშირო ტუბერკულოზისათვის წინასწარი სამზადისი ჩასატარებლად [illegible] ყრილობა შესდგება თბილისში მომავალ წელს მაისში.

◆ ახალი საავადმყოფო. მახუნეთში (აჭარისტანში) ახალი საავადმყოფოს ასაგებად გადაიდო 10.700 მან.

◆ გადამდებ სნეულებათა ბარაკების შესაკეთებლად. სიღნაღის სამაზრო აღმასკომს გადაეგზავნა 800 მან.

◆ ვენერიული ამბულატორია. ფოთში გაიხსნა ვენერიული ამბულატორია.

◆ საავადმყოფოს გაფართოება. სიღნაღის სა[illegible] გაფართოებულ იქნა 10 ლოგინით.

განათლების კომისარიატში

◆ ქოხ-სამკითხველოების მუშაობის გასაფართოებლად [illegible] მთავარ მმართველობამ გადასდო 40.000 მან.

◆ ფ. მახარაძის სახელობის სკოლა. ლანჩხუთში (ოზურგეთის მაზრა) გაიხსნა ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის 7 წლედი.

სხვადასხვა

◆ თამბაქოს გატანა. რუსეთში გატანილ იქნა 40.000 ფუთი თუთუნი თამბაქო.

◆ ფართლეული. აფხაზეთში წელს შეტანილი იქნება 2 ნახევარ მილიონ მანეთის ფართლეული.

◆ ნავთსადგურების სამმართველომ სოხუმის ნავთსადგურის ნაპირების გასამაგრებლად გადაიდო 11.000 მან.

◆ გზათა სამმართველომ გადაწყვიტა შეაკეთოს ხოხოტაურ-ოზურგეთის გზა-ტკეცილი.

◆ „არაზინდოში“ დღეს და ხვალ გაიგზავნება 54 [illegible].

◆ ქართულ ენათმეცნიერულ საზოგადოების მორიგი საჯარო სხდომა შესდგება სამშაბათს, 6 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე საქართველოს მუზეუმის საოდიტორიო დარბაზში; წესრიგი: 1. პროფ. გ. ახვლედიანის მოხსენება: „ახალი მასალები [illegible] ისტორიისათვის“ და 2. არნ. ჩიქობავას მოხსენება: „დროთა მესამე ჯგუფი ჭანურში“.

ჩაუბარებელი დეპეშები

კუშეხოვიდან—კაპალენტოვს, სიღნაღიდან მუხრანელს, დოლბენკოვიდან—გულადოვს, რუსთავიდან—ნიკოლაძეს, მოსკოვიდან—გველესიანს, მოსკოვიდან—მიჩაინს, ქუთაისიდან—ასათიანს.

შემთხვევები

თავის მოწამვლა

გუშინწინ, საღამოს, სულემის ხსნარით თავი მოიწამლა გიორგი მიხეილის ძე გიორგაძემ (მცხოვრები ყოფ. სუბ-კარაბეცის ქ. № 20).

სასწრაფოდ მიღებულ ზომებით გიორგაძე სიკვდილს გადაარჩინეს.

თავის მოწამვლის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნება.

ოთხფეხი საქონლის მოპარვა

ამ უკანასკნელ ხანებში მანგლისის და პროტის რაიონში ვიღაც ბოროტმოქმედნი სისტემატიურად იპარავდენ ოთხფეხ საქონელს.

სამი დღის წინად გლეხ რეშეტნიკოვს მოპარეს 8 სული ძროხა.

სისხლის სამართლის მილიციამ მოპარული ძროხები აღმოაჩინა საბურთალოზე, მოქ. ოდიშელიძის ბოსელში. ქურდი ვასილ ჰუმელაშვილი დაპატიმრებულია.

◆ კედლის გამონგრევის საშუალებით, გაქურდეს გრიგოლ ცინცაძის ბინა (ვარდისუბნის ქ. № 4); წაიღეს ტანსაცმელები.

◆ მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს მიხეილ ხევსურიანის ბინა (კალოუბნის ქ. № 6); მოიპარეს 400 მანეთის ნივთები.

◆ ბოქლომის გატეხის საშუალებით, 2 დეკემბერს, გაქურდეს ნიკოლოზ გიორგობიანის ბინა (მაჩაბლის ქ. № 1); მოიპარეს ოქროს საათი 100 მანეთად ღირებული.

◆ მაღაზიის გაქურდვა. 2 დეკემბერს, გაქურდეს მოსე როზენფელდის საგალანტერეო სავაჭრო მაღაზია (პლეხანოვის პროსპექტი № 7); მოიპარეს 400 მანეთის საქონელი.

◆ ამავე დღეს გაქურდეს მ. პეტროსიანის ფეხსაცმელების სახელოსნო (სემინარიის ქ. 17); მოიპარეს 100 მანეთის ფეხსაცმელები.

◆ ქურდის შეპყრობა. გუშინ, მილიციამ დააპატიმრა არშაკ ტომასის ძე ჩარგულიევი, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

◆ რეციდივისტების დაპატიმრება. გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტები ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ჩალაძე და გიორგი ბაგრატის ძე კვიხიევი.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

მტვერის კორიანტელი

(ოპერა „ლეილას“ დადგმის გამო)

ორი წელი საკმაო დრო არის იმისათვის, რომ ორიოდე ხეირიანი ოპერა დაწერილიყო ლარიბი ქართული რეპერტუარის გასამდიდრებლად.

მით უმეტეს შესაძლებელი იყო ეს, რომ ჩვენ ხელისუფლება არ ერიდება ხარჯებს ეროვნულ თეატრის ასაღორძინებლად.

მაგრამ ახალის შექმნის მაგიერ გამოძებნეს თაროზე ორ წელს დებული და დამტვერიანებული,—თუმცა არა ძველი თავისი გაჩენით, მაგრამ ძველის ძველი და დამყაყებული თავისი შინაარსით,—ორასი წლის წინანდელი ლეკები და მეფე ერეკლეს და ლეკთა ბელადი ბაყათურის ცხოვრებიდან, გაბერტყეს და თვალებში შემოგვაყარეს ეს ისტორიული მტვერი სახელმწიფო ოპერის სცენიდან ორ დეკემბრის სპექტაკლზე.

არის ხოლმე იშვიათი მაგალითები ლიტერატურაში და მუსიკაში, სადაც მოცემულია მეფე-დედოფლების და მათი კარის-კაცების ცხოვრებიდან მხატვრული განცდები, რომლებსაც აქვთ ესა თუ ის ღირებულება.

ასეთი ნაწარმოებები უმთავრესად შექმნილი არიან განსაზღვრულ წრეების იდეოლოგების მიერ.

მათ წარმოშობას და შემომქმედთ აქვთ გასამართლებელი საბუთები.

მემამულეს და ყმების ბატონ გლინკას შეეძლო მოსულიყო ალტყინებაში და დაეწერა «Жизнь за Царя».

მაგრამ გორელი გლეხის შვილს, ერისთავის ან გუგუნავას გუშინდელ ნაყმევს, ბიქტორ დოლიძეს არავითარი აზრიანი საბუთი არ მოეპოვება თავისი ნაცოდვილარი ოპერა „ლეილას“ თანამედროვე ხანაში წარმოშობის გასამართლებლათ.

არავითარ საკაცობრიო გმირულ, ან ფსიქოლოგიურ მოვლენას არ შეიცავს ახალგაზრდა მეფე ირაკლის, ლეილას, თეიმურაზ და რევაზის ამბავი, ნაძალადევად შეკოწიწებული, რომელსაც შეეძლოს თანამედროვე გლეხის შვილი, ნახევრად შიმშილ-წყურვილში აღზრდილი, [illegible] ასეთ ალტყინებამდე, რომ შექმნას [illegible] მხატვრული, ან მუსიკალური ღირებულება.

„კოტე და ქეთოს“ ავტორმა, ბიქტორ დოლიძემ, თუ დაიმსახურა გულწრფელი ტაში ამ დემოკრატიულ ნაწარმოებისთვის, მაგიერში ეხლა ძახ მიიღო ტაში ამ ანტიდემოკრატიულ ხაპყრობილარისთვის მხოლოთ იმერეთ-ამერეთიდან გამოდევნილ და თბილისის დაწესებულებებში თბილ ადგილებზე ჯერ კიდევ მოკალათებულ. თავად-აზნაურებისა და მათი [illegible] მხრივ.

ეს რაც შეეხება ოპერის სოციალურ სიუჟეტს, ხოლო მუსიკალური მხრით ძლივძლივობით აზრის უსუსურ ნაწარმოებს წარმოადგენს.

დამაფიქრებელი უნდა იყოს ავტორისთვის ის გარემოება, რომ ეს მეფე ერეკლეს დროის მოტრფიალე, საიქიოსკენ მიმავალი ხალხი ტაშს უკრავს არა მის მუსიკალური შემოქმედების ამა თუ იმ ადგილებს, არამედ ხანჯლების კოჭნას და დამბაჩის გასროლას.

„მეფე ერეკლე“—კრუზომ ტაში მიიღო არა სიმღერისა და თამაშისათვის, არამედ იმიტომ, რომ ის გამოსახავდა ერეკლე მეფეს.

იაშვილმა, რომელიც, დიახ რომ მოსაწონი მომღერალია, მეტი ტაში მიიღო არა სიმღერის დროს, არამედ დამბაჩის გასროლაზე მეფის დაცვაში.

მომღერალმა ქალმა კრასნიცკაიამ, როგორც გარეგნობა, ისე ხმაც ხელს უწყობდა მოხდენილათ შეესრულებინა ლეილას როლი, დაიმსახურა ბუტიანობა მეფე ერეკლეს დროის მოტრფიალე აუდიტორიის ნაწილისაგან იმიტომ, რომ ის ლეკის ქალს გამოსახავდა და არა რომელიმე ქართველ კეკელას, ან ფარიჯანს.

დროა ასეთი დამყაყებული შინაარსის ოპერა ისევ შემოვდვათ თაროზე ეთხელ და ხამუდამოთ მტვერით დასაფარავათ.

ავტორს კი ურჩევთ წაიკითხოს კრილოვის იგავი გაპარტახებულ ყვავზე—არის ქართული ნათარგმნი აკაკის მიერ.

ერეკლეს დროის მოტრფიალე ქალბატონებს და ბატონებს კი ეამოთ მსვლელობა მოუნახავს შესაფერ ადგილს; თუ ჯერ მთლიანად არ ჩაბარებიან ისტორიულ არქივს, არც დიდი ხანი დარჩენიათ ამ ქვეყნათ სამგზავროთ.

ს. თ—ია

ვენის ოპერის მსახიობის ნიკოლო იოლოვიჩის კონცერტი

ნიკოლო იოლოვიჩის კონცერტმა დაამტკიცა, თუ როგორ არასერიოზულ მოთხოვნილებებს უყენებენ ვენაში მომღერლებს, ნიკოლო იოლოვიჩი თავის თავს უწოდებს ავსტრიის დედაქალაქის მუსიკალურ მოღვაწეს. არ შეიძლება უარვყოთ ის, რომ ამ მომღერალს აქვს ხმა, მუსიკალობა, მაგრამ არც მისი ხმა და არც მუსიკალობა არ არის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის. ნიკოლო იოლოვიჩის აქვს ლირიული ტენორის ხმა, მაგრამ იგი მღერის თითქმის სრულიად უდინამიკოდ, დაუმუშავებელია ფრაზაც. მომღერალმა ლამაზად, სენტიმენტალური ელფერით შეასრულა ნადირის არია ბიზეს ოპერა „მარგალიტის მაძიებელი“-დან, მაგრამ ლოენგრინის პარტიის ნაწყვეტის შესრულება არ შეეფერება მის ხმას. აქ საჭიროა ლირიკო-დრამატიული [illegible] ერუდიცია. ძალიან [illegible] იოლოვიჩმა [illegible] დან — „თავერ ჩედრ“. [illegible] რიდან კონცერტანტმა კარგად შეასრულა რახმანინოვის რომანსი „ნუ მღერი ლამაზო“, „ქართული მელოდია“. ნიკოლო იოლოვიჩის შემოქმედება მივაკუთვნოთ მხოლოდ ვოკალური კამერული მუსიკის უბრალო შემსრულებლების რიცხვს.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო მომღერალმა ქალმა ევლადოვამ, რომელიც თავის თავს უწოდებს [illegible] მოწაფეს. მისი ხმა (ლირიული სოპრანო) საშუალო ღირსებისაა. მის სიმღერაში სჭარბობს დილეტანტიზმი. ეს სჩანს საოპერო არიებისა და რომანსების შესრულებაში.

ა. ბ.

მომღერალი ქაშაკაშვილი იტალიაში

ვალერიან ქაშაკაშვილმა თავისი ვოკალური კარიერა დაიწყო თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. მისი გამოსვლები თავიდანვე იძლეოდა საფუძველს გვეფიქრა, რომ ახალგაზრდა მომღერალი იძლეოდა იმედებს დიდ დაწინაურებისათვის საოპერო მოღვაწეობაში. მისმა ხმამ თავიდანვე მიიპყრო ყურადღება თავისი დადებითი მხარეებით (ფართო დიაპაზონი, ლამაზი ზედა და შუა რეგისტრები და რამოდენიმედ მკრთალი დაბალ რეგისტრებში). სჩანდა სკოლაც. ქაშაკაშვილი თავის პროფესორ ჯაყელთან ერთად გაემგზავრა იტალიაში, სადაც, როგორც სჩანს, შეუდგა ხმის გაუმჯობესებას და მზადებას უფრო საპასუხისმგებლო საოპერო მოღვაწეობისათვის.

ამჟამად თბილისში მიღებულია ცნობები იტალიის მუსიკალურ კრიტიკის შეფასება, სადაც უკვე ლაპარაკი იმაზე, რომ ვალერიან ქაშაკაშვილი წარმატებით გამოდის საპასუხისმგებლო პარტიებში. თბილისში მიღებული ცნობებით, ქაშაკაშვილი თითქმის საუკეთესო შემსრულებელია ტონიოს პარტიისა ლეონკავალოს ოპერაში „ჯამბაზები“. ახალგაზრდა მომღერალი გამოდიოდა ვენეციის საოპერო თეატრ „მალიბრანში“ და გენუის თეატრ „პოლიტეამა ვერდიში“. ამჟამად ის მიწვეულია საოპერო მოგზაურობაში იტალიაში და მის რეპერტუარში შედის ბარიტონის საპასუხისმგებლო პარტიები ოპერებში „რიგოლეტო“, „ტრავიატა“, „აიდა“, „ტოსკა“; „ანდრე შენიე“, „ჯამბაზები“, „კარმენი“; ა. წ. დეკემბერში ქაშაკაშვილს განზრახული აქვს თბილისში ჩამოსვლა, სადაც გამოვა საოპერო თეატრში.

გ—ხი.

ხელოვნების ქრონიკა

— სიმფონიური კონცერტი. დღეს, ოპერის თეატრში, დღის 1 საათზე გაიმართება ეგონ პეტრის მონაწილეობით სიმფონიური კონცერტი.

— „ლამარა“. დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება გრ. რობაქიძის პიესა „ლამარა“.

— „ჯენტლმენი“. დღეს მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება სუმბათოშვილი-იუჟინის პიესა: „ჯენტლმენი“.

— მირონ პოლიაკინის კონცერტი გაიმართება 7 დეკემბერს კონსერვატორიის დარბაზში.

— ოპერის თეატრში. დღეს წარმოდგენილი იქნება: „მაზეპა“.

— კომკავშირელ მწერალთა წრეში. ორშაბათს, 5 დეკემბერს, სად. 6 საათზე (ხელოვნების სასახლე) კომკავშირელ მწერალთა წრეში ამხ. ხ. ამაღლობელი გააკეთებს მოხსენებას „პროლეტარული მორალი და პროლეტარული მწერლობა“.

— „მარქსიზმი და ხელოვნება“. ამხ. მ. კახიანის სახელობის მუშკლუბში, დღეს დილის 11 საათზე ამხ. პ. ქიქოძე ლიტერატურულ წრის საჯარო კრებაზე გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „მარქსიზმი და ხელოვნება“. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

ბათომის თეატრი

კვირას, 4 დეკემბერს მეორე აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება მიხ. ჯავახიშვილის რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ინცენიროვკა; დადგმა აკაკი ფაღავასი.

მზადდება „ამერიკელი ძიის განახება“; შუკაშვილისა; „პურგა“ შეგლოვის და „სამანიშვილის დედინაცვალი“—დ. კლდიაშვილისა.

მიღებულია ახალი რევოლიუციონური პიესა „გარდატეხა“—ლავრენევის. თარგმნას შეუდგა ა. კლაძე. პიესა წარმოდგენილი იქნება სეზონის მეორე ნახევრის დასაწყისში.

დღეს კინოებში

— აპოლო—„კაცი და ლივრეა“.

— არფასტოში—„პოეტი და მეფე“.

— სოლეიში—„პოეტი და მეფე“.

— დარბაზში—„ბუქ-რაველის თავგადასავალი“.

კინოებში

საქ. სახკინმრეწვის ადგილკომი ორშაბათს, 5 დეკემბერს სხვადასხვა საზოგადოებათა სასარგებლოდ აწყობს ფასიან კინო-სეანსებს. კინო აპოლოში—ნაჩვენები იქნება „ქალი გზა ჯვარედინზე!“, არფასტოში—„მამის მკვლელი“, ხოლეიში—„წარსული და მომავალი“, დარბაზში—„სიკვდილზე ჩქარი“.

მეცნიერება და ტეხნიკა

გორის მაზრაში ნავთისა და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა წარმოშობის შესახებ

მეცნიერება და ტეხნიკა [illegible] საიდან წარმოიშვენ გორის მაზრის ბუნებრივი სიმდიდრენი [illegible]

ნავთის წარმოშობის საკითხში მე მივდევ მხარს უეჭველ იმ მეცნიერებს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ნავთი წარმოიშვა ზღვის მცენარეების, თევზეულობის და პირუტყვების განწყვეტით. ხოლო ერთ საგანში ამათ ვერ ვეთანხმებოდი. ამ მეცნიერების ერთი ჯგუფის აზრით ეს თევზები და ცხოველები გაწყვეტილა იმის გამო, რომ მლაშე ზღვის წყალს გაუვიდა თევზით მდიდარი უფრო თბილი ზღვის შუა ყელი, შეერთებულა ამ ზღვაში და თავისი სიმლაშით გაუწყვეტია ეპაური პირუტყვები და თევზები. ამ აზრის არიან ენგლერი, გეფერი და სხვანი. ანდრუსოვი კი ამტკიცებს, რომ ამნაირი მლაშე წყალში მოვარდნა სრულიადაც საჭირო არ იყო. იგი მიუთითებს ყარაბოლაზის ყურეზე (კასპის ზღვის აღმოსავლეთით) და აღნიშნავდა, რომ აქ მრავალი თევზი მოსდევს ზღვის ტალღებს და როდესაც ყარაბოლაზის ყურეში უცებ შედის, აქ სიმლაშეს ვერ იტანს და იხოცება. ანდრუსოვის აზრით, ეს საკმაოა, რომ წარმოიშვას ნავთი რომელიმე ზღვაში. ეს ორივე აზრი მე არ მაკმაყოფილებს, რადგან არც მაგვარი მლაშე ზღვები გვქონია, არც მათ ყელის გარღვევას ჰქონია ადგილი, თევზები ძალიან მშვენივრად არჩევენ მათთვის გამოსადეგ წყალს და მუდამ ასეთ წყლებისაკენ მიილტვიან. გარდა ამისა გაწყვეტილი თევზები უნდა მოფენილიყვნენ მთელ ზღვაზე, ან ამოტივტივებულიყვნენ ზღვის ზედაპირზე, სადაც მათი სიმსუქნე ნავთად ვერ გადაიქცეოდა, რადგან თევზისა და მცენარეების სიმსუქნის ნავთად გადასაქცევად საჭირო იყო ჰაერზე 25-ჯერ უფრო მძიმე ტვირთი და 320-400 გრ. სიცხე. თითონ ნავთის მადნების მდებარეობაც ზემოხსენებულ აზრს ეწინააღმდეგება, რადგან ჩრდილოეთ კავკასიისა და კასპის ზღვის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით ნავთი არსად არის და არც იქნება.

გარდა ამისა, სრულიად გაურკვეველი რჩება სარისეთის, სახალინის, მექსიკის, ალიასკის, ტრანსილვანიის; რუმინეთის, მოსულის და თვით კასპიის ზღვის ნავთის წარმოშობის საკითხი.

[illegible] იპოვება კასპის ზღვის სამხრეთ-დასავლეთის თბილ ნაპირებთან, სადაც ზღვას ერთვიან უმრავლეს წყლები და წყაროები,—ე. ი. თერგიდან დაწყებული ატრეკის ჩათვლით, [illegible] სპარსეთის და თურქესტანის საზღვარს წარმოადგენს. ცხადად სჩანს, რომ ზღვის პირუტყვები და თევზები [illegible] მიზეზით არ იყო წარმოშობილი და გაწყვეტილი, და საჭირო იყო [illegible] გეოლოგიური [illegible] მე დავრწმუნდი, რომ ნავთი წარმოშობილია ყინულოვან ხანებში, რომ ეს ყინულოვანი პერიოდები არიან დედამიწის ცხოვრების ეპოქების მიზეზები და ამათი გავლენით მოხდნენ ის ცვლილებანი დედამიწის [illegible] და ზღვებში, რომლებიც ახასიათებენ ამ ეპოქებს.

[illegible] აზრით, ყინულოვანი პერიოდის ხანგრძლივობა 25.000 წლ. განისაზღვრება. [illegible] 20.000 წლის განმავლობაში ზღვების ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ [illegible] პოლიუსებისაკენ და უკან აღარ დაბრუნებულა, ჩრდილოეთის მცენარეები შეპყრობილნი ყინულით და დაიმარხან. ზღვას თანდათან მოაკლდებოდა სიმლაშე და შემდეგ კიდევ უფრო გამლაშებულან გაყინვის გამო. სარმატის (ახლა კასპიის) ზღვაც უნდა თანდათან გაყინულიყო ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრიდან, რის გამო ზღვის პირუტყვები და თევზებიც უნდა წარმოიზიდულიყვენ სამხრეთ-დასავლეთის ნაპირისკენ, სადაც ჯერ პატარა კორიდორი იყო მათ საცხოვრებლად. მდინარეების და თბილ წყაროების შესართავებში. აი, სწორედ აქ უნდა შეგროვებულიყო ზღვის ფაუნა და ფლორა ოთხივე მხრიდან ატრეკამდე, მაგრამ აქ მათთვის მოიპოებოდა არც საკმაო ადგილი (სივრცე), არც ჰაერი (ჟანგბადი) და ამის გამო ცხოველები მილიარდობით დაიხოცებოდნენ. ყინულის ხანის ქარებმა თანდათან წააყარეს მათ წმინდა ქვიშა და შეუერთეს აზოტი, რომლისათვისაც საჭირო სიცივე მეფობდა იმ დროს. შემდეგ დაწყებულმა ვულკანურმა მოვლენებმა მიუმატა ყინულს და ყინულის დადნობამ წარმოშვა დახოცილ ცხოველებისათვის სამარხი ანუ საკუთარი თიხა. აი, ამ თიხის კუბოებში დაიმარხენ დახოცილი ცხოველები და როდესაც დადნა ყინულის მთები, შეიქმნა ის ტვირთი და სიცხე, რაიც საჭირო იყო დახოცილ ცხოველთა ქონის ნავთად გადასაქცევად. აი, ამნაირად გაჩნდა ნავთი ყინულის ხანებში, რომ საფუძვლიანად შემემოწმებინა ეს ჩემი აზრი, ყურადღება მივაქციე ორ რაიონს, რომლებიც უეჭველად ზღვის ყურეს წარმოადგენდნენ. პირველია გორის მაზრის ყურე, რომელიც თავდება [illegible] და მეორე არაქსის მინდვრის ყურე, რომელიც [illegible] მთების კალთებამდე [illegible] სპარსეთში. აქ [illegible] იპოვება ნავთი და მისი ნიშნები გორის მაზრაში. ნავთის ნიშნები იპოვება თითქმის [illegible] ბოლოდან დაწყებული, კოდის მინდორამდე. ეს ხაზი, რასაკვირველია, უნდა გაყინულიყო (უძველეს დროში) ზღვის ჩრდილოეთის ნაპირზე გვიან და რადგან აქ თრიალეთის ჯერ მაღალი მთებიდან და მესხეთიდან უნდა ეშვებოდნენ თბილი წყაროები და მდინარეები, ამიტომ ამ მხარეს უნდა წარმოიზიდულიყვენ ზღვის პირუტყვები და თევზები. აი, სწორედ ამის გამორკვევის შემდეგ მივაქციე საჭირო ყურადღება თრიალეთის კალთებს იმ გოგირდის წყაროებს, რომელნიც გაზოვანი არიან და ზოგიერთ [illegible] ნავთი გამოაქვთ.

საქ. სახ. მეურნეობის საბჭოს [illegible] გეოლოგმა გაბუნიამ და მე [illegible] მოვიარეთ და გავსინჯეთ ამ წყაროთ [illegible] 23 წყარო კოდის მინდორზე და წითელ ქალაქში. ეს წყაროები გაზოვანი არიან და [illegible] ამ გაზს ცეცხლი ეკიდება და იწვის. წითელ ქალაქში მცხოვრებ კატო ქულოვის ბაღში ორ არშინის სიღრმეზე იპოვება მშრალი კუპრი. გარდა ამისა, ამ წყაროებს მოაქვთ 20 პროცენტამდე მარილი და რადგან თიხისა მერგელის ფენები [illegible] ჩვენის აზრით აქაც გვაქვს აგრეთვე ქვა-მარილის მადანი. [illegible] ამ ადგილებისა ნავთი და მლაშე წყაროები იპოვება [illegible] კასპის [illegible] „ნავთის ჭალა“. [illegible] ვა (ტრახიტი), რომელშიც იპოვება კვარცის მრავალი ძარღვები და ნუშის მაგვარი აგატი: ამ აგატის ბუდეებში არის თეთრი კვარცის საუცხოვო კრისტალები, ზოგში ამეთისტი, ზოგში ტოპაზიონი. არის უფრო ყვითელი ფერის ქვები, რომელსაც ციტრონს ეძახიან და ესპანური წითელი კვარცი, აგატისაგან ამზადებენ ქიმიურ ლაბორატორიის ჭურჭელს, რადგან [illegible] მას სრულიად არას ავნებს. თეთრი კვარცის თვლებიდან ამზადებენ პარიზულ [illegible] იაფფასიან ალმასებს და ძვირფასი ჭურჭლის ჭურჭელს. ტოპაზის ნაწარმოები ღირს 8-24 მანეთამდე, [illegible] კრისტალები კი უფრო ძვირი იყო. ის მოჰქონდათ ბრაზილიიდან. ციტრონი მოჰქონდათ შოტლანდიიდან, სადაც არის პატარა კუნძული, რომელსაც ციტრონი ქვიან. აი, ამ კუნძულზე იპოვება ციტრონი.

გორის ჯვრის აბანოს გვერდზე, ინდოლიანთ ღელის ბოლში, ამოდის გოგირდის გაზოვანი წყარო, რომლის გაზსაც ცეცხლი ეკიდება. თრიალეთის კალთებზე; სოფ. აფენისში და აფენისიდან ორი ვერსის მანძილზე, კრობაანთში, არის კიდევ ორი გაზოვანი გოგირდის წყარო. იძრახევის ორი გოგირდის წყაროც გამოდის სოფ. ზღუდერის გზაზე, მათ გაზოვნება არ ეტყობათ, აქვთ პატარა დებეტი და 16 გრ. სითბო. ქარელიდან 25 ვერსის მანძილზე ამუსალოს მდინარის ორივე მხრიდან გამოდის ორი გოგირდის გაზოვანი წყარო, რომლების გაზსაც ცეცხლი ეკიდება. გარდა ამისა; თვალით მნახველებმა გადმომცეს, რომ საჩხერეთში, სოფ. ქალიდან რვა ვერსზე, ოსების მეავე წყალთან ამოდის ნავთის წყარო, რომელიც უსარგებლოთ 1919 წელში. საჭიროა ამ წყაროს და ახლო მდებარე ადგილების დათვალიერება და ადგილობრივ გამორკვევა.

ეს ყოველი ამტკიცებს ჩემს მიერ ზემოთგამოთქმულ აზრს, რომ გორის მაზრაში „ტრიასის“ ანუ „იურის ხანიდან (1.200.000 წ. ადრე ჩვენს ერამდე) გვაქვს ნავთის დიდძალი სიმდიდრე, რომელიც ღირსია დიდი ყურადღების. ეს ნავთი, რასაკვირველია, ბაქოზე ცოტა ღრმად იქნება, მაგრამ, რომ მისი მარაგი დიდია, ეს ეჭვს გარეშეა, რადგან აქ უნდა ამოჟლეტილიყვნენ სარმატის ზღვის მცენარეები და ის თევზები, რომელნიც იმ დროის ყინულიან ხანაში გამოქცეულნი ზღვის დამლაშების და გაყინვის. წით. ქალაქის ქვის მარილის გამოკვლევა კი დიდად ადვილია და ცოტა შრომასა და ხარჯს თხოულობს. საჩხერეს? ხევში ვიპოვე წერნაკი (ყვითელი სალებავი), რომელიც დაწვით წითლდება და გლაუბერის მარილი.

კასპის გაყინვის, გორის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმოვაჩინე გაზოვანი წყარო ფრიად იონების წყაროს (კალსბადის წყალის) ხასიათისა, 15.000 ვიდროს დებეტით, რაიც ღირსია დიდი ყურადღების.

ჰიდრო-გეოლოგი ბ. მურადიანი.

დირიჟაბლი „MOAX“-ს

„MOAX“-ს—ეს არის სახელწოდება საბჭოთა დირიჟაბლის, რომლის აშენება დაიწყო მოსკოვის ავიაქიმის საჰაერო შკოლის კურსანტების ჯგუფმა.

დირიჟაბლის მოცულობა იქნება 1.600 მეტრი. მასზე განზრახულია დაიდგას ლენინგრადის ერთ-ერთი ქარხნის ინჟენერ-ქალის ამხ. პალმინის მიერ დამზადებული 45 ძალიანი მოტორი. ამგვარი ტიპის მოტორი გამოფენილი იყო ავიაქიმის უკანასკნელ საკავშირო ყრილობაზე.

„MOAX“-ს მთლიანად იქნება აგებული საბჭოთა მასალებისაგან. მუშაობა შესრულებული იქნება საზოგადოებრივი წესით მოსკოვის ავიაქიმის შკოლის კომკავშირელების მიერ, შკოლის სახელოსნოებში.

დირიჟაბლი არ იქნება ასლი უკვე არსებული დირიჟაბლების, არამედ იქნება ორიგინალური კონსტრუქცია. მისი აგება დასრულდება 1928 წ. ზა-

ახალი შუქურა

მეცნიერებამ დიდ პროგრესს მიაღწია ავიაციის უმთავრეს მტერთან—ნისლთან ბრძოლაში.

ახალ საჰაერო სადგურ ლე-ბრენში (ამერიკა) მოწყობილია შუქურა, რომელმაც მთელი გადატრიალება უნდა მოახდინოს ღამის ავიაციაში. ეს შუქურა იძლევა ისეთი სიძლიერის სინათლეს, რომელსაც მოგვცემდა ერთად ანთებული 1300000 სანთელი. შუქურას სინათლე მოჩანს 200—250 ვერსის მანძილზე და ამ მანძილზე ფანტავს სქელ ნისლს.



შუქურა მოწყობილია კონუსის მსგავსად და განუწყვეტლივ ისვრის გახურებულ წითელ სინათლეს შუქურა მოთავსებულია მბრუნავ პლატფორმაზე, რომლის ბრუნვა კიდევ უფრო აძლიერებს სინათლეს. შუქურა 10.000 საათის განმავლობაში არ საჭიროებს არავითარ მეთვალყურეობას. განზრახულია ასეთი შუქურების დადგმა ამერიკის ყველა ნავთსადგურებში.

სურათზე—მისს გარრიეტ დილლ ამოწმებს ახალი შუქურას მუშაობას ლე-ბრენის ნავთსადგურში.

ჯირკების მოსპობის ახალი საშუალება

ამერიკაში ჯირკების მოსასპობად სარგებლობენ ახალი საშუალებით, რომელიც იმდენათ მარტივი და მოხერხებულია, რომ კაცი გაოცდება; [illegible]—რატომ წინათ არ მოგვივიდა თავში: ჯირკებს წვავენ, მაგრამ არა ისე: როგორც ჩვეულებრივ იციან—ჯირკი ზევიდან ოდნავ გადაიწვება და მერე საჭირო ხდება მისი ამოთხრა. ამერიკაში შემდეგნაირად იქცევიან: ჯირკს გარშემო აყრიან მიწას, შემდეგ ცეცხლს უკიდებენ. ჯირკის ტანი ნელნელა იწვის და ნახშირდება, როგორც ნახშირის გამოწვის დროს. რამდენიმე საათის და ზოგჯერ დღის შემდეგ ჯირკი და მისი ყველაზე მსხვილი ძირები იქცევიან მშვენიერ ნახშირად, რომლის ამოღება მიწიდან ადვილია.

ეს წესი არ მოითხოვს მექანიკური ენერგიის დახარჯვას, როგორც ამას მოითხოვს ჯირკების ამოთხრა და მეტად მარტივი და იაფია. გარდა ამისა, ჯირკებიდან რჩება კარგი ხარისხის ნახშირი.

აზერბეიჯანის სიძველენი

ბაქოში დაბრუნდა აზერბეიჯანის შემსწავლელი საზოგადოების ექსპედიცია, რომელმაც იმოგზაურა [illegible] ყოფილ [illegible] და სრულიად უცნობ აირუმთა მოდგმის შესასწავლად.

აზერბეიჯანის შემსწავლელ საზოგადოების მდივანმა ალეკპეროვმა შემდეგი განაცხადა ექსპედიციის მუშაობის შესახებ:

„ექსპედიციამ, რომელიც პროფ. მეშჩანინოვის მეთაურობით გაემგზავრა აირუმებთან, უკანასკნელნი შეისწავლა არქეოლოგიურად და ეთნოგრაფიულად ორივე შემთხვევაში შეკრებილ იქნა მეტად მდიდარი მასალა.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით დიდი ინტერესს წარმოადგენენ აირუმების საცხოვრებელი ბინები. აირუმები ცხოვრობენ წინა-ისტორიული ხანის ბინებში, რომლებიც „კურგანებს“ (მიწაყრილი) წააგავენ. აირუმების სოფელი—ერთი მთლიან კურგანების მინდორს წარმოადგენს. ბინების ასეთი ფორმა, როგორც ჩანს დარჩა მხოლოდ აირუმებში, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში არავითარი ცნობები არ მოიპოვება ასეთი შენობების შესახებ.

აირუმები ენით არიან თურქები. რომლებიც იმ რაიონში; სადაც ისინი სახლობენ; გადმოსახლდენ სამხრეთ-აზერბეიჯანში მეჩვიდმეტე საუკუნეში. სამხრეთ-აზერბეიჯანში კი ისინი გადმოსახლდენ მეთოთხმეტე საუკუნეში რომის აღმოსავლეთ იმპერიიდან (რუმი—თურქულად ნიშნავს რომს).

არქეოლოგიის დარგში ამავე რაიონში ნაპოვნი იქნა (პირველად აზერბეიჯანში) ე. წ. „ქალდეველთა სიმაგრეები“, რომლებიც აგებული მიუწვდომელ სიმაღლეებზე ქ. განისაკენ (ოსმალეთი) მიმავალ გზების გასწვრივ.

ეს სიმაგრეები, რომლებიც აგებულია მეექვსე—მეშვიდე საუკუნეში „ქრ. დაბადებამდე“; ამტკიცებს, რომ აქ გადიოდა დიდი სავაჭრო გზები, რომლებსაც ქალდეები იცავდენ სხვადასხვა თავდამსხმელებისგან. ხანბულაგის რაიონში ჩატარებულ გამოკვლევის დროს აღმოჩენილი იქნა დიდი სასაფლაო-მინდორი, რომელსაც რამოდენიმე ათეული ვერსი უჭირავს. ზოგიერთ საფლავების გათხრის დროს ნაპოვნი იქნა დიდძალი ბრინჯაოს ნივთები, რაც ამტკიცებს, რომ ეს რაიონი, რომელიც კედაბეგის მეზობლად მდებარეობს, ექსპლოატაციაში იმყოფებოდა 1.000 წლით ადრე „ქრ. დაბადებამდე“. სამარხებში ნაპოვნი ქურჭელი არაჩვეულებრივი ხელოვნებით არის დამზადებული.“

ტრახომის მიკრობი

იაპონელმა მეცნიერმა ნოგუჩიმ, რომელიც მუშაობს როკფელერის ინსტიტუტში (ამერიკა) აღმოაჩინა ტრახომის მიკრობი. ტრახომა ეს არის თვალის ავადმყოფობა, რომელიც ყველაზე უფრო გავრცელებულია კულტურულად ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ხალხებში. მისი განკურნება მოითხოვს სისტემატიურ ექიმობას. ტრახომის უყურადღებოდ მიტოვება ხშირად იწვევს დაბრმავებას. ნოგუჩის აღმოჩენის წყალობით შესაძლებელი ხდება ამ ავადმყოფობასთან სერიოზული ბრძოლის დაწყება.

პროფ. მახტის აღმოჩენა

ჰოპკინსის უნივერსიტეტის (ამერიკაში) პროფესორმა მახტმა აღმოაჩინა მთელი რიგი შესანიშნავი ფაქტები ე. წ. „პოლიარიზაციაქმნილი სინათლის“ გავლენის სფეროდან პოლიარიზაციაქმნილი სინათლე ეწოდება სინათლეს, რომლის სხივები ირყევიან (ვრცელდებიან) მხოლოდ ერთი მიმართულებით იმ დროს, როცა ჩვეულებრივი სინათლის სხივები ყველა მიმართულებით ვრცელდებიან. სინათლის პოლიარიზაცია ხდება ზოგიერთ მინერალებში გავლის დროს, სინათლის სხივის მიმართ განსაზღვრულ კუთხით მდებარე ბრჭყვიალა ზედა პირებიდან განტყორცნის დროს და სხვ.

პროფ. მახტმა აღმოაჩინა, რომ პოლიარიზაციაქმნილ სინათლეს ახასიათებს თესლების ალკოჰოლების და ზოგიერთ დაბალ მიკრო-ორგანიზმების გამრავლების დაჩქარების თვისება. ცხოველები, რომლებსაც შეამხაპუნეს კოკაინისა და დიგიტალისის (გულზე მომქმედი ძლიერი შხამი) სრულიად უვნებელი დოზა, პოლიარიზაციაქმნილი სინათლის სხივების ქვეშ მოქცევის შემდეგ დაიხოცენ.

ყველა ამ ფაქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, თუ გავიხსენებთ; რომ ხშირად ხდება მზის სხივების პოლიარიზაცია თოვლიდან, ღრუბლებიდან და სხვ. განტყორცნის გამო. კიდევ უფრო ძლიერია პოლიარიზაციის პროცესი მთვარის სხივების მიმართ.

მრავალ სპეციალისტ-ექიმთა აზრით, პროფ. მახტის აღმოჩენა ახალ შუქს ფენს იმ მოვლენას, რომ წამლები ყოველთვის ერთნაირად არ მოქმედობენ ადამიანის ორგანიზმზე.

სიკვდილის ხმები

ჩვენს გაზეთში უკვე იყო მოთავსებული ცნობა ამერიკელ პროფ. ვუდის აღმოჩენის შესახებ როგორც ვიცით, პროფ. ვუდმა შესძლო მიეღო ისეთი ხშირი რყევის მქონე ხმები, რომელთა გაგონება ყურით არ შეიძლება. ამ ხმებს ახასიათებს მთელი რიგი შესანიშნავი თვისებები. ამჟამად ამერიკის პრესა იუწყება ახალ ცნობებს ვუდის ცდების შესახებ. ვუდმა ყურისათვის მიუწვდომელი ხმების წყარო—კვარცის ლამპა—ერბოიან ჭურჭელში მოათავსა და შემდეგ [illegible] მოვლენის მოწმე შეიქნა: ერბო იმდენათ გამაგრდა, რომ უძლებდა საკმაოდ მძიმე საგნების დაწოლას. როცა ვუდმა ერბოს ტემპერატურის გამოსარკვევად ჭურჭელში თერმომეტრი ჩადვა, მას ხელები დაიწვა, თუმცა ერბოს ტემპერატურა მეტად დაბალი აღმოჩნდა.

ეს მოვლენა შემდეგნაირად ახსნეს. როცა ვუდმა ერბოში თერმომეტრი ჩადვა, [illegible] უკანასკნელში დაიწყო რყევა 60.000 რყევის სისწრაფით წამში. ვუდის თითები ამ დროს უმოძრაოდ იყო. თერმომეტრსა და თითებს შუა წარმოიშვა ძლიერი ხახუნი, რამაც გამოიწვია თითების დაწვა.

რკინის დამზადების ახალი წესი

შეერთებული შტატების სამთო სამინისტრომ ვაშინგტონის უნივერსიტეტთან ერთად მოახდინა ცდები რკინის მისაღებად მადნიდან, უკანასკნელის გაუდნობლად. ახალი წესი შემდეგში მდგომარეობს: დაფქვილ მადანს ურევენ ნახშირში. ამ ნარევს ათბობენ 900—975 გრადუსამდე სპეციალურ ცილინდრისებურ [illegible] ასეთ პირობებში მადანში დაგროვილი რკინა იქცევა ლითონად. მიღებული მასა შეიცავს 80 პროც. რკინას.

ვერტიკალურად ფრენა

კერტისის კომპანიამ (ამერიკაში) გაზეთებში გამოაქვეყნა ცნობა, რომ მომავალ წელს განზრახული აქვს ააგოს ახალი ტიპის ჰაეროპლანი, რომელიც, როგორც მოდელის გამოცდამ დაამტკიცა, შესძლებს ვერტიკალურად ზევით აფრენას 270 საჟენის სისწრაფით წამში და ასეთივე სისწრაფით დაშვებას. ფიქრობენ, რომ ახალი საფრენი აპარატი გადაჭრის დამხმარე ავიაციის პრობლემას და მას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ექნება ფლოტისათვის, რადგან ზედმეტი შეიქნება ფლოტის მიტანა [illegible] და ჰაეროპლანები დაეშვებიან პირდაპირ ფლოტის საბურავზე.

მზე—მწვანეა

ფრანგმა მეცნიერმა ჩერნინმა გააკეთა განსაცვიფრებელი აღმოჩენა, რომლის თანახმად მზე—მწვანე ფერისაა, მაგრამ ჩვენ გვეჩვენება თეთრად ადამიანის თვალის აგებულობის თავისებურობის გამო. ჩერნინის აზრით, თვალის სინათლის შემგრძნობი გარსი შესდგება სამი ელემენტისაგან, რომელთაგან: ერთი შეიგრძნობს მწვანე ფერს, მეორე—წითელს და მესამე—იისფერს. ამ ელემენტების შეგრძნობის უნარი მით უფრო მაღალია, რამდენადაც დაბალია ძალა სინათლის, რომელიც მათზე ეცემა. ჩერნინის გამოკვლევით, მზის სპექტრი შეიცავს უმეტესად მწვანე სხივებს, რომელთა ინტენსივობა (სიძლიერე) ასუსტებს თვალის მწვანე სინათლის შემგრძნობ ელემენტის შეგრძნობის ძალას. ამიტომ მზის ყველა სხივების შერევა ადამიანის თვალში იწვევს „თეთრი სინათლის“ შეგრძნობას.

ჩერნინი მზეს ათვალიერებდა ტელესკოპით, რომლის ოკულარის დიდი ნაწილი დაფარული იყო სინათლისათვის გაუვალ ეკრანით, რის წყალობითაც ტელესკოპში ეცემოდა ძლიერ შესუსტებული მზის სხივი. ასეთ ტელესკოპში მზე მწვანე ფერის სჩანდა.

დამაძინებელი ტყვიები

ასეთ სახელით შეიძლება მოვნათლოთ ახლად გამოგონილი ტყვიები, რომლებიც დანიშნულია გარეულ ცხოველების დასაჭერად.

ამ ტყვიების თავისებურობას წარმოადგენს პატარა ამპულა, რომელიც შეიცავს დამაძინებელ სითხეს და მასთან შეერთებული შიგნიდან ცარიელი ნემსი. როცა ტყვია ხვდება ცხოველს, სითხე ჩქარა ვრცელდება მის ტანში და ცხოველს იპყრობს ღრმა ძილი. ეს ზედმეტად ხდის მთელ რიგ ხრიკების გამოყენებას ცხოველის დასაჭერად. დაძინებულ ცხოველს კრავენ და ათავსებენ გალიაში. დასაძინებელი ტყვია მაშინაც კი მოქმედობს, თუ მისმა ნემსმა ოდნავ გაფხაჭნა ცხოველის კანი.

სურათზე მარჯვენივ ნაჩვენებია დამაძინებელი ტყვიები, მარცხნივ კი—თოფი, რომლითაც ისვრიან ამ ტყვიებს.



სტელლიტი

ამერიკაში ამჟამად ფართო გავრცელება ჰპოვა ახალმა ლითონმა „სტელლიტმა“ რომელიც თავისი სიმაგრით სჯობნის ყველა ცნობილ ლითონებს და ნადნობთ. „სტელლიტი“ წარმოადგენს სამი ელემენტის—ხრომის, კობალტის და ვოლფრამის შერთებას. მისი სიმაგრე 8—9 ჯერ სჭარბობს საუკეთესო ხარისხის ფოლადის სიმაგრეს. ეს სიმაგრე და აგრეთვე სტელლიტის სიძვირე შეუძლებლად ხდიან ხელსაწყოების დამზადებას მთლიანად სტელლიტიდან. სტელლიტის თხელი ფენებით აკრავენ იმ ხელსაწყოების საჭრელ ნაწილებზე, რომელთაც მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა (ბურღები და სხ.) ასეთი ხელსაწყოების სამსახურის ვადა, სტელლიტის გამოყენების წყალობით, რამოდენიმეჯერ იზრდება. სტელლიტის მეორე ღირსებას, მის სიმაგრესთან ერთად; წარმოადგენს ის: რომ იგი თავის სიმაგრეს ინარჩუნებს 1.000 გრად. სიცხის პირობებში. ამის წყალობით, სტელლიტით წარმატებით სარგებლობენ ლითონების სწრაფად გასაჭრელად. სხვა მასალიდან დამზადებული ხერხი ასეთ შემთხვევებში ჩქარა ხურდება ხახუნისაგან და უვარგისი ხდება.

მაიმუნების ენა

ერთმა ამერიკელმა ფილოლოგმა მიზნად დაისახა გამოერკვია—შეუძლიათ თუ არა „ლაპარაკი“ მაიმუნებს. ის გაემგზავრა სამხრეთ-ამერიკაში და რამოდენიმე წლობით გაატარა უდაბურ ტყეში. მრავალ ცდის შემდეგ მან შესძლო იმდენად „დამეგობრებოდა“ მაიმუნებს, რომ უკანასკნელთ აღარ ეშინოდათ მისა და მეცნიერს საშუალება ჰქონდა ახლო და ბუნებრივ პირობებში გასცნობოდა მაიმუნების ყოფა-ცხოვრებას. ამ დაკვირვებების შედეგათ ამერიკელი მეცნიერი მივიდა შესანიშნავ დასკვნამდი, რომ ზოგიერთი ჯიშის მაიმუნები თავის პრიმიტიულ გრძნობების გამოსახატავად სარგებლობენ განსაზღვრულ ხმებით. მეცნიერმა მაიმუნთა ზოგიერთ ჯიშების „ლექსიკონიც“ კი შეადგინა.

ამერიკულ მეცნიერის შრომის გამოქვეყნებამ დიდი სენსაცია გამოიწვია.

სასამართლო

განაჩენი თომა ჩიქვანაიას და სხ. საქმეზე

გუშინ პირველი უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. სადალაშვილის თავმჯდომარეობით გამოიტანა განაჩენი თომა ჩიქვანაიას, ერონიმე არსენიშვილის და დავით კასრაძის საქმეზე.

დავით კასრაძე ცნობილ იქნა სავსებით უდანაშაულოდ. მას მოეხსნა ყველა ბრალდებები და გამართლებულ იქნა.

თომა ჩიქვანაიას, როგორც აფიორების და კომბინაციების მთავარ ორგანიზატორს, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლით. ამნისტიის ძალით სასჯელი გაუნახევრდა. მას ჩაეთვალა [illegible] წინასწარი დაპატიმრება.

ერონიმე არსენიშვილს, რომელიც დახმარებას უწევდა თომა ჩიქვანაიას კომბინაციებში, მიესაჯა ერთი წლის ციხე. ამნისტიის ძალით არსენიშვილი სასჯელისაგან განთავისუფლდა.

მსჯავრდადებულებმა უნდა დააკმაყოფილონ სამოქალაქო ძიება. უნდა გადაუხადონ ფოსტას 1700 მანეთზე მეტი, დაუბრუნონ „მოსკოშველბრომს"—135 მანეთი, აგრეთვე შეცდომაში შეყვანილ ხელისმომწერთ უნდა დაუბრუნონ ხელისმოწერის საფასური.

ჩვენი დროის „ოტელლო"

ამის შემდეგ ეჭვს გარეშეა, რომ მოქ. კარაპეტ პილზადოვი, არავის ოჯახურ ცხოვრებაში არ ჩაერევა. ათავის არაფერს ურჩევს, თუნდაც თავის უგულითადეს მეგობარს.

ამა წლის სექტემბერში კარაპეტმა კინაღამ წერილი წაიღო საიქიოს მხოლოდ იმიტომ, რომ თავის კარგს ნაცნობს შოფერს სერგო მიკირტუმოვს გამოუტყდა იმაში, რომ იმისი ცოლი ცუდ ყოფა-ქცევას იჩენს ქმრის სახლში არ ყოფნის დროს.

ეს გულუბრყვილობით მოუვიდა კარაპეტ პილზადოვს. ეს ამბავი რომ გაიგო განრისხებულმა სერგომ თავში ხელი იტყა და თავის ცოლთან გაეშურა შურის საძიებლად.

„გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარიო", ცოლი ისე დაუხვდა სერგოს, რომ ბოდიშიც მოახდევინა უდიერი სიტყვებისათვის, რომელიც ეჭვით განრისხებულმა სერგომ დახარჯა ცოლის მიმართ. ერთი სიტყვით, ცოლმა ყოველივე ეჭვი გაუფანტა ქმარს.

საქმე ამით როდი გათავდა. სერგომ ეჭვის მიზანში ამოიღო თავისი მეგობარი კარაპეტ პილზადოვი, რომელმაც (როგორც იაგომ „ოტელლოდან") სულიერი სიმშვიდე დაუკარგა მას და ეჭვი გაუღვივა თავის „დეზდემონასადმი".

— მოვკლავ, თუ არ დამიმტკიცა ჩემი ცოლის უზნეობა,—ჩემის ხელით დავაღრჩობ წუწკ ძაღლის ლეკვივითო,—გაიძახოდა სერგო ოტელლოს მანერით.

სერგომ გადასწყვიტა მართლაც მოეკლა კარაპეტი, მაგრამ არა თავისი, არამედ სხვისი ხელით. ის შეუთანხმდა თავის კარგს ამხანაგს დავით მელიქიშვილს, რომელმაც იკისრა „იაგოს" მოკვლა.

კარაპეტ პირზადოვს ჰქონდა სასადილო იმ სახლის პირდაპირ, სადაც სცხოვრობდა სერგო მიკირტუმოვი.

ამა წლის 11 სექტემბერს მელიქიშვილმა გადასწყვიტა სისრულეში მოეყვანა ამხანაგის დავალება და სწორედ ამ მიზნით ჩავიდა პირზადოვის სასადილოში, იარაღ მომარჯვებული.

მისი უბედურება იმაშია, რომ თვითონ არ იცის ვინ არის მოსაკლავი. სასადილოში ბევრია მომსახურეებიც და შემთხვევითი ხალხიც.

დავით მელიქიშვილმა მოითხოვა ღვინო.

„ღვინო არ არისო", უპასუხეს.

— ჰაშ, მოიტათ ლუდი,—სთქვა მელიქიშვილმა, რომელსაც ცალი ხელი ჯიბეში უდევს და სახე უთამაშებს.

მოუტანეს ლუდი. მელიქიშვილი სვამს ლუდს და ცალი თვალით ათვალიერებს დახლში იდგომ ხალხს. ვერაფრის გზით ვერ დარწმუნდა, ვინ უნდა მოეკლა, რომელი იყო კარაპეტი.

ამ დროს სასადილოში შევიდა თვითონ „ოტელლო", (სერგო კარაპეტოვი).

— ამ დედალ კარაპეტასთან რა გინდა, წავიდეთ, ეუბნება მელიქიშვილს სერგო და თითით უჩვენებს თავის ამხანაგს, ვინ უნდა მოკლას.

ეს ითქვა და კიდეც გავარდა რევოლვერი. კარაპეტს ასცილდა პირველი ტყვია. კარაპეტმა მოუსვა გასაქცევად. მელიქიშვილმა მეორედ გამოუშალა ჩახმახს, მაგრამ რევოლვერი არ გავარდა. კარებს რომ მიუახლოვდა კარაპეტი, რევოლვერი გავარდა და დაჭრილი „იაგო" დაეცა ძირს. კარაპეტ პირზადოვი დაჭრილი აღმოჩნდა მსუბუქად და სიკვდილს გადარჩა შემთხვევით.

სერგო მიკირტუმოვი და დავით მელიქიშვილი დააპატიმრეს. საქმე ამ დღეებში გაირჩევა სამაზრო სასამართლოში.

ზერ.

ხულიგანი ქალი

მარიამ მაროზოვამ თავი მოაბეზრა თავისი ხულიგნური საქციელით, თავისი დებოშებით ქუჩებში მილიციის თანამშრომლებს, მოქალაქეებს და სასამართლო ორგანოებს.

გინება იცოდა მან უწმაწური. მუშტი-კრივზედაც არ ჩამოუვარდებოდა ერთ ვაჟკაცს.

ორჯერ იყო გასამართლებული მორიგ კამერის მიერ.

გუშინ მესამეჯერ გაასამართლა ის მორიგმა კამერამ.

მაროზოვა 7 თვით გაიგზავნა გამასწორებელ სახლში.

ბოროტმოქმედის შესწავლა

ამ დღეებში ჯანსახკომში გაიმართა თათბირი, რომელმაც მიიღო დადგენილება ბოროტმოქმედების შემსწავლელ ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ინსტიტუტი მოეწყობა მეცნიერული მუშაობის საწარმოებლად ამ დარგში.

ბოროტმოქმედებისა და ბოროტმოქმედის პრობლემის გასარკვევად დასავლეთ ევროპასა და რუსეთში არსებობს მთელი რიგი სპეციალური გამომკვლევი დაწესებულებები, კაბინეტები და ინსტიტუტები. მოსკოვში ამას წინად გაიხსნა დიდი საუწყებათაშორისო ინსტიტუტი, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობს. დამსჯელ ორგანოების მუშაობის სწორ ნიადაგზე დაყენება მეტად ძნელდება ასეთი მეცნიერული კვლევის გარეშე. ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთი დაწესებულებების მუშაობას არ შეიძლება ექნეს უშუალოდ პრაქტიკული ხასიათი, — მათი მუშაობით არ შეიძლება ხელმძღვანელობა ბოროტმოქმედის სასჯელის შესამსუბუქებლად ან გასადიდებლად.

ასეთი დაწესებულების საჭიროებას ჩვენში დიდი ხანია გრძნობდნენ. მაგრამ ცდები ამ საქმის მოსაწყობად უშედეგოთ თავდებოდა საშუალებების უქონლობის გამო. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს დაინტერესებულმა უწყებებმა—ჯანსახკომმა, განათლების სახ. კომისარიატმა, იუსტიციის სახ. კომისარიატმა, სისხლის სამართლის მილიციამ და სხვ. გადასწყვიტეს ამ საკითხის მოგვარება და კიდეც გამონახეს საშუალებები.

გადაწყვეტილია სამი სპეციალური კაბინეტის გახსნა ბოროტმოქმედის პიროვნების შესასწავლად, — ცენტრალურ ციხესთან, სისხლის სამართლის მილიციასთან და სამართლის მცირეწლოვან დამრღვევთა კოლონიასთან.

ამჟამად სწარმოებს ამ კაბინეტების მოწყობა საჭირო იარაღებით. ბინები უკვე გამოძებნულია. გარკვეულია თანხების რაოდენობა უმთავრეს ხარჯებისათვის. დაიწყო უკვე გამოკვლევითი მუშაობაც.

ამ მუშაობას აწარმოებენ ორი ფსიქიატრი: ექიმი შენგელაია და ექიმი ქალი ვეშაპელი, რომელთაც გახვლილი აქვთ პრაქტიკული სტაჟი ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტთან.

მათ უკვე მოახდინეს 200-მდე გამოკვლევა მოზრდილებსა და ბავშვებზე; ამ გამოკვლევების მიხედვით შესაძლებელია ზოგადი დასკვნების გამოყვანა. გამოკვლევები სწარმოებდა მეტად დაწვრილებით ანტროპოლოგიური, ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური თვალსაზრისით. გამოკვლევების დროს მთავარი ყურადღება ეთმობოდა სოციალურ მიდგომას, რომ გამორკვეულიყო ბოროტმოქმედების თუ რომელი შემთხვევები წარმოიშვა გარემოსაგან დამოუკიდებლად (ბოროტმოქმედება ატარებს ეგრედ წოდებულ ენდოგენურ ხასიათს, — ფსიქოპატები, გადაგვარებულები და სხვ.) და როგორია ბოროტმოქმედება გამოწვეული ყოფა-ცხოვრებისა და სოციალური პირობებით. კაბინეტების მუშაობა ერთგვარ წვლილს შეიტანს საერთო მეცნიერებაში და გარდა ამისა მას ექნება ადგილობრივი მნიშვნელობაც, — ეს მუშაობა შესაძლებლობას მოგვცემს საღ ნიადაგზე ავაგოთ აღმზრდელობითი ღონისძიებათა სისტემა ბოროტმოქმედთა სხვადასხვა კატეგორიებისათვის.

კაბინეტების მუშაობამ დააინტერესა ინსტიტუტებიც, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ მუშაობაში.

თუ მატერიალურმა პირობებმა შეუწყო ხელი, მაშინ შესაძლებელი იქნება სპეციალური ინსტიტუტის შექმნაც მუშაობის უფრო ფართო პროგრამით. საუწყებათაშორისო ბიურო შესდგება იმ დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან, რომელთაც საძირკველი ჩაუყარეს ამ საქმეს, ეს ბიურო გამოჰყოფს სამეცნიერო სექციას, რომელიც უხელმძღვანელებს ამ კაბინეტების მოღვაწეობას. ხოლო მათი მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა ეკისრება ჯანსახკომის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტს.

ნ.

სამკურნალო დაწესებულებები გურიაში

ამჟამად გურიაში გახსნილია 3 საავადმყოფო,—რომელთაგან ერთი ცენტრალური საავადმყოფო ზუგდიდში ახლახან იქნა საფუძვლიანად შეკეთებული და გადაკეთებული; საავადმყოფო შეიცავს 60 საწოლს და რამდენიმე სამკურნალო კაბინეტს. მეორე საავადმყოფო გაიხსნა ოქტომბრის 10 წლის თავზე ჩოხატაურში, შეიცავს 25 საწოლს. მესამე მოწყობილია ლანჩხუთში და აქვს 10 საწოლი. ყველა ამ საავადმყოფოებთან მოწყობილია ამბულატორიები. ერთი ამბულატორია მოთავსებულია აბრეშუმის სახვევ ფაბრიკასთან და უმთავრესად აკმაყოფილებს ამ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს. გარდა ამისა მუშაობს კბილის სამკურნალო კაბინეტი, ერთი ლაბორატორია, 10 საექიმო პუნქტი და 20 საფერშლო პუნქტი. აქედან სამი საექიმო პუნქტი მოწყობილია და მუშაობს წითელი ჯვრის საზოგადოების ხარჯზე. ამგვარად ერთი ექიმი მოდის 4800 მცხოვრებზე. მაზრაში მოწყობილია სანიტარული სკოლები, რომელნიც ამზადებენ მოსამსახურეთა დაბალი კვალიფიკაციის პერსონალს. დღემდე ასეთი სკოლა დამთავრებული აქვს 100 მდე ახალგაზრდას. გასულ წელთან შედარებით მედპერსონალის ხელფასი გადიდებულია 15—20 პროცენტით.

ბიბლიოგრაფია

დ. თოფურიძე

ფული და ფულის პრობლემა სახელგ. გამოცემა, გვ. 160. ფასი 2 მ.

დ. თოფურიძის შრომის დაწვრილებითი გაცნობა გვარწმუნებს იმაში, რომ დასახული ამოცანები მის მიერ დაძლეული არ არის.

რამოდენიმე სიტყვა იმ წყაროების შესახებ, რომლებითაც სარგებლობს ავტორი. გერმანულ ავტორების თეორიათა განხილვის დროს, ის სარგებლობს რუსულ ენაზე არსებულ უცხოელ თეორეტიკოსთა მოძღვრების გადმოცემით, მაგალითად შუმპეტერის თეორიას გადმოსცემს პროფ. სოკოლოვის წიგნში მოთავსებულ ანალიზის მიხედვით, კნაპის მოძღვრებას ლოევეცკის გადმოცემით, კასელის მოძღვრებას მის რუსულ ენაზე გადმოთარგმნილ ბროშიურით „ფულის მსოფლიო პრობლემა". წყაროების ასეთი ხასიათი, რასაკვირველია თავის გავლენას ახდენს გადმოცემის სისწორეზედაც.

უწინარეს ყოვლისა წიგნი შედგენილია სავსებით უსისტემოთ. ზოგიერთი საკითხი ან თეორია მეტათაა გაზვიადებული და მას მიკუთვნებული აქვს წიგნის დიდი ნაწილი, ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხები კი სავსებით მიჩქმალულია ან სულაც არაა განხილული.

ცენტრალური პრობლემა, როგორიცაა ფულის რაობა ავტორის მიერ სრულებით არ არის გარკვეული, მაშინ როდესაც ამ საკითხის მართებულ გადაწყვეტისაგან დამოკიდებულია ფულის დანარჩენ საკითხების სწორი გადაჭრა. აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის თეორიული შეცდომა, რომელიც დაშვებული აქვს ავტორს ფულის თეორიების შეფასების დროს. ავტორი არ არჩევს იმ თეორიებს, რომელნიც ფულის ფასეულობის ნიადაგზე სდგანან. იმათგან, რომელნიც მის ფასეულობას უარყოფენ. პირველთა შორის საპატიო ადგილი უკავია მარქსის ფულის თეორიას, ხოლო მეორე ჯგუფს ეკუთვნის ნომინალისტური თეორიები (კნაპი, ბენდიქსენი, ელსტერი, კასელი და სხვ.).

დ. თოფურიძის ამ ძირითად განსხვავებას საფუძვლად როდი უდევს ფულის თეორიათა შეფასებას. მისი აზრით ყველა თეორიები ერთგვარ წინამძღვრებისაგან გამომდინარეობენ, განსხვავება მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ ისინი ფულის სხვადასხვა ფუნქციებს გაზვიადებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ავტორის აზრით ყველა თეორიები: სახელმწიფოებრივი, ვალის, ფუნქციონალური, კონიუნქტურული, „მარქსის ფულის თეორიის მხოლოდ ერთ-ერთ მომენტს გამოხატავენ" (გვ. 15). ყველა ეს თეორიები სავსებით თავსდებიან მარქსის ფულის თეორიის ფარგლებში (იქვე).

საკითხის ასეთი გადაჭრა დაუშვებელი თეორიული შეცდომაა;მეტალიზმი, ნომინალიზმი და ფუნქციონალიზმი ფულის თეორიაში საჭიროებს ზუსტ განმარტებას და განსხვავებას,ამის გარეშე შემცდარი იქნება ყოველგვარი თეორიული დასკვნები. ავტორის ეს ძირითადი შეცდომა გავლენას ახდენს მის შემდეგ დასკვნებზედაც.

მარქსის ფულის თეორია და მის გამო გამოწვეული კამათი წიგნში არ არის გარკვეული. წიგნის ბოლოში ავტორი გვპირდება, რომ აღნიშნული თეორია მის მიერ დაწვრილებით იქნება შესწავლილი მეორე ტომში.

მასალის ასეთი დალაგება, ჩვენ ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია, მკითხველი მოკლებულია საშუალებას მარქსისტულ ფულის თეორიის ნიადაგზე კრიტიკულად გაითვალისწინოს ბურჟუაზიულ ეკონომისტების თეორიების შემცდარი მხარეები. საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ რაოდენობითი თეორიის კრიტიკას ავტორი აფუძნებს ფრანგ ეკონომისტის პ. აფტალიონის შრომებზე, მაშინ, როდესაც კლასიკური კრიტიკა რაოდენობითი თეორიისა მარქსს აქვს მოცემული თავის „პოლიტიკურ ეკონომიის ზოგიერთ დებულებათა კრიტიკაში".

სავსებით გაურკვეველია და მიჩქმალული ავტორის მიერ ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიც **ოქროსა და ინტერვალიუტარულ კურსების** საკითხი. სწორედ არაა გაშუქებული, საბჭოთა კავშირის სავალიუტო პოლიტიკა, აქ არაა გამორკვეული ის განსხვავება, რომელიც არსებობს საბჭოთა სადევიზო პოლიტიკის და კაპიტალისტურ ქვეყნების სადევიზო პოლიტიკის შორის. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიით გამოწვეული. საერთოდ უნდა აღინიშნოთ, რომ საკითხი ცენტრალური საემისიო ბანკების სადევიზო პოლიტიკის სრულებით გაუშუქებელი რჩება. ასევე ფულის წარმოშობის ისტორია სრულებით უმართებულოდ და არა მარქსისტულად აქვს ავტორს გადმოცემული.. მთელ წიგნის მანძილზე ავტორს არ აქვს მოცემული ფულის განსაზღვრა.

სახელგამი მეტი ყურადღებით უნდა მოპყრობოდა უპირველეს ყოვლისა თვით წიგნის თვისობრივ მხარეს, რადგან ჩვენს პირობებში, როდესაც ფულის საკითხზე ქართულ ენაზე მხოლოდ ერთი წიგნი მოიპოვება, საჭიროა ითა ის აკმაყოფილებდეს ყოველ შემთხვევაში სახელმძღვანელოს მოთხოვნილებას, ეს კი საიცენზიო წიგნს არ ახასიათებს. გაურკვეველია, რისთვის დაინახა სახელგამმა საჭიროდ დ. თოფურიძის „ორგინალური" ნარკვევის გამოცემა ფულის თეორიაზე, მაშინ, როდესაც ის უხეირო კომპილიაციას წარმოადგენს რუსული სახელმძღვანელოების მიხედვით.

ეკონომისტი.

საქ. უნივერსიტეტში

იურიდიულ სამეცნიერო წრეში

ოთხშაბათს, 30 ნოემბერს, სღ. 6 საათზე საქ. უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბში შესდგა სტუდენტთა იურიდიული სამეცნიერო წრის წლიური კრება. კრებაზე დაესწრნენ იუსტიციის სახ. კომისარიატის წარმომადგენლები ამხ. **მეგრელიშვილი, შურღაია, ბერიშვილი, ჭინჭარაძე, სურგულაძე;** დოც. **ანდრონიკაშვილი, ნანეიშვილი** და სხვები. გასულ წლის საანგარიშო პერიოდის მოხსენების მოსმენის შემდეგ, კრებამ დაამტკიცა წრის ახალი წესდება, რომელიც ითვალისწინებს მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას იუსტიციის ორგანოებთან, დასასრულ არჩეულ იქნა საპატიო წევრები ამხ. **ვარძიელის, კაჭარავას, გ. თალახაძის** და სხვების შემადგენლობით, საქმიანი გამგეობა 7 წევრითა და 3 კანდიდატით და სარევიზიო კომისია 3 კაცის შემადგენლობით.

სტუდენტების დამტკიცება კავშირში

გუშინ სოც. ეკ. ფაკულტეტის და პროფსექციის გაერთიანებულ საერთო კრებაზე მოხდა სტუდენტების დამტკიცება. კავშირში მიღებულია 60 კაცამდე.

ხორცის ბაზარზე

1 დეკემბერს შესდგა თბილისის ბირჟასთან არსებულ ხორცის სექციის თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნა მოხსენება ხორცის ბაზრის მდგომარეობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ხორცის დამზადებას უმთავრესად სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები აწარმოებენ, რაც შეეხება გასაღებას, ამ საქმეში კერძო ვაჭრების როლი ჯერ კიდევ ძლიერია. ოქტომბრის განმავლობაში თბილისში გასაღებულა 16.327 ფუთი ხორცი. აქედან 29 პროცენტი გასაღებულა კოოპერაციის საშუალებით, ხოლო 71 პროცენტი კერძო ვაჭრების მიერ.

თათბირმა საჭიროდ სცნო კოოპერატიულ საცალო ვაჭრობის წერტების გამრავლება იმ რაოდენობით მაინც, რომ მათ შესძლონ სახელმწიფო და კოოპერატიულ დამმზადებელ ორგანიზაციების მიერ დამზადებული ხორცის გასაღება მთლიანად. ამ მიზნით კოოპერაციას დავალა მოკლე ხანში წარმოადგინოს საცალო ვაჭრობის წერტების გაფართოების გეგმა.

რკინიგზაზე

ამერიკული მოძრაობა

როგორც ვწერდით, ორთქლმავლების ამერიკული წესით მოძრაობა ცდების სახით შემოღებული იყო ა.-კ. რკინიგზ. სამტრედიის უბანზე. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ამ ცდებმა დამაკმაყოფილებელი შედეგები მისცეს გზას, რომელსაც საშუალება მიეცა ორთქლმავლები რაციონალურად გამოიყენოს.

ამ დღეებში ორთქლმავლების ამერიკული წესით მოძრაობა შემოღებული იქნება განჯის უბანზე, სად. განჯიდან-აჯიკაბულამდე.

ერთი თვის შემდეგ ამერიკული მოძრაობის შემოღება განზრახულია ბაქოს და ლენინაკანის უბნებზე.

ზარალი წყალდიდობისაგან

წყალდიდობამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 6 სექტემბერს ბათომის უბანზე, გზას მიაყენა დიდი ზარალი.

ნიაღვრებმა დაანგრია რკინიგზა, ხიდები, და მდინარეების გასამაგრებელი კედლები.

ნაწილობრივ ხაზი უკვე აღდგენილია, მაგრამ, როგორც გამოანგარიშებიდან ირკვევა, მის საბოლოო აღდგენისათვის საჭირო იქნება კიდევ 1.032.352 მანეთის დახარჯვა.

ეს თანხა გამოთხოვილია გზათა კომისარიატისაგან.

თბილისის დეპო

ამჟამად სწარმოებს მუშაობა სადგ. თბილისის ორთქლმავლების დეპოს ტერიტორიის გასაფართოებლად.

მატარებლების გაწყვეტის წინააღმდეგ

გზის ცუდი პირობების გამო, მცხეთა-ქსანის და კავთისხევ-მეტეხის შუა ხშირია მატარებლის შემადგენლობის გაწყვეტა. განსაკუთრებით სახიფათოა მგზავრობა ამ მანძილებზე 75.000 ფუთიან შემადგენლობისათვის, რის გამოც მემანქანეებს უხდებათ მატარებლების გახსნა და ნაწილ-ნაწილად ჩაყვანა შემდეგ სადგურებამდე.

ასეთი გარემოების შემდეგში თავიდან ასაცილებლად, ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ საჭიროდ სცნო აღნიშნულ სადგურებ შუა მატარებლის უკან ორთქლმავლების მიბმა.

ნარევი

წყალქვეშა ბაღჩები

ზღვებში, რომლებიც გარს არტყიან იაპონიას 30.000 კილომეტრის სივრცეზე, ხარობს 600 სხვადასხვა სახის წყალქვეშა მცენარე, რომელთა მოპოება და დამუშავება მრავალ ათას იაპონელის შემოსავლის და არსებობის მთავარ წყაროს წარმოადგენს. მცენარეებს ნაწილობრივ ხმარობენ საჭმელში, ნაწილობრივ კი სხვადასხვა პროდუქტების დასამზადებლად.

ყველაზე სასარგებლო და გავრცელებულ მცენარეებათ ითვლება შემდეგი:

ამანორი. — მას ხმარობენ საჭმელში, უფრო ხშირად ნედლი სახით. ჩვეულებრივ კი იგი ბაზარში გამოაქვთ გამხმარი სახით. ამანორის ხელოვნურად აგროვებენ. ლოზაზე ამაგრებენ ხის ტოტებს. შემდეგ ლოზას უშვებენ წყალში ამანორი ეხვევა გაიჟღენთილ ტოტებს და ჩქარა იზრდება. საჭიროების დროს მისი ამოღება წყალიდან უკვე აღარ შეადგენს სიძნელეს. ამ მცენარის მოპოება იაპონიის ხაზინას აძლევს ორ მილიონ მანეთის შემოსავალს წლიურად.

კომბუ. ესეც საჭმელი მცენარეა.

ტენგუსა. ხარობს წყლის ქვეშა კლდეებზე. მას აგროვებენ წყალმყვინთავები, უფრო ხშირად კი ქალები, რომლებიც მშვენივრად ცურავენ და ყვინთავენ. ტენგუსა იხმარება მედიცინაში და საკანდიტრო წარმოებაში. იაპონიის ხაზინას აძლევს 4 მილიონ მანეთის შემოსავალს წლიურად.

ფუნორი. იხმარება წებოს დასამზადებლად და თმის დასაბანათ.

იაპონიის ხაზინის შემოსავალი წყალქვეშა მცენარეებიდან შეადგენს 10 მილიონ მანეთს წლიურათ.

რა ღალავს მგზავრებს?

ამერიკის პრესაში ამ რამდენიმე ხნის წინათ მოთავსებული იყო შენიშვნა ერთ გამოჩენილ თვალის ექიმის, რომელიც მგზავრების დაღალვას ვაგონებში, მათ თავის ტკივილს და სხვა ახსნის ცუდი ფანჯრის შუშებით.

ვაგონის ფანჯრები ხშირად გაკეთებულია დაბალი ხარისხის შუშიდან. შუშის მასის არაერთგვაროვნობა იძლევა საგნების არა-სწორ გამოხატულობას, რაც აღიზიანებს და ღალავს მხედველობის ნერვებს და იწვევს თავის ტკივილს.

როგორც ეს ექიმი ამტკიცებს, ვაგონის ფანჯრების შუშის ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს მგზავრების ფიზიკური მდგომარეობისათვის.

ჭადრაკი

მოჭადრაკეთა ყრილობა

ამ.-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს დადგენილებით, 15 დეკემბერს თბილისში გაიხსნება ა.-კავკასიის მოჭადრაკეთა პირველი ყრილობა. ყრილობის მიზანია გამოარკვიოს ჭადრაკის განვითარების პერსპექტივები ამიერკავკასიაში და ხელი შეუწყოს მოჭადრაკეთა გაერთიანებას.

ყრილობის დღის წესრიგშია: მოჭადრაკეთა დროებითი ბიუროს თავმჯდომარის მოხსენება მოჭადრაკეთა ყრილობის მნიშვნელობისა და მისი ამოცანების შესახებ და ა.-კ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს პ. მგ. მდივნის მოხსენება მოჭადრაკეთა ორგანიზაციის შესახებ.

ყრილობაზე მოხსენებებით გამოვლენ აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ჭადრაკის სექციების წარმომადგენლები საქართველოდან. სომხეთიდან და აზერბეიჯანიდან. მოხსენებების მოსმენის შემდეგ მოხდება ამ.-კავკასიის მოჭადრაკეთა საერთო სექციის არჩევა.

მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

ა.-კ. მოჭადრაკეთა ყრილობის საქმიანი მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგება ამიერკავკასიის მოჭადრაკეთა პირველი რესპუბლიკანური ჩემპიონატი. ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 18 საუკეთესო მოჭადრაკე. მათ შორის პერსონალურად მიწვეული არიან: **ილინ-ჟენევსკი** (ლენინგრადიდან), მაესტრო **სმოროდსკი** და **გ. მაკაგონოვი**, თბილისის ჩემპიონი—**გოგლიძე, საროკინი, ტალვიგი, მედვედევი, მ. მაკაგონოვი** და **აგამალიანი**.

დანარჩენი 10 ადგილი დათმობილი აქვს ქუთაისის, ბათომის, ბაქოს, განჯის, ლენინაკანის და ერევანის მოჭადრაკეთა სექციების წარმომადგენლებს.

ფეხბურთი

კალენდარული შეჯიბრები

დღეს, 4 დეკემბერს. ლენინის სახელობის და ამ.-ბა „დინამო"-ს სტადიონზე გაიმართება მორიგი კალენდარული შეჯიბრები პირველი კატეგორიის გუნდებს შორის.

დილის 11 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე თამაშობენ „საბჭოთა მუშაკები" და „ავტოკლუბი"; მსაჯი იქნება სკოლზნევი.

დღის 1 ს. „დინამო"-ს სტადიონზე გაიმართება „შტურმის" და „დინამო-მეორე"-ს საფინალო კალენდარული შეჯიბრი (ამხანაგური მატჩი ამ გუნდებს შორის ამ ერთი თვის წინად დამთავრდა 5:4 „დინამო-მეორე"-ს სასარგებლოდ); მსაჯი—ა. იოსავა.

ყველაზე საინტერესო შეჯიბრი გაიმართება შუადღეის 3 საათზე „დინამოს" სტადიონზე, თამაშობენ „დინამო-პირველი" და „არსენალი". ეს გუნდები მიმდინარე სეზონში პირველად თამაშობენ. მსაჯი იქნება დ. მდივანი.

რადიო-გადაცემა

კვირა, 4 დეკემბერი

დღეს, 4 დეკემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

დღის 1 საათზე ტრანსლიაცია სიმფონიური კონცერტისა ეგონ პეტრის მონაწილეობით.

საღამოს: პიონერთა გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე.

მიწადმოქმედება **საქართველოში**—ქართულ ენაზე.

ყელჭირვება და ხუნაგი და მათთან ბრძოლა—ქართულ ენაზე.

მუშათა გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე.

სამრეწველო საქონლის და სურსათ-სანოვაგის ბაზრის მდგომარეობა თბილისში—ქართულ და თურქულ ენებზე.

ალკოჰოლიზმი და მასთან ბრძოლა—სომხურ ენაზე.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ტექნიკური კონსულტაცია.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ორშაბათი, 5 დეკემბერი

საქართველოს ელექტროფიკაცია—ქართულ ენაზე.

ყელჭირვება და ხუნაგი და მათთან ბრძოლა—სომხურ ენაზე.

7 საათის სამუშაო დღის მნიშვნელობა—რუსულ ენაზე.

საუბარი რადიო-ტექნიკაზე—რუსულ ენაზე.

კომკავშირის გაზეთი—რუსულ ენაზე.

რადიო-მიღწევები რუსულ ენაზე.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

თბილისის შრომის ბირჟა აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ხვალ საჭიროა შემდეგი კვალიფიკაციის უმუშევრები: **კვალიფიციურ მუშათა 1-ლ სექციაში უნდა გამოცხადდენ ყველა მეკოლოფეები, ამასთან საჭიროა დახელოვნებული ორთქლის ქვაბების მწმენდავი, ხუთი პურის მცხობელი. ერთი ლოკომოტივის მექანიკი ორთქლის ქვაბებზე სამუშაოდ ახალციხეში. აღნიშნული კვალიფიკაციის უმუშევრები უნდა გამოცხადდენ პირველ სექციაში ამხ. შეროევთან.**

ხვალ სამუშაოზე იგზავნებიან: ანტონ იორდანიშვილი, თამარ წითლიძე, თამარ კენჭაძე, მარიამ ქიტიევა, ჰექტორ აზელენკოვი, არნუმანოვა—პეშკოვა, მარიამ ტერუნოვა, ელენე ხარაზიშვილი, გიორგი ავაქოვი, ა. აბესალომოვი, ნინო კარაკაშელი, ნადეჟდა დობროვა, ალექსი ტუჩიევი, ლიუსია ნუცაევა, ეფრემ ტოფჩიევი, თამარ წითლიძე, ქსენია მზავაშელი, ანა ცხოვრებაშვილი, მიკიჩ ბმირაგოვი, ლიუსია მარანოვა და ალასე სავიჩევა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 4 დეკემბერს, დილის 10 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება მიმღებ კომისიის სხდომა.

ახლად მიღებულ მუშებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ რაიკომში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ სამშაბათს, 6 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში შესდგება კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებისა და მუშკორების საერთო კრება.

დღის წესრიგშია—საკითხი კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების გადარჩევის შესახებ.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ აგრეთვე აგიტპროპორგანიზატორები.

სახ. უნივერს. პედაგოგიურ ფაკ. პარტ-კოლექტივი (კომუჯრედის ბიურო) იტყობინება, რომ ორშაბათს, 5 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება პედაგოგიურ ფაკულტეტის პარტკოლექტივის და კომკავშირის ბიუროს გაერთიანებული სხდომა.

ბიუროს წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ლენრაიონის მ. გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იტყობინება, რომ ორშაბათს 5 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება ქალ-ორგანიზატორების თათბირი.

დასწრება ყველა ქალ-ორგანიზატორებისათვის სავალდებულოა დაუგვიანებლად.

ღრმად დამწუხრებულნი დედა ეფროსია (ეფრო) დავითის ასული, მეუღლე ნადია ნიკოლოზის ასული შვილებით [illegible] და [illegible] ძმა ილიკო ქურდევანიძე თავისი ცოლშვილით აუწყებს ყველა ნათესავთ და ამხანაგ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ერთად ერთი [illegible] და [illegible] — მასწავლებელი ხაშურის რკინისგზის მეორე შრომის სკოლისა

გიორგი არჩილისძე ქურდევანიძე

დაკრძალვა მოხდება კვირას, 4 დეკემბერს. ნაშუადღევის 2 საათზე ქალაქ ხაშურში. ნ. 297 2-1

ღრმად დამწუხრებული ამხანაგ-მეგობრები: გრიშა და პეტრე ჭკუასელიძეები, მიშა ჯავახაძე, გოგი სახუაძე, გოგი თურმანიძე, ირაკლი ლამბაშიძე, ილიუშა შუკაკიძე, მიშა ქიპაშვილი, ბიჭიკო ჩხეიძე, ვანო დევაძე და ს. ბარაიძე აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი ამხანაგი

გოგი ქურდევანიძე

დაკრძალვა მოხდება ქ. ხაშურში, კვირას, 4 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე. (დ)

ხაშურის რაიონის განათლების მუშაკთა კავშირი მწუხარებით აუწყებს ყველა ნათესავთ და ამხანაგ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე კავშირის თავჯდომარე, დაუღალავი მუშაკი

ამხ. გიორგი არჩილისძე ქურდევანიძე

დაკრძალვა მოხდება კვირას, 4 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე ქ. ხაშურში ნ. 297 2-1

ქ. ხაშურში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ადგილობრივი რკ. გზ. მე-2 შრომის სკოლის საუკეთესო მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე და უძვირფასესი ამხანაგი

გიორგი ქურდევანიძე

რასაც დიდი მწუხარებით აუწყებს, სატრანსპორტო განყოფილების ყველა მუშაკთ განსახკომის რკ. გზ. სკოლების სექცია დაკრძალვა მოხდება დეკემბრის 4 ნაშუადღევის 2 საათზე. 666

ხაშურის რკინის გზის მე-2 სკოლის პედაგოგიური საბჭო მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 2 დეკემბერს გარდაიცვალა ამავე პედაგოგიურ საბჭოს წევრი-მასწავლებელი

გიორგი (გოგია) არჩილის ძე

ქურდევანიძე 655

ხაშურის რკინის გზის 1-ლი, მე-3-მე და მე-4 სასწავლებლების პედაგოგიური საბჭოები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ თავისი ამხანაგის, ახალგაზრდა ენერგიული მასწავლებლის

გიორგი არჩილისძე

ქურდევანიძის

უდროოთ დაკარგვის გამო. 656

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე სპირიდონის ასული შვილებით მანია, ელენე, გრიგოლი, ნინო, თამარი, სპირიდონი, სიძეები დავით წერეთელი, იოსებ მაჭავარიანი, საშა თედელური, შალვა მამალაძე, შვილისშვილები ნინო, მარგო, მარუსია, ოლღა, თამრო, ვახტანგი გოგა, ეთერი, ვილლი და ეთერიკ, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 2 დეკემბერს მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

მიხეილ გრიგორისძე

გაიგუხაშვილი

დაკრძალვა კვირას, 4 დეკემბერს 12 საათზე კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება ტროცკის ქუჩა № 11 (ყოფ. პეტრედიდის ქ.) 670

ცირკი „კოლოს" ტელ. 16—67

კვირას 4 დეკემბერს გრანდიოზული სანახაობანი 3 განყოფ. 14 №№. მთელი დასი! დამსხ. მსახ. ძმ. ტანტები. სახელგანთქმული გიპნოტიზიორი ტორ-რამა და მისი ცხენები. დასაწყისი 8½ საათზე. კვირას დღისით სანახაობანი. საღამოს სრულ პროგრამის მიხედვით. მონაწ. ტორ-რამა. დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე.

სალარო ღიაა მთელი დღე.

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებ. კ. გროდზ ნსკი. ადმინისტრატ. მ. ტადე.

ნ. 300 2—1

ყოფ.

ა. მ. ოსტროუმოვის

საპარფიუმერიო ფაბრიკა

მუშა-მოსამსახურეთა საწარმოო კოოპერატიული ამხანაგობა

მოსკოვი, 33 გელის შესახვ. 13

მოითხოვეთ ყველგან

ყველგან მოითხოვეთ

კრემი. საპონი, პუდრი „მეტამორფოზა"

კრემი და საპონი „ჩისტოტელი"

საპონი: 1) საბავშვო 2) თავის ქერტლის საწინააღმდეგო 3) რონდო (რგვალი)

სენსაცია!!! „სალომეია" „მოი გრეზი" პუდრი

გაუფრთხილდით სიყალბეს!!!

ნ. 225 3—2

გამოვიდა და იყიდება

ჟურნალი

„საქართველოს ეკონომისტი"

№ 11

ჟურნალის შინაარსი:

არტ. კვირიკაძე—მტკიცე და გარკვეული გზით; პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი—საინდუსტრიალიზაციო სესხის გაგებისათვის; ნიკო ელიავა—ჩვენი მრეწველობის შინაგანი პროცესების გაუმჯობესობა; პართენ გოთუა—შაქრის წარმოება საქართველოში; გლ. პაპავა—შრომის ნაყოფიერობის საკითხისათვის; ირ. მიქელაძე—საქართველოს მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა; გ. გოგოტიშვილი—მეაბრეშუმეობის შესახებ საქართველოში; ფინანსისტი—ჩვენი სახალხო მეურნეობა და სახელმწიფო ბიუჯეტი; გ. [illegible]—ჩვენი ხე-ტყის ექსპორტის საკითხისათვის; შ. თ—ია საქართველოს ბაზარი 1926—27 წ.

თეორიული განყოფილება: ი. რუბინი: I. მარქსის ეკონომიური თეორიის მეთოდოლოგიური საფუძვლები, II. მარქსის ღირებულების თეორია.

ადგილობრივი მეურნეობა: ვლ. გამყრელიძე—ქუთაისის მაზრის ბიუჯეტი 1926—27 წ.

უცხოეთი, ინფორმაცია და ბიბლიოგრაფია.

ჟურნალი შეიცავს 136 გვ. ღირს 1 მან. იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, რკინის გზის კიოსკებში და გაზეთების გამყიდველებთან. ნ. 302

სასამართლოს აღმასრულებელი თელავის უბნისა

გ. ზ. ყარასაშვილი,

ამით აცხადებს, რომ 7 დეკემბერს ა. წ. შუადღის 12 საათზე, ქ. თელავში ნადიკვრის ქ., იქნება **საჯარო ვაჭრობა** ნიკოლოზ მიხეილის-ძე სუხიტაშვილის სახლისა, შემდგარი ორ ქვითკირის ოთახისგან, ერთ სამზარეულოსაგან და ერთი პატარა დარანით და ერთი ჩარდახით, დახურული კრამიტით, შეფასებული სამას (300) მანეთად, დასაკმაყოფილებლად ვალისა ალექსანდრე დავიდოვისა სამასორმოცდათორმეტი მანეთი 57 კაპეიკი, ილიკო შიუკაშვილისა რვაასსამოცდათერთმეტი მან. 52 კ %% და გიორგი ლეკიშვილისა რვაასორმოცდახუთმეტი მან. და ხარჯებისა, თანახმად სასამართლოს ბრძანებისა № 4275 და 4600 და აღმასრულებელი ფურცლებისა №№ 2470 და 3029. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან და მოხდება თანახმად 311—313 მუხ. სამ. სას. საპ. კოდექ.—24 ნოემბრის 1927 წ. ქვ.

განათლების კომისარიატი

მიხა ხოდრიშვილის სახელობის

საბუღალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე

ახალი ჯგუფისათვის სწარმოებს მიღება ან მდივანთან ხელოსანთა კლუბში, პლეხანოვის პრ. № 66, ან კურსების გამგე იოვანე ზაქარიას-ძე ტერ-სტეფანოვთან, ბოჭორიშვილის (1-ლი თუმანოვის) ქ. № 13. 663

განათლების კომისარიატის

2 საბუღალტრო კურსები

იხსნება ახალი ჯგუფი 1-ლ იანვრიდან

ბესიკის (ყოფ. დავითის) ქ. № 25

განცხადებების მიღება და ყოველგვარ ცნობების გაცემა სწარმოებს ყ ველდღე საღ. 5—6 საათ.

672 კურსების გამგე: ი. ავალიშვილი.

თბილისის გარე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

ქ. ოდიშარია

ამით აცხადებს, რომ ის 24 დეკემბერს 1927 წ. დღის 10 ს. სოფ. ქესსალოში, თბილისის მაზრაში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სოფ. ქესსალო და ნოზარლოს ცხოვრებთა მოძრავ ქონებას: 24 ძროხას შეფასებულს 1200 მანეთად, სოფ. ბლაგოდარის მცხოვრებთა ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად სტეფანოვსკის სახალხო სასამართლოსაგან 8 ოქტომბრიდან 1927 წ. თარიღით, № 1024 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 662

ქ. თბილისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

გ. გ. ბარუტჩევი

ამით აცხადებს, რომ ის 8 დეკემბერს 1927 წ. დღის 12 ს. სახლში № 1, კადეტის შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მარია ბალდოევის მოძრავ ქონებას: ერთ პიანინოს, დიდერიხის ფაბრიკისა, შეფასებულს 800 მანეთად, მხილოთ, საჯარო ვაჭრობა, როგორც მეორეთ, დაიწყება შემძლეულ ფასიდან, შრომის სახ. კომისარიატის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 21 ოქტომბერს 1927 წ. თარიღით, № 17641 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 665

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი პოტემკოვსკი

აცხადებს, რომ 8 დეკემბერს 1927 წ. დღის 11½ საათზე პირველ **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება განსვენებულ სოფიო მიხეილის ასული შიხაშვილის შენობა 1 ოთახით, მდებარე არაგვისპირელის (ყოფ. თამარის) ქუჩაზე მ-9 სამილიციო უბანში და შეფასებული გასაყიდათ 400 მანეთად. ვაჭრობა იწარმოებს შენობის მდებარეობის ადგილას, პროც. კოდექსის 301, 310, 311, 312, 313 და 316 მუხლების დაცვით. 658

ხონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

პ. გ. ერისთავი

ამით აცხადებს, რომ მის მიერ 10 დეკემბერს 1927 წ. დღით 12 ს., ქალ. ხონში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, გაიყიდება მოქალ. ერასტი ივანის-ძე ჭავჭავაძის ქონება სახელდობრ, 1. ერთი საფულე კასა, 2. ორი კედლის შკაფი, 3. ორი დახლი, აღნიშნული ქონება შეფასებულია 195 მანეთად და იყიდება მოქალ. პოლიევქტოს ლუკას-ძე მებუკის 200 მანეთის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმასრულებელ ფურცლისა ხონის უბნის სახ. სასამ. 22 სექტემბრის 1927 წ. № 2675. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან, ქონების დათვალიერება შეიძლება ვაჭრობის დროს. ნ. 303

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყოლანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი მეგრაბიანცი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი

ავადმყოფების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენი სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ 2—5

მედიც. დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8. საათ. პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1)

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი.

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 13—1

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

მოსკოვის ქუჩა № 7

იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე საშარდე ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით

მიღება საღამოს 5—8 საათამდის

ნ. 25—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—6-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით ღებულობენ ექიმები:

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8-9 საათ. საღამოთი 6—7ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90. 1—25

ს. ა. დიშელი

დაათავრა

სილამაზის ინსტიტუტი

პარიზსა და ბერლინში. ელექტრო-ვიბრო-მასაჟი-სინათლით, ორთქლით, კოსმეტიური, ვაპორიზაცია,—ყოველ სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, მეჭეჭებს, სიწითლეს, ჭორფლს, საოფლე ჯირკვლების გადიდებას და სხ. [illegible] ქ. № 22. 25—1

ახალციხის სამაზრო აღმასკომის მმ ჩი-ს სამაზრო ბიურო

აცხადებს, რომ ახალციხის სანაპირო [illegible] მოქალაქე ნიკოლოზ ივანეს ბერისტაი, დაბადებული [illegible] გუბ., [illegible] მაზ., [illegible] მცხოვრები ქალ. ახალციხეში, თავის გვარს [illegible] ცვლის [illegible]. 675

დაიკარგა სიმონ ფარცხალაძისაგან მიღებული ქვითარი ორას ორმოცდაათი მანეთის. სარდიონ ჭურაძემ. ჩ. გ. 305

დაიკარგა პროფკავშირის საწ. წიგნაკი № 75535 ლენინგრადის სარ. მუშაკთა კავშ. მიერ გაცემული კონსტანტინე გიორგისძე მგელაძის სახელზე, ჩ. გ. 674

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 650927 ფაშა აგაბაბოვის სახელზე, ჩ. გ. 673

დაიკარგა პირადობის მოწმობა, გაცემული აბაშის [illegible] მიერ № 181 [illegible] აბრამიას სახელზე. ჩ. გ. 669

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის კონვერტი „ბ" № 610022, გაცემული [illegible] ელექტროტექნ. [illegible] უბნის მიერ ალექსანდრე ნიკოლოზისძე არაბიძის სახელზე, ჩ. გ. 671

დაიკარგა პარტიის საკანდიდატო ბილეთი № 5783 ნოე ათანასესძე კოსტავას სახელზე, ჩ. გ. 668

დაიკარგა მუშკოოპის წევრობის წიგნაკი № 21737 ი. ლიპარტელიანის სახელზე, ჩ. გ. 667

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი პეტრე მუსეროპოვის სახელზე, ჩ. გ. 657

დაიკარგა პასპორტი ხალიკო ალექსანდრესძე გედევანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 659

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 10801 პეტრე ხაბულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 660

დაიკარგა მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 1153 კონსტანტინე კარაკაშევის სახელზე, ჩ. გ. 661

პოლიგრაფტრესტის მე ნ-ე სტამბა, კამოს ქ. № 68